

პალატული საერთაშორისო

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2026, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2026, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2026, №2

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2026, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შინგალია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

საკიეპელი

1. ხელშეკრულების დადება
ვალის არსებობის აღიარება 4
2. ვალდებულების დარღვევა
ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებისადმი 32
3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის 48; 62; 75
4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი
პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ 93; 104; 126
5. ვალდებულების შეწყვეტა
ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატივით 155
6. სოლიდარული მოვალეობი
კრედიტორის უფლება მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი
მოვალისგან 163

1. ხელშეკრულების დადება

ვალის არსებობის აღიარება

გადაწყვეტილება საქართველოს სასაქონლო სასამართლოში

№ს-126-2024

15 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი**
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. ა-მა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჩ-ის (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ 16 500 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის მითითებით, 2021 წლის 15 სექტემბერს მხარეებს შორის წერილობითი ფორმით გაფორმდა ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების პირველი პუნქტის თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის გადაეხადა 16500 აშშ დოლარი. მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულებია.

მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ წერილობით შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, ბრალდებულის – მოპასუხის მიერ მის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. საქმე დაკავშირებული იყო სოფელ ... მიმდინარე მშენებლობასთან. სულ მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვდა 29 000 აშშ დოლარსა და 16 500 აშშ დოლარს. იგი ამ მოთხოვნებს ჰყოფდა ორ ნაწილად – სისხლის სამართლის საქმეში მითითებულ 29 000 აშშ დოლარად და ე.წ. სამოქალაქო საქმეში განცდილ ზიანად – 16 500 აშშ დოლარად, რასთან დაკავშირებითაც 2021 წლის 15 სექტემბერს შედგა ვალის აღი-

არების შეთანხმება. მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა მოსარჩელისათვის 16 500 აშშ დოლარი. რადგან ორივე თანხა აღიარებულია მოსარჩელის მიერ, მოპასუხე ამ თანხას 45 500 აშშ დოლარს სადავოდ არ ხდის. აქვე დაზუსტებულია, რომ მოსარჩელემ ზემოაღნიშნული 45 500 აშშ დოლარის გარდა, მოპასუხისგან არასდროს არაფერს მოითხოვდა და არც შეიძლება მოეთხოვა, რადგან მათ შორის სხვა ურთიერთობა, გარდა სოფელ ... წარმოებული მშენებლობისა, დამყარებული არ ყოფილა. აღნიშნული თანხა მოსარჩელეს აუნაზღაურდა და სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ 500 აშშ დოლარი, კერძოდ, მოპასუხემ გადასცა მოსარჩელის წარმომადგენელს 45 000 აშშ დოლარი, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული ხელწერილი. გარდა ამისა, 2021 წლის 15 სექტემბერს მოსარჩელემ შეადგინა განცხადება, რომლითაც აღიარა, რომ მოპასუხემ აანაზღაურა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული მისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც შეადგენდა 29 000 აშშ დოლარს. გაუგებრობას ქმნის ერთადერთი გარემოება – 2021 წლის 15 სექტემბრის ხელწერილის ტექსტში მოსარჩელის წარმომადგენელმა ერთპიროვნულად, ხელწერილის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ჩაამატა, რომ მის მიერ მიღებული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალს. ლოგიკურად ეს შეიძლება აიხსნას ერთადერთი გარემოებით – სულ თანხა უნდა ყოფილიყო 45 500 აშშ დოლარი, მაშინ როდესაც მოპასუხემ მოსარჩელის წარმომადგენელს გადასცა 45 000 აშშ დოლარი. ამიტომ მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს მაქსიმალურად 500 აშშ დოლარი.

4. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელწერილი, რომელშიც მითითებულია, რომ მიღებული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებას, არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს ვალის აღიარებას და არ წარმოშობს ახალ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხელწერილში გაკეთებული ჩამატებისა, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მას მოპასუხისგან ეკუთვნოდა უფრო მეტი ოდენობის თანხა, ვიდრე მიიღო. აღნიშნულს კი მოსარჩელე ვერ ამტკიცებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 16500 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპე-

ლაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელს ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შეფასების საგანს წარმოადგენს, 45 000 აშშ დოლარის გარდა, მხარეთა შორის დამატებით 16 500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

8. სააპელაციო სასამართლომ, სამართლებრივი შეფასების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია, ყურადღება გაემახვილებინა საქმეში არსებულ არაერთ მტკიცებულებაზე და მათი შეჯამების შედეგად განესაზღვრა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ხასიათი.

9. 2017 წლის 13 ნოემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... მდებარე ბინის განკარგვის მინდობილობა 1 თვის ვადით.

10. 2017 წლის 13 ნოემბერს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით ქ. თბილისში, ... მდებარე 40.15 კვ.მ №76 ბინის (შემდგომ – სადავო ბინა), როგორც ნასყიდობის საგნის ღირებულება, განსაზღვრულია 29 000 აშშ დოლარით ეკვივალენტი ლარით.

11. 2020 წლის 19 თებერვლით დათარიღებული სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის დადგენილებაში პირის ბრალდების შესახებ მითითებულია შემდეგი: 2017 წლის 13 ნოემბერს აშშ-ს მოქალაქე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული სადავო ბინის განკარგვის მინდობილობა 1 თვის ვადით. 2017 წლის 13 ნოემბერს მოპასუხემ მოპასუხის კუთვნილი სადავო ბინა მიჰყიდა ბ. შ-ას (შემდგომ – მესამე პირს) 29 000 აშშ დოლარად. ბინის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი თანხა მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ გადაუცია და არც მოსარჩელისა და მისი დის საბანკო ანგარიშზე შეუტანია. მან თანხა სრულად გამოიყენა პირადი მიზნებისთვის. ამდენად, მოპასუხის ქმედებით მოსარჩელეს მიადგა 76 555 ლარის (29 000 აშშ დოლარის) დიდი ოდენობის ზიანი.

12. 2021 წლის 9 აგვისტოს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორის სახელზე ბრალდებულ მოპასუხის მიერ მიმართული განცხადებით დგინდება შემდეგი: „მზად ვარ მთლიანად ავანაზღაურო დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალი 29 000 აშშ დოლარი“.

13. 2021 წლის 15 სექტემბერს, ერთი მხრივ, მოსარჩელესა და, მეორე მხრივ, მოპასუხეს შორის დაიდო ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება, სადაც მითითებულია შემდეგი: „მოპასუხე დღეიდან ვალდებულია, მოსარჩელეს გადაუხადოს 16500 აშშ დოლარი. პირველ პუნქტში მითითებული ვალის საფუძველი წარმოშობილია იმ გარემოებით, რომ მოსარჩელემ სოფელ ... მისი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით,

მოპასუხეს გადასცა ფულადი თანხები, თუმცა მოპასუხემ საერთოდ არ შეასრულა შეთანხმებით გათვალისწინებული სახლის აშენების ვალდებულება. მხარეები ვადასტურებთ, რომ გარდა წინამდებარე შეთანხმებისა, მოსარჩელემ, დღეის რიცხვს, ასევე შეადგინა განცხადება/ხელწერილი, რომელში მითითებული „ზიანი“ არ მოიცავს წინამდებარე შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებულ თანხას“.

14. 2021 წლის 15 სექტემბერს, ნოტარიუსის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადასტურდა მოსარჩელის განცხადება შემდეგი შინაარსით: „მე, მოსარჩელე ვადასტურებ, რომ დაზარალებულად ვარ ცნობილი სისხლის სამართლის №092041018003 საქმეზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, ბრალდებულ მოპასუხის მიერ ჩემ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. წინამდებარე განცხადებით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ბრალდებულ მოპასუხეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელზე. შესაბამისად, თანახმა ვარ მოპასუხის მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასევე, ვადასტურებ, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული ჩემთვის მოყენებული ზიანი“.

15. 2021 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ ხელწერილში მითითებულია შემდეგი: „მე, ლ. ხ-ძე (შემდგომ – მოსარჩელის წარმომადგენელი) ვადასტურებ, რომ მოპასუხემ პ.ნ ... მოსარჩელის გადასაცემად გადმომცა 45 000 აშშ დოლარი 2021 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021). წინამდებარე ხელწერილს ვადასტურებთ ხელმოწერით – მოსარჩელის წარმომადგენელი, მოპასუხე.“

16. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტი მოპასუხემ დაადასტურა, რომ ტექსტი „აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021)“ გაკეთდა დამატებითი მინაწერის სახით და მისი მხრიდან სადავოდ არ გამხდარა, იგი ემსახურებოდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად დაზარალებულის – მოსარჩელის მხრიდან თანხმობის მიღებას, რაც მონინალმდევე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 316-ე მუხლის პირველი ნაწილის, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 319-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული არაერთი მტკი-

ცებულებით დასტურდება 29 000 აშშ დოლარის წარმოშობის საფუძველი, კერძოდ, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება; მოპასუხის, როგორც ბრალდებულის მზაობა გადაიხადოს 29 000 აშშ დოლარი; დაზარალებული მოსარჩელის განცხადება, რომ მოპასუხემ ანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული მისთვის მიყენებული ზიანი და, ამასთან, მოსარჩელეს (დაზარალებულს) დამატებით გადაუხადა 16 000 აშშ დოლარი, სულ – 45 000 აშშ დოლარი, რაც უდავო გარემოებას წარმოადგენს.

18. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას – 45 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ კიდევ დამატებით 16500 აშშ დოლარს, მოსარჩელე აღნიშნულის წარმოშობის საფუძვლად მიუთითებდა ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებას, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული შეადგენს სოფელ ... მისი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გადაცემულ თანხას. სასამართლოს შეკითხვაზე, თუ რას შეადგენდა საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით გადახდილი 45 000 აშშ დოლარი მაშინ, როდესაც წერილობით დოკუმენტებში ზიანის და ნასყიდობის საგნის ღირებულება განსაზღვრული იყო 29 000 აშშ დოლარით, მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 45 000 აშშ დოლარი შეადგენს უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას და ვინაიდან მოპასუხემ გაასხვისა თბილისში არსებული უძრავი ქონება 29 000 აშშ დოლარად, დარჩენილი ზიანი შეადგენდა 16 000 აშშ დოლარს და აღნიშნულმა განაპირობა ხელწერილში 45 000 აშშ დოლარის მითითება.

19. სააკველაციო სასამართლომ აღნიშნული განმარტება არ გაიზიარა, ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს განისაზღვრა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა. სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლი კი ადგენს, თუ რა უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად ანუ ე.წ. პრეიუდიციად. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში ნათლად იკითხება: ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა ზიანის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს გააჩნია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს აღარ უნევს ზიანის მიყენების ფაქტის, ე.ი. თავად მიყენებული ზიანის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის კვლევა. თუკი ზიანი დანაშაულის შედეგად დადგა, ყველა აღნიშნული გარემოება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დასტურდება. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნულთან მიმართებით მსჯელობას, შესაძლებელია, შეიცავდეს თავად განაჩენი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, სხვა შემთხვევებში,

ზიანის გაანგარიშება დასაშვებია უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტით (სსსკ-ის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (სუსგ №ას- 1322-2018, 04.04.2019წ.).

20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 მუხლისა და 102-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი განმარტება, რომ საპროცესო შეთანხმების დროს გადახდილი 45 000 აშშ დოლარიდან 29 000 აშშ დოლარი არ იყო სამყოფი უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსაზღვრისთვის, ხოლო დამატებით გადახდილი 16 000 აშშ დოლარი (სულ – 45 000 აშშ დოლარი) შეადგენდა სოფელ ... მისი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გადაცემულ თანხას, ამიტომ სამოქალაქო წარმოებით კიდევ მოთხოვნილი 16 500 აშშ დოლარი, რომელსაც მოსარჩელე განმარტავდა, როგორც თბილისში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების შედეგად დამდგარ ზიანს, ვინაიდან მისი საბაზრო ღირებულება აღემატებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებში მითითებულ 29 000 აშშ დოლარს, ვერ დაუპირისპირდება სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დოკუმენტებით განსაზღვრულ ზიანის ოდენობას იმაზე მითითებით, რომ მის მიერ არც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გაცხადებულა ამის შესახებ და არც მიმდინარე სამოქალაქო საქმის განხილვის ფარგლებში ყოფილა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებაში, სანოტარო აქტში და ხელწერილში გაკეთებული ჩანაწერების წარმოშობის საფუძველს უტყუარად დაადასტურებდა. მეტიც, სანოტარო აქტში მოსარჩელემ ერთმნიშვნელოვნად განმარტა: „...წინამდებარე გაცხადებით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ბრალდებულ მოპასუხეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელზე. შესაბამისად, თანახმა ვარ, მოპასუხის მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასევე, ვადასტურებ, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული ჩემთვის მოყენებული ზიანი“.

21. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადახდილი 45 000 აშშ დოლარი მოიცავდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით დამდგარ ზიანს (რაზეც დაზარალებულს პრეტენზია არ განუცხადებია), ასევე, მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებში სარჩელით მოთხოვნილ თანხის ოდენობასაც. ამდენად, მოპასუხის მიერ ზიანი ანაზღაურებულია სრულად და ვალის აღიარების შეთანხმებაც მომდინარეობს სწორედ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან უკვე გადახდილი 45 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

22. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

23. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებანი, სსსკ-ის 105-ე მუხლის დარღვევით, არასწორად დაადგინა და შეაფასა, არასწორად გამოიყენა სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლი, არითმეტიკული შეცდომებით დააჯამა თანხა.

24. კასატორის მითითებით, ვინაიდან მოპასუხემ არ გადაიხადა ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებული 16 500 აშშ დოლარი, მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს და აღნიშნული თანხის ანაზღაურების შესახებ, შესაბამისად, დავის საგანია არა 2021 წელს მოპასუხის მიერ გადახდილი ბინის – 45 000 აშშ დოლარის ღირებულების ანაზღაურება, არამედ 2021 წლის 15 სექტემბერს ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 16500 აშშ დოლარის გადახდა.

25. კასატორი არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ, მოპასუხის მითითებით, ჯერ შედგა ხელწერილი, მინანერის გარეშე და მან გადაიხადა 45 000 აშშ დოლარი, წავიდა, მოსარჩელის წარმომადგენელმა მოაბრუნა და ამ უკანასკნელმავე ჩაამატა წინადადება. აღნიშნულზე გვერდზე მდგომ ქალბატონს ცრემლი წამოუვიდა – „რას უშვებით ამ კაცსო“. გასაგებია მხარის პოზიცია, რომელიც გადასახდელის თავის არიდების მიზნით, სასამართლოს შეუძლია, მიაწოდოს ალტერნატიული ისტორია, თუმცა გაუგებარია სააპელაციო პალატის პოზიცია, რომლითაც ზემოთ მოყვანილი ისტორია მხოლოდ მხარის განმარტების საფუძველზე ჩათვალა დადასტურებულად, ხოლო მოწინააღმდეგე მხარესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მას დასახელებული ფაქტი სადავოდ არ გაუხდია. პალატამ ბრმად გაიზიარა აპელანტის მათემატიკური შეჯამების პრინციპი და დაასკვნა, რომ მას გადახდილი აქვს სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ზიანი – 29 000 აშშ დოლარი და ... სახლის აუშენებლობით ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებული 16500 აშშ დოლარი. ამიტომ შედგა 2021 წლის 15 სექტემბრის ხელწერილი 45 000 აშშ დოლარის გადახდაზე, მაგრამ $29\ 000 + 16\ 500 = 45\ 500$ აშშ დოლარს. თუ აპელანტმა მოსარჩელეს აუნაზღაურა ზემოხსენებული ქმედებებით მიყენებული ზიანი, მაშინ ხელწერილში რატომ არ არის დაფიქსირებული 45500 აშშ დოლარი ან თუ მოსარჩელემ აპელანტს აპატია 500 აშშ დოლარი, მაშინ ვალის აღიარების შეთანხმებაში რატომ დაფიქსირდა ვალის თანხად 16 000 აშშ დოლარი, 16500-ის ნაცვლად. რატომ აიასახა ხელწერილში, რომ აღნიშნული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალს, ხოლო ვალის აღიარების შეთან-

ხმებაში დაფიქსირდა, რომ ეს თანხა არ შედის აპელანტის მიერ ანაზღაურებულ ზიანის თანხაში. მითითებულ კითხვებს სააპელაციო პალატამ თავი აარიდა და მოიხმო სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლი, რომელიც პრეიუდიციულად ჩათვალა.

26. კასატორმა მიიჩნია, მხარეთა შორის წერილობით შედგენილი გარიგებებით დასტურდება, რომ 2021 წლის 15 სექტემბერს ვალის აღიარების შეთანხმება იურიდიულ ძალაშია, მოპასუხეს არ გადაუხდია 16500 აშშ დოლარი და მოსარჩელეს გააჩნია ლიგიტიმური უფლება, მოითხოვოს და მიიღოს კუთვნილი 16500 აშშ დოლარი.

27. ამავდროულად, კასატორმა იშუამდგომლა მის მიერ განეული ხარჯის მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრება, სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 28 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 23 მაისის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სამოტივაციო ნაწილი:

30. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

31. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ – სსსკ-ი) 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება

კანონდარღვევას, რადგან სააკელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით.

32. სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

33. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება.

34. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავს სასამართლოს ვალდებულება და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

35. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1

მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა.

36. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spain*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez v. France*, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderosthuber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21;

37. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლო-

ბა (აღწერილობა), განაპირობებს მის სამართლებრივ მონესრიგებას სსკ-ის 341-ე მუხლის (იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას; თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი) საფუძველზე.

38. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომნდვს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთმეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

39. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადანყვეტილებაშია აღნიშნული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემომნებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) დადაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

40. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნების გამოვლენა სსკ-ის 341-ე მუხლით განმტკიცებულ ვალის არსებობის აღიარებად, რომ დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები წარმოშვას, ის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს უნდა ქმნიდეს, რამდენადაც ვალის აღიარება დამოუკიდებელ გარიგებად განიხილება და მისი დანიშნულება სწორედ ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა. არაერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარ-

რებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ მოქმედებების შესრულებას. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს (შდრ. სუსგ-ები №ას-839-890-2011, 08 ნოემბერი, 2011წ.; №ას-392-371-2013, 08 ნოემბერი, 2013წ.; №ას-1083-1040-2016, 26 აპრილი, 2018წ.; №ას-758-2019, 22 ოქტომბერი, 2019 წ; №ას-87-2020, 18 ნოემბერი, 2021 წ; №ას-400-2020, 15 თებერვალი, 2022 წ; №ას-1210-2022, 01 მარტი, 2023 წ; №ას-26-2024, 15 აპრილი, 2024 წ).

41. ვალის არსებობის აღიარება უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის პირობებს. ხელშეკრულებაში გაწერილი უნდა იყოს მისთვის მახასიათებელი ყველა არსებითი პირობა: კრედიტორისა და მოვალის მონაცემები, მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულება და მომავალში მისი შესრულების განზრახვა (იხ. ე. ბალიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 341, ველი 12; შდრ. სუსგ №ას-1485-1401-2012, 11 ნოემბერი, 2013წ.). პირი უნდა აღიარებდეს გარკვეული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (სუსგ №ას-1133-1079-2014, 30 სექტემბერი, 2015წ.; №ას-226-213-2015, 18. მაისი, 2015 წ.).

42. ვალის აბსტრაქტული (კონსტიტუციური) აღიარების, როგორც ვალდებულების წარმოშობის ახალი საფუძვლისაგან, უნდა გაიმიჯნოს ე.წ. ვალის დეკლარაციული (კაუზალური) აღიარება. დეკლარაციული ვალის აღიარების მიზანია არსებული ვალდებულების დადასტურება, მტკიცების პროცესის გამარტივება, შემდგომი დავის თავიდან აცილება, სადავო საკითხების მონესრიგება, მათ შორის, ყველა იმ ფაქტისა, თუ არგუმენტის გაქარწყლება, რომელიც ვალის არსებობას გამორიცხავს, ან თუნდაც, ეჭვქვეშ დააყენებს (იხ. დამატებით: Sprau, in Palandt BGB Komm., 72. Aufl., 2013, §781, Rn. 2-6; ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ. 11.; შდრ: სუსგ №ას-1529-2022, 01 მარტი, 2023 წ.,

პ.52.).

43. ამდენად, კაუზალური აღიარების მიზანია ძველი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება და არა ახალი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, დავისა თუ გაურკვევლობის თავიდან აცილება (შდრ. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014წ. §781, ველი 2-2.; სუსგ №ას-153-2022, 01 თებერვალი, 2023 წ.).

44. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

45. 2017 წლის 13 ნოემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... მდებარე ბინის განკარგვის მინდობილობა 1 თვის ვადით.

46. 2017 წლის 13 ნოემბერს უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით ქ. თბილისში, ... მდებარე 40.15 კვ.მ №76 ბინის (შემდგომ – სადავო ბინა), როგორც ნასყიდობის საგნის ღირებულება, განსაზღვრულია 29 000 აშშ დოლარით ეკვივალენტი ლარით.

47. 2020 წლის 19 თებერვლით დათარიღებული სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის დადგენილებაში პირის ბრალდების შესახებ მითითებულია შემდეგი: 2017 წლის 13 ნოემბერს აშშ-ს მოქალაქე მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული სადავო ბინის განკარგვის მინდობილობა 1 თვის ვადით. 2017 წლის 13 ნოემბერს მოპასუხემ მოპასუხის კუთვნილი სადავო ბინა მიჰყიდა ბ. შ-ას (შემდგომ – მესამე პირს) 29 000 აშშ დოლარად. ბინის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი თანხა მოპასუხეს მოსარჩელისათვის არ გადაუცია და არც მოსარჩელისა და მისი დის საბანკო ანგარიშზე შეუტანია. მან თანხა სრულად გამოიყენა პირადი მიზნებისთვის. ამდენად, მოპასუხის ქმედებით მოსარჩელეს მიადგა 76 555 ლარის (29 000 აშშ დოლარის) დიდი ოდენობის ზიანი.

48. 2021 წლის 9 აგვისტოს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორის სახელზე ბრალდებულ მოპასუხის მიერ მიმართული განცხადებით დგინდება შემდეგი: „მზად ვარ მთლიანად ავანაზღაურო დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალი 29 000 აშშ დოლარი“.

49. 2021 წლის 15 სექტემბერს, ერთი მხრივ, მოსარჩელისა და, მეორე მხრივ, მოპასუხის შორის დაიდო ვალის აღიარების შესახებ შეთანხმება, სადაც მითითებულია შემდეგი: „მოპასუხე დღეიდან ვალდებულია, მოსარჩელეს გადაუხადოს 16500 აშშ დოლარი. პირველ პუნქტში მითითებული ვალის საფუძველი წარმოშობილია იმ გარემოებით, რომ მოსარჩელემ სოფელ ... მისი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით,

მოპასუხეს გადასცა ფულადი თანხები, თუმცა მოპასუხემ საერთოდ არ შეასრულა შეთანხმებით გათვალისწინებული სახლის აშენების ვალდებულება. მხარეები ვადასტურებთ, რომ გარდა წინამდებარე შეთანხმებისა, მოსარჩელემ, დღეის რიცხვს, ასევე შეადგინა განცხადება/ხელწერილი, რომელში მითითებული „ზიანი“ არ მოიცავს წინამდებარე შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებულ თანხას“.

50. 2021 წლის 15 სექტემბერს, ნოტარიუსის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადასტურდა მოსარჩელის განცხადება შემდეგი შინაარსით: „მე, მოსარჩელე ვადასტურებ, რომ დაზარალებულად ვარ ცნობილი სისხლის სამართლის №092041018003 საქმეზე, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, ბრალდებულ მოპასუხის მიერ ჩემ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. წინამდებარე განცხადებით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ბრალდებულ მოპასუხეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელზე. შესაბამისად, თანახმა ვარ მოპასუხის მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასევე, ვადასტურებ, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული ჩემთვის მოყენებული ზიანი“.

51. 2021 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ ხელწერილში მითითებულია შემდეგი: „მე, ლ. ხ-ძე (შემდგომ – მოსარჩელის წარმომადგენელი) ვადასტურებ, რომ მოპასუხემ პ.ნ ... მოსარჩელის გადასაცემად გადმომცა 45 000 აშშ დოლარი 2021 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021). წინამდებარე ხელწერილს ვადასტურებთ ხელმოწერით – მოსარჩელის წარმომადგენელი, მოპასუხე“.

52. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტი მოპასუხემ დაადასტურა, რომ ტექსტი „აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021)“ გაკეთდა დამატებითი მინაწერის სახით და მისი მხრიდან სადავოდ არ გამხდარა, იგი ემსახურებოდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად დაზარალებულის – მოსარჩელის მხრიდან თანხმობის მიღებას, რაც მონინალმდევე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

53. კასატორი არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ, მოპასუხის მითითებით, ჯერ შედგა ხელწერილი, მინაწერის გარეშე და მან გადაიხადა 45 000 აშშ დოლარი, წავიდა, მოსარჩელის წარმომადგენელმა მოაბრუნა და ამ უკანასკნელმავე ჩაამატა

წინადადება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად გაიზიარა აპელანტის მათემატიკური შეჯამების პრინციპი და დაასკვნა, რომ მას გადახდილი აქვს სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ზიანი – 29 000 აშშ დოლარი და ... სახლის აუშენებლობით ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებული 16500 აშშ დოლარი. ამიტომ შედგა 2021 წლის 15 სექტემბრის ხელწერილი 45 000 აშშ დოლარის გადახდაზე, მაგრამ $29\ 000 + 16\ 500 = 45\ 500$ აშშ დოლარს. თუ აპელანტმა მოსარჩელეს აუნაზღაურა ზემოხსენებული ქმედებებით მიყენებული ზიანი, მაშინ ხელწერილში რატომ არ არის დაფიქსირებული 45500 აშშ დოლარი ან თუ მოსარჩელემ აპელანტს აპატია 500 აშშ დოლარი, მაშინ ვალის აღიარების შეთანხმებაში რატომ დაფიქსირდა ვალის თანხად 16 000 აშშ დოლარი, 16500-ის ნაცვლად. რატომ აიასახა ხელწერილში, რომ აღნიშნული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალს, ხოლო ვალის აღიარების შეთანხმებაში დაფიქსირდა, რომ ეს თანხა არ შედის აპელანტის მიერ ანაზღაურებულ ზიანის თანხაში. მითითებულ კითხვებს სააპელაციო პალატამ თავი აარიდა და მოიხმო სსსკ-ის 309²⁰-ე მუხლი, რომელიც პრეიუდიციულად ჩათვალა. კასატორმა მიიჩნია, რომ მხარეთა შორის წერილობით შედგენილი გარიგებებით დასტურდება, რომ 2021 წლის 15 სექტემბერს ვალის აღიარების შეთანხმება იურიდიულ ძალაშია, მოპასუხეს არ გადაუხდია 16500 აშშ დოლარი და მოსარჩელეს გააჩნია ლიგითი უფლება, მოითხოვოს და მიიღოს კუთვნილი 16500 აშშ დოლარი.

54. კასატორის პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

55. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპ-

პის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

56. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

57. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

58. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრე-

ბაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის მე-4 I-ელ მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დანყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს თავის მხრივ შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამარტო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

59. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (შდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

60. საკსაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი.

61. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

62. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესა-

გებელს.

64. მატერიალური შედაგება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

65. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედაგებას. კვალიფიციური შედაგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რო-

მელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“ (მდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ. 19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

67. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწვევად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

68. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

69. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების (გამომრიცხავი ნორ-

მების) შემონმება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად: ა) მოპასუხის მიერ ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან. ბ) შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემონმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემონმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე. კერძოდ, მოპასუხის შესაგებელი მონმდება ზემოხსენებულ საპირისპირო ნორმასთან მიმართებით. ამრიგად, ამ ეტაპზე მოპასუხის განმარტებები უნდა ასაბუთებდეს ამ საპირისპირო ნორმის დისპოზიციის არსებობას და ამ კუთხით უნდა იყოს გამართული. გ) მესამე ეტაპზე უნდა შემონმდეს უკვე მოსარჩელის პასუხი, რამდენად სათანადოდ (საკმარისად) ედავება იგი საპირისპირო ნორმის შედეგის დამფუძნებელ გარემოებებს.

70. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადანყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემონმდეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

71. საქმეზე დადგენილია, მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საქ-

მეზე დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, ბრალდებულის – მოპასუხის მიერ მის მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. საქმე დაკავშირებული იყო სოფელ ... მიმდინარე მშენებლობასთან. სულ მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვდა 29 000 აშშ დოლარსა და 16 500 აშშ დოლარს. იგი ამ მოთხოვნებს ჰყოფდა ორ ნაწილად – სისხლის სამართლის საქმეში მითითებულ 29 000 აშშ დოლარად და ე.წ. სამოქალაქო საქმეში განცდილ ზიანად – 16 500 აშშ დოლარად, რასთან დაკავშირებითაც 2021 წლის 15 სექტემბერს შედგა ვალის აღიარების შეთანხმება. მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა მოსარჩელისათვის 16 500 აშშ დოლარი. რადგან ორივე თანხა აღიარებულია მოსარჩელის მიერ, მოპასუხე ამ თანხას 45 500 აშშ დოლარს სადავოდ არ ხდის. აქვე დაზუსტებულია, რომ მოსარჩელემ ზემოაღნიშნული 45 500 აშშ დოლარის გარდა, მოპასუხისგან არასდროს არაფერს მოითხოვდა და არც შეიძლება მოეთხოვა, რადგან მათ შორის სხვა ურთიერთობა, გარდა სოფელ ... წარმოებული მშენებლობისა, დამყარებული არ ყოფილა. აღნიშნული თანხა მოსარჩელეს აუნაზღაურდა და სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ 500 აშშ დოლარი, კერძოდ, მოპასუხემ გადასცა მოსარჩელის წარმომადგენელს 45 000 აშშ დოლარი, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული ხელწერილი. გარდა ამისა, 2021 წლის 15 სექტემბერს მოსარჩელემ შეადგინა განცხადება, რომლითაც აღიარა, რომ მოპასუხემ აანაზღაურა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული მისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც შეადგენდა 29 000 აშშ დოლარს. გაუგებრობას ქმნის ერთადერთი გარემოება – 2021 წლის 15 სექტემბრის ხელწერილის ტექსტში მოსარჩელის წარმომადგენელმა ერთპიროვნულად, ხელწერილის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ ჩაამატა, რომ მის მიერ მიღებული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალს. ლოგიკურად ეს შეიძლება აიხსნას ერთადერთი გარემოებით – სულ თანხა უნდა ყოფილიყო 45 500 აშშ დოლარი, მაშინ როდესაც მოპასუხემ მოსარჩელის წარმომადგენელს გადასცა 45 000 აშშ დოლარი. ამიტომ მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს მაქსიმალურად 500 აშშ დოლარი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელწერილი, რომელშიც მითითებულია, რომ მიღებული თანხა არ მოიცავს ვალის აღიარების შეთანხმებას, არცერთ შემთხვევაში არ წარმოადგენს ვალის აღიარებას და არ წარმოშობს ახალ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხელწერილში გაკეთებული ჩამატებისა, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მას მოპასუხისგან ეკუთვნოდა უფრო მეტი ოდენობის თანხა, ვიდრე მიიღო. აღნიშნულს კი მოსარჩელე ვერ ამტკიცებს.

72. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძი-

რითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

73. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.

74. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებში განთავსებულ 2021 წლის 15 სექტემბრის ვალის აღიარების შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმების პირველი პუნქტის მიხედვით, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, გადაუხადოს მოსარჩელეს 16500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარი. იმავე შეთანხმების მე-2 პუნქტის თანახმად, პირველ პუნქტში მითითებული ვალის საფუძველი წარმოშობილია იმ გარემოებით, რომ მოსარჩელემ სოფელ ... საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით მოპასუხეს გადასცა ფულადი თანხები, თუმცა მოპასუხემ საერთოდ არ შეასრულა შეთანხმებით გათვალისწინებული სახლის აშენების ვალდებულება.

75. საკასაციო პალატას მიაჩნია, აღნიშნული დოკუმენტიდან დგინდება, რომ იგი არა ახალი ხელშეკრულება, არამედ სხვა, უკვე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენაა, ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას არ წარმოშობს და უკვე არსებული სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ვალს ეხება (მდრ: სუსგ №ას-26-2024, 15 აპრილი, 2024 წ. პ.79).

76. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებში განთავსებულ 2021 წლის 15 სექტემბრის სანოტარო აქტს, კერძოდ, ნოტარიუსის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადასტურდა მოსარჩელის განცხადება შემდეგი შინაარსით: „მე, მოსარჩელე ვადასტურებ, რომ დაზარალებულად ვარ ცნობილი სისხლის სამართლის №092041018003 საქმეზე, დანაშაულისათვის, რაც გათვა-

ლისწინებულის სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით, ბრალდებულ მოპასუხის მიერ ჩემ მიმართ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. წინამდებარე განცხადებით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ბრალდებულ მოპასუხეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მათ შორის არასაპატიმრო სასჯელზე. შესაბამისად, თანახმა ვარ მოპასუხის მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასევე, ვადასტურებ, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული ჩემთვის მოყენებული ზიანი“.

77. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს, რომ საქმის მასალებში განთავსებულ 2021 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ ხელწერილში მითითებულია შემდეგი: „მე, ლ.ხ-ძე (შემდგომ – მოსარჩელის წარმომადგენელი) ვადასტურებ, რომ მოპასუხემ პ.ნ ... მოსარჩელისათვის გადასაცემად გადმომცა 45 000 აშშ დოლარი 2021 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021). წინამდებარე ხელწერილს ვადასტურებთ ხელმოწერით – მოსარჩელის წარმომადგენელი, მოპასუხე“.

78. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტი მოპასუხემ დაადასტურა, რომ ტექსტი „აღნიშნული თანხა არ მოიცავს სამოქალაქო ვალს გათვალისწინებულს ვალის აღიარების შეთანხმებით (15.09.2021)“ გაკეთდა დამატებითი მინაწერის სახით და მისი მხრიდან სადავოდ არ გამხდარა, იგი ემსახურებოდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფარგლებში სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად დაზარალებულის – მოსარჩელის მხრიდან თანხმობის მიღებას, რაც მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

79. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით დასტურდება 29 000 აშშ დოლარის წარმოშობის საფუძველი, კერძოდ, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება; მოპასუხის, როგორც ბრალდებულის მზაობა გადაიხადოს 29 000 აშშ დოლარი; დაზარალებული მოსარჩელის განცხადება, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული მისთვის მიყენებული ზიანი და, ამასთან, მოსარჩელეს (დაზარალებულს) დამატებით გადაუხადა 16 000 აშშ დოლარი, სულ – 45 000 აშშ დოლარი, რაც უდავო გარემოებას წარმოადგენს.

80. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 45 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ კიდევ დამატებით 16500 აშშ დოლარის მოთხოვნის წარ-

მოშობის საფუძვლად, მოსარჩელე მიუთითებს ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებას, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული შეადგენს სოფელ ... მისი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით გადაცემულ თანხას. სააპელაციო სასამართლოს შეკითხვაზე, თუ რას შეადგენდა საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით გადახდილი 45 000 აშშ დოლარი მაშინ, როდესაც წერილობით დოკუმენტებში ზიანის და ნასყიდობის საგნის ღირებულება განსაზღვრული იყო 29 000 აშშ დოლარით, მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 45 000 აშშ დოლარი შეადგენს უძრავი ქონების რეალურ საბაზრო ღირებულებას და ვინაიდან მოპასუხემ გაასხვისა თბილისში არსებული უძრავი ქონება 29 000 აშშ დოლარად, დარჩენილი ზიანი შეადგენდა 16 000 აშშ დოლარს და აღნიშნულმა განაპირობა ხელწერილში 45 000 აშშ დოლარის მითითება.

81. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განმარტება არ გაიზიარა, ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს განისაზღვრა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 მუხლისა და 102-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხოლოდ ზეპირი განმარტება, რომ საპროცესო შეთანხმების დროს გადახდილი 45 000 აშშ დოლარიდან 29 000 აშშ დოლარი არ იყო სამყოფი უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების განსაზღვრისთვის, ამიტომ სამოქალაქო წარმოებით კიდევ მოთხოვნილი 16 000 აშშ დოლარი, რომელსაც მოსარჩელე განმარტავდა, როგორც თბილისში მდებარე უძრავი ქონების გასხვისების შედეგად დამდგარ ზიანს, ვინაიდან მისი საბაზრო ღირებულება აღემატებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებში მითითებულ 29 000 აშშ დოლარს, ვერ დაუპირისპირდება სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დოკუმენტებით განსაზღვრულ ზიანის ოდენობას იმაზე მითითებით, რომ მის მიერ არც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გაცხადებულა ამის შესახებ და არც მიმდინარე სამოქალაქო საქმის განხილვის ფარგლებში ყოფილა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც ვალის აღიარების შესახებ შეთანხმებაში, სანოტარო აქტში და ხელწერილში გაკეთებული ჩანაწერების წარმოშობის საფუძველს უტყუარად დაადასტურებდა. მეტიც, სანოტარო აქტში მოსარჩელემ ერთმნიშვნელოვნად განმარტა: „...წინამდებარე გაცხადებით ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, ბრალდებულ მოპასუხეს გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება, მათ შორის არასაკატიმრო სასჯელზე. შესაბამისად, თანახმა ვარ, მოპასუხის მიმართ გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასევე, ვადასტურებ, რომ მოპასუხემ აანაზღაურა ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების დადგენილებით გათვალისწინებული ჩემთვის მოყენებული ზიანი“.

82. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის შედეგად დგინდება, რომ გადახდილი 45 000 აშშ დოლარი მოიცავდა როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებით დამდგარ ზიანს (რაზეც დაზარალებულს პრეტენზია არ განუცხადებია), ასევე, მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებში სარჩელით მოთხოვნილ თანხის ოდენობასაც. ამდენად, ვალის აღიარების შეთანხმებაც მომდინარეობს სწორედ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან უკვე გადახდილი 45 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

83. თუმცა საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხის მიერ 16500 აშშ დოლარი სრულადაა ანაზღაურებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

84. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულ საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე – დისპოზიციურობაზე, რომლის თანახმადაც, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში. სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (იხ. სუსგ-ები: №ას-1028-2021, 01 ივლისი, 2022; №ას-1293-2022, 18 იანვარი, 2023 წ.).

86. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 83-ე მუხლებით რეგლამენტირებულია მხარეთა უმნიშვნელოვანესი საპროცესო უფლებები. ხსენებული მუხლები განამტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომლებშიც ვლინდება მხარის ნება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი საპროცესო უფლებები, იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადანყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძ-

ლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული წესების მიხედვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმართულია მოსარჩელის უფლებებისაკენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ ცნობა შეუქცევადია და მას გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოწყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძველად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (იხ. სუსგ №ას-64-58-2015, 8 აპრილი, 2015 წელი).

87. საქმის მასალებში განთავსებული შესაგებლის, მოპასუხის განმარტების (იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2022 წლის 14 დეკემბრის გადანყვეტილების მე-2 პუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხემ სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 500 აშშ დოლარის ოდენობით.

88. შესაბამისად, კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძველიანია, ხოლო გასაჩივრებული გადანყვეტილება კი დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

89. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადანყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გასაჩივრებული გადანყვეტილე-

ბა უნდა გაუქმდეს და მოპასუხეს დაეკისროს 500 აშშ დოლარის (გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ექვივალენტი ლარი) გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

საკასაციო პალატის მიერ საპროცესო ხარჯების განაწილება:

1. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მოსარჩელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2021 წლის 19 ოქტომბერს 1551.30 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 46.54 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 2023 წლის 28 დეკემბერს 2220.1 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 66.60 ლარი, სულ – 113.14 ლარი, ხოლო მოსარჩელეს კი უნდა დაეკისროს მოპასუხის სასარგებლოდ სააპელაციო საჩივარზე მოპასუხის მიერ 2023 წლის 15 მარტს 1707 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1656 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით, 53.1 და 53.3 მუხლით, მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ა. ჩ-ძეს მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს 500 აშშ დოლარის (გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ექვივალენტი ლარი) გადახდა;
5. ა. ჩ-ძეს მ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე და საკასაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟიდან 113.14 ლარის გადახდა;
6. მ. ა-ის ა. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1656 ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ვალდებულების დარღვევა

ხელშეკრულების მისაღებად შეცვლილი გარემოებისადმი

გადანყვებითილება საქართველოს სასაქონლო

№ას-314-2024

9 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)

ვ. კაკაბაძე,

ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის (შემდეგში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) მიერ 2020 წლის 13 თებერვალს გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი №230217, სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „სარფის“ შენობის ფართის ნაწილის 93.63 კვმ-ზე 10 წლით იჯარის უფლების მოპოვების შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის სანყოფის მონყოფის მიზნით.

2. ფართი გადაიციმოდა „შავი კარკასის“ სახით, მიყვანილი კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალმომარაგება, კანალიზაცია), ხოლო სარემონტო სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი კომუნიკაციების განმხორციელება/უზრუნველყოფა ეკისრებოდა მოიჯარეს. აუქციონში გამარჯვებულ პირს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სანყოფის მონყოფა და ფუნქციონირება უნდა უზრუნველყო არაუგვიანეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 90 კალენდარული დღის ვადაში.

3. აუქციონზე საბოლოოდ დაფიქსირებული იჯარის ყოველთვიური გადასახადი განისაზღვრა 427 700 ლარით, რაც შეთავაზებულ იქნა მოსარჩელის მიერ. 2020 წლის 04 მარტს აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა მოსარჩელე.

4. 2020 წლის 28 თებერვალს მოსარჩელის მიერ სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ საბანკო გადარიცხვის გზით გადახდილ იქნა 56 400.00 ლარი, აუქციონში მონაწილეობისთვის საგარანტიო თანხის სახით, განაცხადზე №230217BH20. აუქციონის პირობებით, მოიჯარის მიერ მეიჯარისადმი

საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოიშვებოდა შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. აუქციონის პირობას ასევე წარმოადგენდა დათქმა, რომ: ელექტრონული აუქციონი გაუქმდება და გამარჯვებულის მიერ, ელექტრონულ აუქციონში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხება სსიპ შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

5. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 22 მარტის №5864-სს დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით კი, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის საფუძველზე, დამტკიცდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით, სხვა მრავალ შეზღუდვასთან ერთად, 2020 წლის 23 მარტიდან აიკრძალა საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით. დადგენილების მე-7 მუხლით, საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა ყველა საქონლის/პროდუქტის მიწოდება/რეალიზაცია, გარდა სურსათისა და ზოგიერთი სხვა საქონლისა.

6. მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 16 მარტიდან დაიკეტა საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტები. ამოქმედდა რიგი სამთავრობო შეზღუდვები. 2020 წლის 21 მარტიდან გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, კანონმდებლობით აიკრძალა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების ოპერირება.

7. მოსარჩელემ ახალი კორონავირუსის თანმდევი შეზღუდვებიდან და საიჯარო ფართის მიზნობრიობიდან (თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის მოწყობა) გამომდინარე, მოპასუხეს შესთავაზა შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებაში 13.8 მუხლის დამატება, რომლის თანახმად, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება მოსარჩელეს არ წარმოეშობოდა მანამ, სანამ საქართველოში არ გაუქმდებოდა საგანგებო მდგომარეობა და ყველა შეზღუდვა და სრულად არ აღდგებოდა „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის ფუნქციონირება.

8. შეთანხმება მხარეებს შორის ვერ გაფორმდა. ასევე ვერ გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება.

9. 2020 წლის 16 აპრილს მოსარჩელემ წერილით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გარანტიის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, თუმცა მოპასუხემ თანხა არ დაუბრუნა.

10. მოსარჩელის მტკიცებით, 2020 წლის მარტში, პანდემიის გამო გამოცხადებული ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის გამო, მნიშვნელოვნად შემცირდა მისი შემოსავალი. საქმეზე წარმოდგენილია მტკიცებულება – შპს „დ.ფ.ჯ-იას“ და შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, რომლითაც დასტურდება, რომ 2020 წლის მარტში, შემოსავლის მნიშვნელოვნად კლების გამო, საიჯარო ხელშეკრულების იგივე პირობებით გაფორმება, რა პირობებიც შეთავაზებული იყო მოპასუხის მიერ, კერძოდ – ყოველთვიური საიჯარო ქირა განსაზღვრული იყო 427 700 ლარით, რაც გადახდილ უნდა ყოფილიყო იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე, შეცვლილიყო იმგვარი პირობით, რომ მოსარჩელეს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოშობოდა სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის სრულყოფილად ფუნქციონირების აღდგენის დღიდან და ხელშეკრულებას უნდა დამატებოდა შესაბამისი – 13.8. მუხლი.

11. შპს „დ.ფ.ჯ-იას“ და შვილობილი კომპანიის 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების, საქმიანობის მიმოხილვის ამონარიდის მიხედვით: 2020 წლის აპრილ-დეკემბრის შესაბამის მგზავრთა ნაკადის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სომხეთის საზღვარზე მგზავრთა ნაკადი 2017-2019 წლების იმავე მონაცემებთან შედარებით შემცირდა 94%-ით. აზერბაიჯანის საზღვარზე შემცირებამ შეადგინა 93, ხოლო თურქეთის საზღვარზე მგზავრთა ნაკადი შემცირდა 86%-ით, რამაც, ... ამავე პერიოდში გამოიწვია ჯგუფის შემოსავლების 98%-იანი კლება.

12. დადგენილია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარის შემოსავლების მნიშვნელოვანი კლების ფაქტი საქმეზე დადასტურებულია ფინანსური კვლევის შედეგად შედგენილი დოკუმენტით. გარდა ამისა, ფაქტი სარწმუნოა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გამო, კერძოდ, 2020 წლის დასაწყისიდან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებით, რასაც როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, ისე საქართველოში მოჰყვა არაერთი ეკონომიკური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პანდემიის გამო მოსარჩელის შემოსავლების კლების გარემოება, რაც დამატებით გამყარებულია ფინანსურ დოკუმენტით. შესაბამისად, შესაძლებელია იმ დასკვნის ჩამოყალიბება, რომ 2020 წლის მარ-

ტში მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად იმდენად გაუარესდა, რომ ამ გაუარესების შესახებ რომ სცოდნოდა, მოსარჩელე აუქციონში მონაწილეობას არ მიიღებდა. მისადაგებაზე მოპასუხესთან შეთანხმებას ვერ მიაღწია. საბოლოოდ კი მხარეებს შორის საერთოდ ვერ დაიდო ხელშეკრულება.

13. სასარჩელო მოთხოვნა და ფაქტობრივი საფუძვლები

13.1 მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე შპს „დ.ფ.ჯ-იას“ სასარგებლოდ დაეკისროს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხის სახით გადახდილი 56 400 ლარის დაბრუნება.

13.2 მოსარჩელე შპს „დ.ფ.ჯ-იამ“ 2020 წლის 13 თებერვალს მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით განახორციელა მოთხოვნილი საგარანტიო თანხის გადახდა – 56 400 ლარის ოდენობით. აუქციონის პირობების თანახმად, აღნიშნული თანხა რჩებოდა შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე მოსარჩელის მიერ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საგარანტიოდ. მოსარჩელემ 2020 წლის 4 მარტს გაიმარჯვა აღნიშნულ აუქციონში, რომელზეც გამოტანილი იყო სასაზღვრო გამშვებ პუნქტ (სგპ) „სარფის“ შენობის ფართობი – 93.63 კვმ, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სანყოფის გამოყენების მიზნით. მოსარჩელის მიერ შეთავაზებული ყოველთვიური იჯარის ქირის ოდენობა შეადგენდა 427 700 ლარს.

13.3 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის №1 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, განხორციელდა საზღვრების ჩაკეტვა და 2020 წლის 23 მარტს საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №181 დადგენილებით დადგენილების მოქმედების ვადით აიკრძალა უმეტესი სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა.

13.4 მიუხედავად იმისა, რომ საზღვარზე დანესებული შეზღუდვები პირდაპირ ზეგავლენას მოახდენდა მოსარჩელის ბიზნესის შემოსავლიანობაზე, ვინაიდან, სასაზღვრო-გამშვები პუნქტი ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას უშუალოდ იმ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საზღვარს, მოსარჩელე კვლავ მზადყოფნას გამოთქვამდა იჯარის ხელშეკრულების დადებაზე, შეთანხმებული პირობებით. მოსარჩელე ითხოვდა იჯარის ქირის 427 700 ლარის გადახდის დაწყებას შეზღუდვების მოხსნიდან და სასაზღვრო გამშვები პუნქტის ფუნქციონირების აღდგენიდან, რის შესაძლებლობასაც, მხარეთა შორის დასადებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ფორს-მაჟორის მუხლი

პირდაპირ ითვალისწინებდა, თუმცა შემოსავლების სამსახურისგან კომპანია 2020 წლის 14 აპრილს მიიღო წერილი, რომლის თანახმად, ეს უკანასკნელი არ იყო თანახმა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის პოზიცია.

13.5 მოსარჩელემ 2020 წლის 16 აპრილს კვლავ მიმართა მოპასუხეს წერილით, რომელშიც დეტალურად იყო ჩამოთვლილი ის გარემოებები, რომლებმაც არსებითად შეცვალა ის საფუძვლები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი იყო, თუმცა შემოსავლების სამსახურმა კვლავ უარი განაცხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის გადახდის ვალდებულების შეჩერებაზე, საზღვარზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნამდე.

13.6 შედეგად, შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმდა, რითაც ზიანი მიადგა, როგორც სახელმწიფო ინტერესს, ვინაიდან მოსარჩელე აცხადებდა მზადყოფნას, საზღვარზე შეზღუდვების გაუქმების შემდგომ ყოველთვიურად ეხადა საიჯარო ქირა – უპრეცედენტოდ მაღალი 427 700 ლარი, ისე მოსარჩელეს, რადგან მოპასუხის დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი უარის შედეგად დაკარგა ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო.

13.7 2020 წლის 22 აპრილს მოსარჩელემ შემოსავლების სამსახურს მიმართა წერილით და მოითხოვა აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი საგარანტიო თანხის უკან დაბრუნება 2020 წლის 10 მაისამდე, თუმცა მოპასუხემ არ გადაიხადა აღნიშნული თანხა.

14. მოპასუხის პოზიცია

14.1 მოპასუხემ შესაგებლით დაადასტურა სარჩელის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები. აკრძალვების დაწესებასთან დაკავშირებით კი მიუთითა შემდეგზე: მოსარჩელის მითითება მთავრობის №181 დადგენილებით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების ოპერირების აკრძალვის და სასაზღვრო გამშვები პუნქტების დაკეტვის შესახებ, – არ შეესაბამება რეალობას. ასეთ აკრძალვას მითითებული დადგენილება არ შეიცავს. დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესდა გარკვეული ვალდებულებები საცალო საბითუმო ვაჭრობის მიწოდებისას, კერძოდ, ობიექტებისთვის მომხმარებლისთვის პროდუქციის ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ საცალო საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას, ვალდებულნი არიან, დაიცვან გარკვეული პირობები, როგორიცაა პერსონალის პირბადითა და ხელთათმანით აღჭურვა; რეცხვა-დეზინფექციის გაზრდილი სიხშირე, მომხმარებლების მიერ სოციალური დისტანციის დაცვის გაკონტროლება.

14.2 მოპასუხე ხაზს უსვამს, რომ მთავრობის №181 დადგენილებით დაწესდა რეგულაციები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში სა-

ცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებს (როგორსაც წარმოადგენს საპრივატიზებო ობიექტები) შეეძლოთ საქმიანობის განხორციელება. ასევე არ დაკეტილა სასაზღვრო გამშვები პუნქტები, შეზღუდვა შეეხო მხოლოდ სამგზავრო მიმოსვლას, ხოლო სატვირთო მიმოსვლა დარჩა შეზღუდვის გარეშე (იხ. მთავრობის №181 დადგენილებების 2.1 მუხლი).

14.3 მოპასუხემ დამატებით მიუთითა, რომ 2020 წლის 13 თებერვალს გამოცხადდა აუქციონი სგპ „სარფის“ შენობის ფართის ნაწილის იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადაცემის მიზნით, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის მოსაწყობად.

14.4 აუქციონის პირობა იყო შემდეგი: ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ განცხადებაში მოცემული საწყობის ფასი შეადგენს ფართით სარგებლობის ერთი თვის საფასურს (დღგ-ს ჩათვლით). შესაბამისად, აუქციონის დასრულების შედეგად დაფიქსირებული ღირებულება წარმოადგენს სარგებლობის მანძილზე გადასახდელ ყოველთვიურ ღირებულებას (საიჯარო თანხას), რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად წინასწარი გადახდის გზით; ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება მონაწილეს შეეძლო „ინტერნეტ ბანკინგის“ საშუალებით, ასევე საბანკო დანესებულების მეშვეობით ბეს თანხის გადახდით ან/და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენით/გააქტიურებით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა შეადგენს 56 400 ლარს. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ვადა არანაკლებ 7 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას.

14.5 აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მითითებულ ფართში (საიჯარო ქონებაში) უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის მოწყობა. ამისათვის, დროებით სარგებლობაში, 10 წლის ვადით, გადაეცემა საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ შენობის ფართის ნაწილი, სულ 93.63 კვმ. აუქციონში გამარჯვებულ პირს აღნიშნული ფართი გადაეცემოდა შავი კარკასის სახით და მიყვანილი კომუნიკაციებით (ელექტროენერგია, წყალმომარაგება, კანალიზაცია), ხოლო სარემონტო სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი განმხორციელების განხორციელება/უზრუნველყოფა ეკისრება თავად მოიჯარეს; და შესაბამისი კომუნიკაციების განხორციელება/უზრუნველყოფა ეკისრება თავად მოიჯარეს; აუქციონში გამარჯვებულმა პირმა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ან/და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის მოწყობა და ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. შესაბამისად, საიჯარო ქონებაზე საჭირო სარემონტო სამუშაოები

უნდა განხორციელდეს აღნიშნულ ვადაში; აუქციონში გამარჯვებულ პირს და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება ხელშეკრულების საგანი აუქციონში გამარჯვებული პირის მოთხოვნიდან გამომდინარე, კერძოდ ხელშეკრულება გაფორმდება მოცემული იჯარის საგნიდან ერთ-ერთ პირობაზე: ა) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მონყობა; ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სანყოფის მონყობა; გ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სანყოფის მონყობა.

14.6 მოიჯარის მიერ მეიჯარისადმი საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი წესით გადაიხადეს „ბე“ ან წარადგინეს/გაააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ ან წარადგენილი/გაააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შემოსავლების სამსახურის ბიუჯეტში.

14.7 მოპასუხე ხაზს უსვამს, რომ ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულის მიერ, ელექტრონულ აუქციონში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხება სსიპ შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

14.8 აუქციონში გამარჯვების შემდგომ მოსარჩელემ მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოითხოვა გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ – ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საიჯარო ქირის გადახდა დანყებულებით „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის სრულყოფილად ფუნქციონირების აღდგენის დღიდან.

14.9 შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული ცვლილების შეტანაზე განაცხადა უარი, რის გამოც მოსარჩელემ უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე. მოპასუხე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის № 181 დადგენილებით დანესებულ შეზღუდვებს. მითითებული დადგენილების მე-7 მუხლით საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა სხვადასხვა გამონაკლისებისა. დადგენილებით შეიზღუდა არა კონკრეტული ობიექტების საქმიანობა, არამედ გარკვეული ეკონომიკური საქმიანობები. შესაბამისად მოსარჩელის მითითება, თითქოს მთავრობის დადგენილებით

აიკრძალა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების ოპერირება, არ შეესაბამება რეალობას.

14.10 შემოსავლების სამსახური ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტს. სასაზღვრო გამშვები პუნქტების ჩაკეტვის შესახებ, რადგან საქართველოს მთავრობის №181 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საგანგებო მდგომარეობის ვადით შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა. ამავე დადგენილების მე-6¹ მუხლის თანახმად, შეზღუდვა არ შეხება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს. შეზღუდვა შეეხო მხოლოდ სამგზავრო გადაყვანას.

14.11 შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების/სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით. ბრძანების მე-4 მუხლის 9.3 პუნქტის თანახმად, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

14.12 განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა მოსარჩელემ, მას შემდეგ რაც ცვლილებების შეტანაზე უარი ეთქვა. აუქციონის დასრულების შემდგომ, აუქციონის პირობების ცვლილებას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს, შესაბამისად გასაფორმებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაზე უარი მოსარჩელეს შემოსავლების სამსახურის მიერ მართლზომიერად ეთქვა, რაც თავის მხრივ გახდა მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის საფუძველი, ხოლო ხელშეკრულების, გაფორმებაზე უარის თქმა, თავის მხრივ, წარმოადგენს ელექტრონული აუქციონის შედეგების გაუქმების და საგარანტიო თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „დ.ფ.ჯ-იას“ სარჩელი მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა. მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს მოსარჩელე შპს „დ.ფ.ჯ-იას“ სასარგებლოდ დაეკისრა ხელშეკრულებ

ბის შესრულების საგარანტიო თანხის დაბრუნება – 56 400.00 ლარის ოდენობით.

16. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინება

17.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება.

17.2. სააპელაციო პალატის მითითებით, დადასტურებულია, რომ სახეზე იყო პანდემიით გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულება, რაც თავის მხრივ საფუძველია ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების. მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად იმდენად გაუარესდა, რომ ხელშეკრულების არსებული პირობებით დადების შემთხვევაში, კომპანიას უკიდურესად გაურთულდებოდა მისი შესრულება. ასეთი სახის გაუარესების შესახებ წინასწარი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში კი მოსარჩელე არ მიიღებდა აუქციონში მონაწილეობას.

17.3. სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 398.1 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელეს, პანდემიური ვითარების გამო, გაუჩნდა შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების კანონიერი საფუძველი, შესაბამისად, მოპასუხე მხარის უარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა.

17.4. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა კუმულაციური წინაპირობა იმისათვის, რომ მოსარჩელეს მიემართა მოპასუხისთვის და მოეთხოვა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რაც მოითხოვა კიდევ იმ ფარგლებით, რომელიც არ სცდებოდა გონივრულობისა და კეთილსინდისიერების ფარგლებს, აქედან გამომდინარე, მოპასუხის უარი ხელშეკრულების პირობების ცვლილებაზე გამორიცხავს მოსარჩელის ბრალეულობას.

18. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

18.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

18.2. კასატორის მითითებით, მოსარჩელე აუქციონში გამარჯვების შემდგომ ვალდებული იყო გაეფორმებინა ხელშეკრულება, რაც მან არ

შეასრულა. რადგან აუქციონის პირობა იყო შემდეგი: ელექტრონული აუქციონის შედეგების გაუქმდება და გამარჯვებულის მიერ ელექტრონულ აუქციონში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხება სსიპ შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე, შესაბამისად, ცხადია, რომ ხელშეკრულების იმპერატიული მოთხოვნა საგარანტიო თანხის უპირობო გამოუხმობლობას გულისხმობდა, რაზეც სასამართლო არ მსჯელობს და არ უთითებს ასეთი სახის პირობის დანიშნულებასა და მიზანზე.

18.3. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო პალატამ არასრულად შეაფასა საქმის გარემოებები და შედეგად, არასწორი სამართლებრივი შედეგი დააყენა. მოსარჩელემ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ანუ ხელშეკრულება იმ პირობებით, რაც განსაზღვრული იყო მხარეთა მიერ არ მიიღო და თავად მოსარჩელის ინიციატივით აღარ გაფორმდა. ასეთ შემთხვევას კი პირდაპირ და არაორაზროვნად განსაზღვრავს დასახელებული დანაწესი, რომლის თანახმად, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, ჩარიცხული საგარანტიო თანხა უკან დაბრუნებას აღარ ექვემდებარება. სწორედ ეს საკითხი უნდა შეეფასებინა სასამართლოს, რასაც მან თავი აარიდა.

18.4. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ აღნიშნული თანხის განთავსება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მოვალის გარანტია. ტენდერებსა თუ აუქციონებში მონაწილეობის მისაღებად საგარანტიო თანხის განთავსების მოთხოვნა განსხვავებული მონესრიგებისაა და მას აქვს აუქციონში მონაწილეობის მიღების პირობის შინაარსი.

19. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

19.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 15 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

19.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმა-

ყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

22. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

23. ამავე კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებს მიხედვით, 1. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

24. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს

მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (სუსგ №ას-251-2018, 08.02.2022 წ.).

25. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

26. სსკ-ის 398-ე მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. 2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. 3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

27. კანონიერად მიღწეული შეთანხმება იკავებს კანონის ადგილს მათი შემოქმედი მხარეებისთვის. ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპიდან სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპის უზრუნ-

ველსაყოფად არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა დაცვაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად „pacta sunt servanda“-ს უზენაესი წესის აღსრულება. კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება სახელშეკრულებო სამართლის ამ უზოგადეს მიზანთან წინააღმდეგობაში არ უნდა აღმოჩნდეს, რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების კერძოსამართლებრივ ღირებულებას. ინდივიდუალურ სახელშეკრულებო ინტერესსა და კერძო სამართლის დაცვითი, სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფ ფუნქციას შორის დილემის, წინააღმდეგობის არსებობისას, სასამართლო აღიჭურვება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ლეგიტიმური ჩარევის ძალმოსილებით.

28. სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების აღმოცენება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი რისკია, რომელთა პირობებშიც ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის შეუზღუდავი გამოყენება სახელშეკრულებო წონასწორობის, სამართლიანობის, გონივრულობის, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთა რღვევას განაპირობებს, შესაბამისად, „pacta sunt servanda“-ს პრინციპთან ერთად თანაარსებობს „clausula rebus sic standibus“-ის დოქტრინა, რომელიც სახელშეკრულებო პირობების მხოლოდ უცვლელ გარემოებათა პირობებში მხოლოდ ძალმოსილების შენარჩუნებას ითვალისწინებს.

29. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოსთვის განსახილველ მთავარ სამართლებრივ საკითხს წარმოადგენს არსებობდა თუ არა ხელშეკრულების პირობების შეცვლილი გარემოებებისთვის მისადაგების სამართლებრივი საფუძველი და აქედან გამომდინარე განთავსებული საგარანტიო თანხის მოთხოვნის შესაძლებლობა.

30. მოსარჩელე თავის პოზიციას აფუძნებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების გართულებას, რაც გამომდინარეა პანდემიური ვითარებით შემქნილი რთული დღისწესრიგით, შესაბამისად, აუქციონში მონაწილეობისთვის წარდგენილი საგარანტიო თანხა უნდა იქნეს დაბრუნებული. მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული თანხა ვერ დაბრუნდება, რადგან აუქციონის გამარჯვების პირობას წარმოადგენდა ხელშეკრულების ხელმოწერა, რაც არ განხორციელებულა. გარიგების დაუდებლობის შემთხვევაში კი აუქციონის პირობების თანახმად, ელექტრონული აუქციონის შედეგები გაუქმდება და გამარჯვებულის მიერ, „ელექტრონულ აუქციონში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხება სსიპ შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელ-

მონერაზე“.

31. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველ რიგში, შეცვლილი გარემოებების ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის, ასევე გართულების ნაცვლად დასადგენია მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის შეფასება, შედეგად იმის განსაზღვრა, შესაძლებელია თუ არა სსკ-ის 398 მუხლის (შეცვლილი გარემოებებისადმი სახელშეკრულებო პირობების მისადაგება) გამოყენებით სამართლებრივი შედეგის მიღწევა.

32. საკასაციო პალატა ამ კუთხით მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომელმაც დაადგინა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების მისადაგების საფუძვლები, რადგან სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არსებობდა შესრულების შეუძლებლობის ისეთი შემთხვევა, როდესაც გამოირიცხება მოსარჩელის ბრალეულობა. შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია რა, რომ მოპასუხის უარი – შეეცვალა ხელშეკრულებების პირობები, იყო უსაფუძვლო, სასარჩელო მოთხოვნის წარმატებულობა დააფუძნა უსაფუძვლო გამდიდრების – სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტს, რომლის თანახმად, ვითომ-კრედიტორის მიმართ წაყენებული მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების გამო თანხის უკან დაბრუნების შესახებ წარმატებულია, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს არ წარმოიშობა ან შეწყდა.

33. საკასაციო პალატა ზემოაღნიშნულ მოტივაციას ვერ გაიზიარებს, რადგან სსკ-ის 398-ე მუხლის დისპოზიცია თავისთავად იმპერატიულად ადგენს ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, რომლის პირობებზეც მხარეები შეთანხმდნენ, თუმცა ვითარების შეცვლის გამო ხელშეკრულების პირობებს ცვლიან. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება გულისხმობს ხელშეკრულების არსებობასა და მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივ შებოჭვას. სწორედ სახელშეკრულებო შებოჭვისას შესრულების გართულება ხდება შემდგომ აღნიშნული ნორმის წამატებულად გამოყენების საფუძველი.

34. განსახილველ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულება არ დადებულა, კერძოდ, მოსარჩელემ, მართალია, გაიმარჯვა აუქციონში, თუმცა ეს აპრიორულად არ ნიშნავს ხელშეკრულების ამოქმედებას. ვალდებულების დაწყების მომენტი ასეთ დროსაც ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება და მის შინაარსზე დათანხმებაა ხელშეკრულების ხელმოწერით. წინამდებარე შემთხვევაში კი ასეთი სახის მოცემულობა არაა, რადგან თავად მოსარჩელემ თქვა უარი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა, შესაბამისად, დაუდებელი ხელშეკრულების მიმართ შეცვლილი გარემოებების გამო პირობების შეც-

ვლის მოპასუხისთვის დავალდებულება ვერ იქნება ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისი, რადგან, ამ შემთხვევაში, ცალსახად გამოირიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებათა ამოქმედება.

35. თავის მხრივ, აუქციონის წესებით ნათლად დასტურდება, რომ გამარჯვებულის მიერ ელექტრონულ აუქციონში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხება სსიპ შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე. აღნიშნული პირობით ცალსახადაა დადგენილი, რომ ხელშეკრულებაზე ხელის არმოწერის საფუძველს არ აქვს არავითარი სამართლებრივი ბერკეტი მოთხოვნილ იქნეს გარანტიის თანხა. დანაწესი აცხადებს, რომ ასეთი სახის თანხა უპირობო და გამოუხმობია, შესაბამისად, ვერ მოხდება მისი კომპენსირება, მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარე უარს ამბობს გარიგების დადებაზე, შესაბამისად, ამ გზებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება წარუმატებელია.

36. რაც შეეხება თავად შესრულების შეუძლებლობასა თუ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების პირობების ცვლილებას, საკასაციო პალატა განსაზღვრავს, რომ თუ კი თავად ხელშეკრულება ხელმოუწერელია და მხარეები ურთიერთვალდებულებით სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ არიან, სსკ-ის 398-ე მუხლიდან გამომდინარე შეუძლებელია იმ სახელშეკრულებო პირობების ცვლილების მოთხოვნა, რომელი ხელშეკრულებაც ძალაში არ შესულა მოსარჩელის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის გამო. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შესრულების შეუძლებლობის შეფასებაზე მსჯელობა არარელევანტურია და თანხის დაბრუნება ვერ იქნება ამ საფუძველზე დამოკიდებული.

37. საკასაციო პალატა განსაზღვრავს, რომ ვერც თანხის კანონისმიერი საფუძვლით მოთხოვნის დასაბუთება იქნება გაზიარებული, რადგან სსკ-ის 976-ე მუხლი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარეები ურთიერთ-ვალდებულებით დამოკიდებულებაში ერთმანეთთან არ იმყოფებიან სახელშეკრულებო გაგებით და სწორედ ამ დროს ერთი მხარის მიერ შესრულებული, მეორე მხარისთვის ინვესტ უსაფუძვლო გამდიდრების, როგორც სამართლებრივი შედეგის წარმოშობას. განსახილველ შემთხვევაში კი სამართლებრივი საფუძველი სახეზეა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, აუქციონის ჩატარებას, ხოლო, მეორე მხრივ, საგარანტიო თანხის განთავსებას, რომლებიც ორივე მხარემ შეასრულა, ხოლო თანხის უპირობო გამოუხმობის საკითხი, რადგან მათ შორის გათვალისწინებული სააუქციონო წესებითაა მოწესრიგებული, გამორიცხავს რამე სახის უსაფუძვლობას, შესაბამისად, ამ კუთხითაც, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სასარჩელო მოთხოვნა.

ნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის განჩინება;
3. შპს „დ.ფ.ჯ-იას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „დ.ფ.ჯ-იას“ (ს.კ. ...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი ბაჟის ჯამური ოდენობა – 6 768 ლარი;
5. მოსარჩელე შპს „დ.ფ.ჯ-იას“ (...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით ზედმეტად გადახდილი თანხის ნაწილი – 1 688.00 ლარი. (გადახდის თარიღი – 23.06.2020; საგადახდო დავალება №...; გადამხდელი – შპს „დ.ფ.ჯ-ია“, გადამხდელის ბანკი – სს „ტერაბანკი“, სახაზინო კოდი – ...; მიმღები – სახელმწიფო ხაზინა – TRESGE22).
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სასაქონლო

№ას-601-2021

21 მარტი, 2024 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება, თანხის დაკისრება, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება (ძირითად სარჩელში); ქირის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. ამხანაგობა „პ.“ (შემდეგში – ამხანაგობა) 2012 წლის 26 სექტემბერს დაფუძნდა, რომლის წევრები იყვნენ: დ. დ-ძე (შემდეგში – პირველი მოპასუხე), ი. დ-ძე (შემდეგში – მეორე მოპასუხე), ნ. ბ-ი (შემდეგში – მესამე მოპასუხე), ე. ს-ია (შემდეგში – მეოთხე მოპასუხე), ვ. ბ-ი (შემდეგში – მეხუთე მოპასუხე) და ბ. ბ-ი (შემდეგში – მეექვსე მოპასუხე).

2. 2012 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებით (შემდეგში – ნარდობის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება) ამხანაგობის წევრებმა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ვალდებულება იკისრეს, რომლის ვადად მშენებლობის დაწყებიდან 1 წელი განისაზღვრა. ამხანაგობაში გ. ფ-ვას (შემდეგში – მოსარჩელე ან კასატორი) შენატანს 307 კვ.მ მინის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობები შეადგენდა.

3. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდეგ მოსარჩელისათვის ამხანაგობას უნდა გადაეცა: 16 500 აშშ დოლარი; მე-2 სართულზე ავტოფარეხის თავზე აღმოსავლეთის მხარეს მდებარე 72 კვ.მ ფართი, თეთრი კარკასით, კერძოდ: გარედან დასრულებული, შიდა გალესილი ტიხრებით და ელექტროგაყვანილობით; ბოლო სართულზე აღმოსავლეთის მხარეს მდებარე მანსარდის ტიპის 60 კვ.მ ფართი.

4. მოპასუხეთა წინააღმდეგ მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა:

4.1. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ-

ბის მოპასუხეთათვის შესრულების დავალება, კერძოდ: მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მარცხენა ტორსული კედლის ფართის 0.00 ნიშნულიდან პირველი სართულის ჭერის ნიშნულამდე ქვიშა-ცემენტის ბათქაშით დაფარვა და მარცხენა ტორსულ კედელსა და ძველი ავტოფარების კედელს შორის არსებული სივრცის გადახურვა, თუნუქის ნყალსადინარი ღარის მოწყობით, ქანობით ქუჩისკენ; სახლის უკანა ფასადის კედელსა და საყრდენ კედელს შორის არსებული სივრცის ქვიშა-ცემენტის ბათქაშით სრულად გადახურვა, სადარბაზოსთან არსებული ტორსული კედლის უკან ღია გრუნტის სივრცის გადახურვა, საცხოვრებელი სახლის სახურავიდან ატმოსფერული ნალექების საევაკუაციო მილსადენთა სისტემის შეცვლა და მარცხენა ტორსულ კედელზე ფუნქციონალურად განთავსება, საფეხუროვანი მოხაზულობის მილის ვერტიკალური დგარით შეცვლა.

4.2. მოპასუხეთათვის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ბოლო სართულზე მოსარჩელის კუთვნილი მანსარდის ტიპის ფართის (აღმოსავლეთით) საცხოვრებლად ვარგის კონდიციამდე მიყვანის დავალება, კერძოდ: იატაკის მოპირკეთება (ბეტონის დასხმა და ხის იატაკის დაგება), კედლებისა და ჭერის მოპირკეთება-თბოიზოლაცია (დათბუნება და გიფსოკარდონის გაკვრა), ელექტროობის მოწყობა, სანტიქნიკის გაკეთება (საკანალიზაციო მილსადენის გაყვანა, 4 სველი წერტილის მოწყობა), აბაზანა-ტუალეტის სამშენებლო ნორმების დაცვით პროექტის მიხედვით აშენება (მანსარდაში შესასვლელის მიხედვით კორიდორის მარცხენა მხარეს გადატანა).

4.3. მოპასუხეთათვის, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ბოლო სართულზე (აღმოსავლეთ მხარეს) მანსარდის ტიპის ფართში ექსპერტიზით დადგენილი დანაკლისის – 13.52 კვ.მ მოცულობის ფართით ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციით – 9 464 აშშ დოლარით (1 კვ.მ ფართი 700 აშშ დოლარზე გაანგარიშებით) შევსება.

4.4. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 16 130 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეთათვის დაკისრება.

4.5. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეთათვის, 2014 წლის თებერვლიდან 2016 წლის ოქტომბრამდე განცდილი მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მიუღებელი შემოსავლის – 25 808 აშშ დოლარის ოდენობით;

4.6. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეთათვის, 2014 წლის თებერვლიდან 2017 წლის იანვრამდე განცდილი მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბინის გაქირავების შედეგად მისაღები შემოსავლის – 28 800 აშშ დოლარის ოდენობით.

4.7. 60 000 აშშ დოლარის ოდენობით მორალური ზიანის მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეთათვის დაკისრება.

5. 7 000 აშშ დოლარის ოდენობით ბინით სარგებლობის პერიოდის ქირის ანაზღაურების მოთხოვნით მოსარჩელის წინააღმდეგ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი მესამე მოპასუხემ წარადგინა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით:

6.1. მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხეებს, 16 130 აშშ დოლარის სოლიდარულად გადახდა დაეკისრათ, ხოლო, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6.2. მესამე მოპასუხის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მესამე მოპასუხის სასარგებლოდ, მოსარჩელეს, ბინით სარგებლობის გამო ზიანის ასანაზღაურებლად 4 500 აშშ დოლარის ოდენობით ქირის გადახდა დაეკისრა.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მესამე მოპასუხემ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით:

– მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

– სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

– მოპასუხეებს დავვალათ, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მარცხენა ტორსულ კედელსა და ძველი ავტოფარეხის კედელს შორის არსებული სივრცის გადახურვა, თუნუქის წყალსადინარი ღარის მოწყობით, ქანაობით ქუჩისკენ, ასევე, – სახლის უკანა ფასადის კედელსა და საყრდენ კედელს შორის არსებული სივრცის გადახურვა, სადარბაზოსთან არსებული ტორსული კედლის უკან ღია გრუნტის სივრცის გადახურვა თუნუქის წყალსადინარი ღარის მოწყობით;

– მოსარჩელისათვის მოპასუხეებს 4 004 აშშ დოლარისა და 4 591.2 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრათ;

– დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

– მესამე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოსარჩელეს 2 500 აშშ დოლარის გადახდა დაევალა.

8.1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 6 აპრილის დასკვნის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მარცხენა ტორსულ და უკანა ფასადის კედელზე უხარისხოდ შესრულებული ჰიდროსაიზოლაციო სამუშაო ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის ბინის შიდა სივრცეში წყლის ჩადინების თავიდან აცილებას, რის გამოც მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინა ჩვეულებრივი გამოყენებისათვის ვარგისად ვერ მიიჩნეოდა.

ამასთან, ამავე ბიუროს 2014 წლის 5 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნა ზემოაღნიშნული დასკვნის გასაბათილებლად ვერ გამოდგებოდა, რადგან მისი კვლევის მიზანი ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან მოსარჩელისთვის გადასაცემ ფართებში შესრულებული სამუშაოს შესაბამისობის დადგენა იყო და, არა – მათში წყლის ჩადინების მიზეზების გარკვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მითითებული სამუშაოს მოპასუხეთათვის დავალების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ წარმატებულად ჩათვალა, გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 639-ე, 641.1 და 642.1 მუხლებიდან.

8.2. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მანსარდის ტიპის ფართის საცხოვრებლად ვარგის კონდიციამდე მიყვანისა და სველი წერტილების პროექტის მიხედვით მონყობის შესახებ აღძრული მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ იმ საფუძვლით არ დააკმაყოფილა, რომ მანსარდის საცხოვრებლად ვარგის (გარემონტებულ) მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულება მოპასუხეებს (ამხანაგობის წევრებს) ნარდობის ხელშეკრულებით არ უკისრიათ.

ხსენებული ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხეებმა, აშენებულ საცხოვრებელ ფართში ბოლო სართულზე აღმოსავლეთით მდებარე 60კვ.მ მანსარდის მოსარჩელისთვის გადაცემის ვალდებულება იკისრეს, თუმცა ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, რომ დასახელებული მანსარდა საცხოვრებლად ვარგისი (გარემონტებული) უნდა ყოფილიყო (სსკ-ის 639-ე, 641.1 მუხლები).

8.3. მანსარდის ტიპის ფართში ექსპერტიზით დადგენილი დანაკლისის (სხვაობა 60 კვ.მ-სა და 46.48 კვ.მ-ს შორის) 13.52 კვ.მ მოცულობის ფართით ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციით (9 464 აშშ დოლარი – 1 კვ.მ 700 აშშ დოლარზე) შევსების ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ საფუძვლიანად ჩათვალა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 14 აპრილის დასკვნის თანახმად, იატაკის დონეზე მანსარდის ფართი 54.28კვ.მ-ია, საიდანაც შიდა ფართია 42.56კვ.მ, ხოლო, აივნის ფართია 11.72კვ.მ, ნაცვლად ხელშეკრულებაში მითითებული 60კვ.მ-ისა.

შესაბამისად, ამხანაგობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას მანსარდის მდგომარეობა არ შეესაბამება, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ნაკლის აღმოფხვრა და მანსარდის ფართის 60კვ.მ-დე გაზრდა შეუძლებელია, წარმოქმნილია მოსარჩელისათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი (სსკ-ის

394.1, 408.1, 409-ე მუხლები).

ფულადი ანაზღაურების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ შემდეგი გარემოებები მიიღო მხედველობაში:

უძრავი ქონების შეფასების შესახებ საქმეზე წარმოდგენილი 2017 წლის 24 აპრილის დასკვნის მიხედვით, 1 კვ.მ გარემონტებული მანსარდის ფართის საბაზრო ღირებულება 900 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო, თანხის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მოსარჩელემ 1 კვ.მ-ზე 700 აშშ დოლარით იხელმძღვანელა.

შესაბამისად, ზიანის გაანგარიშებისას 1 კვ.მ-ზე 700 აშშ დოლარი უნდა მიჩნეულიყო მხედველობაში. რაც შეეხებოდა დანაკლისი ფართის ოდენობას, იგი 5.72 კვ-ს შეადგენდა, რაც 60 კვ.მ-ისა და 54.28 კვ.მ-ის სხვაობას წარმოადგენს.

აღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელის სასარგებლოდ სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეებს 4 004 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა (სსკ-ის 394.1, 408.1 და 409-ე მუხლები).

8.4. რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას – მის წინაშე მოპასუხეთა მხრიდან – ბინისა და მანსარდის ტიპის საცხოვრებელი ფართების აშენების შესრულების ვადის დადგომიდან (2014 წლის თებერვლიდან) განცდილი მატერიალური ზარალის მიუღებელი შემოსავლის სახით ანაზღაურების თაობაზე, მოცემულ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ სარჩელი წარუმატებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება, რომ მას უკვე დადებული ჰქონდა ან სადავო ქონების ქირავნობის შესახებ გარიგების დადებას აპირებდა ან თავისი ფუნქციური დანიშნულებით ქონება შემოსავლის მისაღებად იყო გათვალისწინებული.

საქმის მასალებით არც ის გარემოება არ მტკიცდებოდა, რომ მოსარჩელის საქმიანობის საგანი ბინების გაქირავება და ამ გზით შემოსავლის მიღება იყო (სსკ-ის 394-ე, 411-ე, 412-ე მუხლები).

8.5. მოპასუხეთა მხრიდან – 16 130 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან (2014 წლის თებერვლი) ვალდებულების შესრულებამდე (2018 წლის 4 აპრილი) განცდილი მატერიალური ზარალის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა.

კერძოდ, მოსარჩელეს ზიანი იმ ოდენობით აუნაზღაურა, რასაც იგი საბანკო სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში მიიღებდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდის მონაცემებით, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების დეპოზიტებზე უცხოურ ვალუტაში 2014 წლისათვის 2018 წლამდე პერიოდში შესაბამისად 7.0%, 6.1%, 5.4%, 4.8% იყო, რაც საშუალოდ

წლიურ 5.6%-ს შეადგენდა.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეებს გადასახდელი თანხის წლიური 6% უნდა დაჰკისრებოდათ, რაც 2014 წლის თებერვლიდან 2018 წლის აპრილამდე პერიოდის გათვალისწინებით 4 591.2 აშშ დოლარს შეადგენდა.

8.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელი დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა 2013 წლის აგვისტოდან ბინის გამოსახლების მუქარის, ბინაში ელექტროენერჯისა და გაზის მიწოდების შეწყვეტით გამოწვეული სულიერი ტანჯვის, განცდილი ფსიქო-ემოციური სტრესისა და ჯანმრთელობის შერყევისთვის მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში, რადგან მოსარჩელის მიერ დასახელებული გარემოებები მორალური ზიანის ანაზღაურების სსკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას არ ქმნიდა.

8.7. რაც შეეხებოდა მესამე მოპასუხის შეგებებულ სარჩელს, მისი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ ყურადღება საქმეზე დადგენილად ცნობილ შემდეგ გარემოებებზე გაამახვილა:

– მესამე მოპასუხის ბინაში მოსარჩელე 2012 წლის 26 სექტემბრიდან 2014 წლის 18 სექტემბრამდე, როგორც საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პერიოდში, ასევე, მშენებლობის დასრულებისა და კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგაც ცხოვრობდა.

– საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა 2013 წლის 3 აგვისტოს დასრულდა, ხოლო, კორპუსი ექსპლუატაციაში ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით იქნა მიღებული.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მესამე მოპასუხის ბინაში ცხოვრების სახელშეკრულებო პერიოდად უნდა განისაზღვროს 2013 წლის აგვისტომდე და, არა – 2013 წლის 30 დეკემბრამდე დროის მონაკვეთი, ვინაიდან, 2012 წლის 26 სექტემბრის ხელშეკრულებით მესამე მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, რომ მისი კუთვნილი ბინა მოსარჩელისათვის დროებით საცხოვრებლად მშენებლობის პერიოდში დაეთმო.

აღნიშნულ პერიოდად კი, უშუალოდ მშენებლობის დასრულების პერიოდი (2013 წლის 3 აგვისტო) მიიჩნევა და ეს მოვლენა კორპუსის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღთან დაკავშირებული არაა.

საქმეზე წარმოდგენილი აუდიტორული ფირმა „ჩ-ის“ მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ურემონტო მდგომარეობაში მესამე მოპასუხის კუთვნილი ბინის გაქირავების საბაზრო ღირებულება 520 აშშ დოლარს შეადგენდა, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლომ მესამე მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს 2 500 აშშ დოლა-

რის გადახდა დააკისრა.

9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

9.1. საკასაციო საჩივრით, მოსარჩელე, ამ გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებას, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებასა და, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შემდეგი დასაბუთებით მოითხოვს:

– ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობამ, ბინისა და მანსარდის ნივთობრივი ნაკლით აშენებამ და მანსარდის დაუსრულებლობამ, მოსარჩელეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიყენა. ბინაც და მანსარდაც თბილისის ცენტრში, რენტაბელურ ადგილზე მდებარეობს. შესაბამისად, კასატორს მარტივად, მინიმალური გონიერებისა და მცირე ძალისხმევის შედეგად, ქირავნობის მარტივი გარიგების პირობებში შეეძლო მათი გაქირავება და სოლიდური შემოსავლის მიღება, რაც ეკონომიკური სიდუხჭირიდან მისთვის გამოსავალი იქნებოდა. მოსარჩელის მიმართ ზიანის მიყენების ფაქტი ნათელი იყო მოპასუხეთათვის, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან და სამშენებლო სფეროში ბიზნესს აწარმოებენ.

– მართალია, მიუღებელი შემოსავლის მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მაგრამ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი მიკერძოებულად, მინიმალურ ფარგლებში შეაფასა.

– მორალური ზიანი მოსარჩელეს იმ არაადაამიანური და ღირსების შემლახავი დამოკიდებულების გამო მიადგა, რაც მესამე მოპასუხის ბინაში მის ცხოვრებას ახლდა თან. სამოქალაქო კოდექსი მორალურ ზიანად ისეთ ქმედებას მიიჩნევს, რომელიც ფიზიკურ ტკივილთან სულაც არ არის დაკავშირებული. შესაბამისად, ხსენებულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა არსებობდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის პატივისა და ღირსების შელახვის ფაქტი საქმეზე დადასტურებულია.

– სსკ-ის 380-ე მუხლის მიხედვით, თუ შესრულების ხარისხი ხელშეკრულებაში დანვრილებით არ არის განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი. ამდენად, მოპასუხეები ვალდებული იყვნენ, რომ მანსარდის ფართში დამატებითი სამუშაო ჩატარებინათ და იგი საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოეყვანათ.

9.2. მოპასუხეთა საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა, გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი არგუმენტაციით:

– სადავო სამართალურთიერთობა სააპელაციო სასამართლომ ნარ-

დობად არასწორად დააკვალიფიცირა, არასწორად დაადგინა ფაქტი იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ამხანაგობის მიერ მოსარჩელისთვის გადასაცემი ბინის ფართი ნაკლის მქონეა და ამხანაგობის წევრებმა თანხის გადაცემის ვალდებულება დროულად არ შეასრულეს.

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 6 აპრილის დასკვნა, რომლითაც საერთოდ არ დგინდება ის გარემოება, რომ უხარისხო მშენებლობის გამო მოსარჩელის კუთვნილ ბინას გააჩნია ნაკლი. ხსენებული დასკვნა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ წვიმის დროს ბინისა და სადარბაზოს დატბორვა გარემო ფაქტორებმა და კორპუსის საევაკუაციო მილის დაზიანებამ გამოიწვია და, არა – უხარისხოდ შესრულებულმა მშენებლობამ, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა. საგულისხმოა, რომ ზემომითითებული პრობლემა მშენებლობის დასრულებისა და კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ წარმოიშვა, როდესაც ხეებმა და ფოთლებმა საევაკუაციო მილი დააზიანეს და მისი აღმოფხვრის ვალდებულება მოპასუხეთა მოვალეობაში აღარ შედიოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმეზე ამხანაგობის 2014 წლის 5 აგვისტოსა და 2014 წლის 10 ოქტომბრის კრების ოქმებია წარმოდგენილი, რის საფუძველზეც სწორედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებმა შეკრებილი ფულადი თანხებით კორპუსის საევაკუაციო მილი შეაკეთეს, რაშიც ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს არანაირი ბრალი არ მიუძღვით. საევაკუაციო მილის შეკეთების შემდეგ კორპუსის სადარბაზოსა და ბინებში წყალი აღარ ჩადინებულა.

– სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გადასაცემი 16 130 აშშ დოლარის მიღებასა და ბინის დარეგისტრირებაზე მოსარჩელემ თავად განაცხადა უარი. მითითებული გარემოება ამხანაგობის 2013 წლის 15 აგვისტოს კრების ოქმითაც დასტურდება.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 11 ივნისისა და 31 აგვისტოს განჩინებებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით საკასაციო საჩივრები წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო პალატის 2024 წლის 14 მარტის განჩინებით მხარეთა საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნეს დასაშვებად და მიღებულ იქნა განხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის სა-

ფუძვლების შემონახვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადანყვებილების იმ ნაწილს, რომლითაც მოპასუხეთა მხრიდან 16 130 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან (2014 წლის თებერვალი) ვალდებულების შესრულებამდე (2018 წლის 4 აპრილი) მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რასაც შემდეგი არგუმენტაციით ასაბუთებს:

ზემოთთქველ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე მიუთითა, სადაც განმარტებულია, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, თუმცა, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან მიმართებით მიდგომა განსხვავებულია, რაც ფულის განსაკუთრებული თვისებით, კერძოდ, სყიდვითუნარიანობით არის გამოწვეული და, ყველა შემთხვევაში, ფულს სარგებლის მოტანის უნარს ანიჭებს.

ფული ყოველვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება შესძინოს, არამედ, საბანკო პროცენტის სახით გარკვეული პერიოდული შემოსავალიც მიაღებინოს. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა, კერძოდ, მოსარჩელეს ზიანი იმ ოდენობით აუნაზღაურა, რასაც იგი საბანკო სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში მიიღებდა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი განმარტება განსახილველ ინდივიდუალურ საქმესთან დაკავშირებით ვერ იქნება გამოყენებული, რამდენადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკითვე დადგენილია, რომ:

თუკი დავა ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს არ შეეხება, მოსარჩელის მტკიცების ტვირთში შედის სარჩელით მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მიღების ფაქტის დადასტურება (იხ. სუსგ.-ები: №ას-884-2022, 27.04.2022; №ას-964-2018, 01.04.2020; №ას-81-2020, 02.03.2020; №ას-1178-1098-2017, 26.03.2019; №ას-771-720-2017, 03.11.2017; №ას-459-438-2015, 07.07.2015).

მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელი შემოსავლის გამო მიყენებული ზიანის მოპასუხეთათვის დაკისრებაზე უარის თქმის საფუძველს სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არარსებობა ქმნის. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სრული ანაზღაურება შეეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია.

ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*). მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო.

იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს“ (მდრ. იხ. სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.15).

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 411-ე მუხლი როგორც სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმა, თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით, აგრეთვე კანონისმიერი ვალდებულების დარღვევით გამონკვეთი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას (იხ. გიორგი რუსიაშვილი/გიორგი ბათლიძე, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის კომენტარი, წიგნის სამი, გვ. 724) მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადანყვეტი-

სას ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის ანაზღაურება განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება (იხ., სუსგ-ის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-307-291-2011).

411-ე მუხლის მიზნებისათვის სავალდებულოა, მოსარჩელე მიუთითებდეს, რომ თანხის დეპოზიტზე განთავსება მის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ამგვარი ქმედების ნეგატიური შედეგები სავარაუდოა მეორე მხარისათვის. ამ ფაქტების მითითების გარეშე მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის პრინციპს (იხ. სუსგ. №ას-884-2022, 27.04.2022).

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტული შემთხვევა სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილი უზენაესი სასამართლოს განჩინებებსა თუ გადაწყვეტილებებში განხილული შემთხვევებისგან განსხვავდება, რადგან მოცემული დავა ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროულად შესრულების გამო გასესხებული თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს არ შეეხება; მოსარჩელემ ამ ნაწილში ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, თანხის დეპოზიტზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენით დაედასტურებინა შემოსავლის დაკარგვის რეალურობა. ამასთან, მოსარჩელის საქმიანობის სპეციფიკა, სარჩელით მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მიღების საფუძვლიან ვარაუდს არ ქმნის.

ამდენად, 2014 წლის თებერვლიდან 2018 წლის 4 აპრილამდე პერიოდისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ეთქვას.

12. რაც შეეხება გადაწყვეტილების დანარჩენს ნაწილებს, მათში წარმოდგენილი მსჯელობა სრულადაა გასაზიარებელი, სახელდობრ:

12.1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 6 აპრილის დასკვნის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ საქმეზე მართებულად დაადგინა, რომ მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მარცხენა ტორსულ და უკანა ფასადის კედელზე უხარისხოდ შესრულებული ჰიდროსაიზოლაციო სამუშაო მოსარჩელის ბინის შიდა სივრცეში წყლის ჩადინების თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფდა, რის გამოც მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ბინა ჩვეულებრივი გამოყენებისათვის ვარგისად ვერ მი-

ინწეოდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ მითითებული სამუშაოს მოპასუხისთვის დავალების ნაწილში სარჩელი ნაწილობრივ კანონისმიერად ჩაითვალა წარმატებულად, გამომდინარე სსკ-ის 639-ე, 641.1 და 642.1 მუხლებიდან.

12.2. მოსარჩელის საკუთრებაში არსებული მანსარდის ტიპის ფართის საცხოვრებლად ვარგის კონდიციამდე მიყვანისა და სველი წერტილების პროექტის მიხედვით მონყობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი იმ მოტივით არ არსებობს, რომ მანსარდის საცხოვრებლად ვარგის (გარემონტებულ) მდგომარეობაში გადაცემის ვალდებულება მოპასუხეებს ნარდობის ხელშეკრულებით არ უკისრიათ.

ხელშეკრულებაში აღნიშნული მხოლოდ ისაა, რომ აშენებულ საცხოვრებელ ფართში მოპასუხეებმა ბოლო სართულზე აღმოსავლეთით მდებარე 60 კვ.მ მანსარდის მოსარჩელისთვის გადაცემის ვალდებულება იკისრეს, თუმცა მითითებული არ არის, რომ დასახელებული მანსარდა საცხოვრებლად ვარგისი (გარემონტებულ მდგომარეობაში) უნდა ყოფილიყო.

12.3. მანსარდის ტიპის ფართში ექსპერტიზით დადგენილი დანაკლისის (სხვაობა 60 კვ.მ-სა და 46.48 კვ.მ-ს შორის) 13.52 კვ.მ ფართით ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციით (9 464 აშშ დოლარი – 1 კვ.მ 700 აშშ დოლარზე) შევსების ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ნაწილობრივ სახეზეა.

სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 14 აპრილის დასკვნის თანახმად, იატაკის დონეზე მანსარდის ფართი 54.28 კვ.მ-ია, საიდანაც შიდა ფართია 42.56 კვ.მ, ხოლო, აივნის მოცულობაა 11.72 კვ.მ, ნაცვლად ხელშეკრულებაში მითითებული 60 კვ.მ-ისა.

შესაბამისად, ამხანაგობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას მანსარდის ფართობი არ შეესაბამება, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ნაკლის აღმოფხვრა და მანსარდის ფართის 60 კვ.მ-დე გაზრდა მატერიალური სახით შეუძლებელია, სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი იყო დასაბუთებული (სსკ-ის 394.1, 408.1, 409-ე მუხლები).

12.4. მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება, რომ მას უკვე დადებული ჰქონდა ან საქმეში მითითებულ ქონებასთან დაკავშირებით ქირავნობის შესახებ ხელშეკრულების დადებას აპირებდა; ასევე არაა დასაბუთებული, რომ თავისი ფუნქციური დანიშნულებით ქონება მოსარჩელისთვის შემოსავლის მისაღებად იყო გათვალისწინებული; ამასთან, საქმის მასა-

ლებით არც ის გარემოება არ მტკიცდებოდა, რომ მოსარჩელის საქმიანობის საგანს ბინების გაქირავება და ამ გზით შემოსავლის მიღება წარმოადგენდა და სააპელაციო სასამართლომ კანონშესაბამისად მიიჩნია, რომ 2014 წლის თებერვლიდან განცდილი მატერიალური ზიანის (ბინის გაქირავების შედეგად მისაღები შემოსავლის) ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო (სსკ-ის 394-ე, 411-ე, 412-ე მუხლები).

12.5. სსკ-ის 413-ე მუხლით (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც) გათვალისწინებული შემადგენლობის ერთმნიშვნელოვნად არარსებობის გამო მოსარჩელეს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზეც მართებულად ეთქვა უარი.

12.6. ამავდროულად, საქმეზე შექმნილი ფაქტობრივი მოცემულობა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი გარემოებები მასზედ, რომ მესამე მოპასუხის ბინაში მოსარჩელე 2012 წლის 26 სექტემბრიდან 2014 წლის 18 სექტემბრამდე, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პერიოდში, მშენებლობის დასრულებისა და კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგაც ცხოვრობდა (საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა 2013 წლის 3 აგვისტოს დასრულდა, ხოლო, კორპუსი ექსპლუატაციაში ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით იქნა მიღებული) მითითებული საფუძვლით საცხოვრებელი ბინის სარგებლობიდან გამომდინარე მიუღებელი ქირის თანხის – 2500 აშშ დოლარის ანაზღაურების საფუძველს აყალიბებს და წარმოქმნის ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველს.

13. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53.1 მუხლის პირველი და მეორე წინადადების შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,

თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, 2014 წლის თებერვლიდან 2018 წლის 4 აპრილამდე პერიოდისათვის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ სარჩელის უარყოფის ნაწილში მოპასუხეების სასარგებლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, საპროცესო ხარჯის ასანაზღაურებლად მოპასუხეთა სასარგებლოდ მოსარჩელეს 713,93 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ტ. ფ-ვას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ამხანაგობა „პ.-ის“ წევრების: დ. დ-ძის, ი. დ-ძის, ნ. ბ-ის, ე. ს-იას, ვ. ბ-ისა და ბ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც ამხანაგობა „პ.-ის“ წევრებს – დ. დ-ძეს, ი. დ-ძეს, ნ. ბ-ს, ე. ს-იას, ვ. ბ-სა და ბ. ბ-ს, ტ. ფ-ვას სასარგებლოდ დაეკისრათ 4 591.2 აშშ დოლარის გადახდა და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს;
5. ტ. ფ-ვას, ამხანაგობა „პ.-ის“ წევრების: დ. დ-ძის, ი. დ-ძის, ნ. ბ-ის, ე. ს-იას, ვ. ბ-ისა და ბ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ, ამ უკანასკნელების გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 713,93 ლარის ანაზღაურება.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1398-2023

26 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება, ქონების რეალიზაციის გზით თანხის გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

1. კ. შ-ძემ (შემდგომ – გამყიდველი, მოსარჩელე, მონინალმდებელი მხარე) სარჩელი აღძრა შპს „ლ. თ-ის“ (შემდგომ – სანარმო, პირველი მოპასუხე), დ. შ-ძისა (შემდგომ – მყიდველი, მეორე მოპასუხე) და ს. ს-ძის (შემდგომ – სანარმოს დირექტორი, ასევე ერთობლივად მოპასუხეები, აპელანტები, კასატორები) მიმართ თანხის დაკისრების, ზიანის ანაზღაურებისა და ქონების რეალიზაციის გზით თანხის გადახდევინების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელემ საზღვარგარეთ შეიძინა სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალება – ავტოგაზგასამართი მისაბმელი ..., სახელმწიფო ნომრით ... ავტოტექნიკის საქართველოში ჩამოყვანისთანავე, 2012 წლის დეკემბერში, მოსარჩელემ ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიას მიაქირავა. ამასთან, ვინაიდან საზოგადოებას ახალი დაწყებული ჰქონდა გაზის ბიზნესი და კაპიტალდაბანდებისთვის ესაჭიროებოდა მნიშვნელოვანი თანხა, ქირის საფასურის გადახდა გადაიდო კომპანიის მიერ სს „ბ. რ-ისაგან“ აღებული სესხის დაფარვის შემდეგ, ამასთან, მოსარჩელის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება ბანკის სასარგებლოდ დაიტვირთა გირავნობის უფლებით, მოსარჩელე ამავე სესხზე წარმოადგენდა კომპანიის თავდებს. 2015 წლის 1 ივლისს მოსარჩელესა და კომპანიას შორის წერილობით გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, თავდაპირველად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 1 იანვრამდე, ხოლო მოგვიანებით მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულება გაგრძელდა უვადოდ.

აღნიშნული დასტურდება დირექტორის 2017 წლის 10 მარტის ცნობით. ამავე ცნობის თანახმად, მოპასუხე კომპანია მოსარჩელეს ქირის სრულ საფასურს გადაუხდოდა სესხის დაფარვიდან (2018 წლის ოქტომბრიდან) ექვსი თვის ვადაში, რაზეც კომპანიის დირექტორმა აიღო სოლიდარული პასუხისმგებლობა. ამ დრომდე ქირის დავალიანება არ არის დაფარული, შესაბამისად, სოლიდარულად უნდა დაეკისროთ ქირის საფასურის გადახდა 2013 წლის იანვრიდან 2018 წლის აპრილამდე (65 თვის), 19 500 ლარი, კომპანიასა და მის დირექტორს მოსარჩელის სასარგებლოდ. მიუღებელი შემოსავლის სახით კი, სოლიდარულად უნდა დაეკისროთ დავალიანებული თანხის თვიური 2.5%-ის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 487.5 ლარს, 2018 წლის 26 აპრილიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

3. მოსარჩელემ მინდობილობა გაუფორმა მოპასუხე კომპანიაში დასაქმებულ ვ. ც-ძეს, რომელმაც 2018 წლის 26 აპრილს ავტოსატრანსპორტო საშუალება მიყიდა მეორე მოპასუხეს, თუმცა არც მინდობილ პირს და არც შემძენს, მოსარჩელისათვის ნასყიდობის თანხა არ გადაუხდიათ. შესაბამისად, მას უნდა დაეკისროს ქონების ღირებულება – 59 000 ლარი მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო მიუღებელი შემოსავლის სახით, დავალიანებული თანხის თვიური 2.5%-ის გადახდა, რაც ყოველთვიურად შეადგენს 1475 ლარს, 2018 წლის 26 აპრილიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

4. ზემოაღნიშნულის შედეგად მიღებული ნერვული სტრესის, სულიერი ტანჯვისა და დეპრესიის გამო, გაუჩნდა შაქრიანი დიაბეტი, რაც არ დაექვემდებარა მედიკამენტურ მკურნალობას, გადაიზარდა დიაბეტურ განგრენაში და საჭირო გახდა ქვედა, მარცხენა კიდურის ცერა თითის ამპუტაცია. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს შეეზღუდა შრომის უნარი და მიაღდა მნიშვნელოვანი (გამოუსწორებელი) მორალური ზიანი, რის გამოც ითხოვს, მოპასუხეებს დაეკისროთ მორალური ზიანის ანაზღაურება, თითოეულს 50 000 ლარი.

5. მოპასუხეთათვის დაკისრებული თანხა უნდა გადაიხადონ თავიანთი კუთვნილი იმ ქონების რეალიზაციის გზით, რომლებზედაც გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

მოპასუხის შესაგებელი

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ავტოტექნიკის თანხა მოსარჩელეს, როგორც სანარმოს წარმომადგენელს გადაეცა ხელზე და ის ვ. ც-ძესთან ერთად ავტოტექნიკის შესაძენად გაემგზავრა უკრაინაში. მოსარჩელემ ავტოტექნიკა კომპანიის თანხმობის გარეშე გააფორმა თავის სახელზე, მოსარჩელე არ აფორმებდა ავტომანქანას კომპანიის სახელზე არც მას შემდეგ, რაც ეს ტექნიკა საქართველოში ჩამოვიდა. მოსარჩელეს მიღებული აქვს საკ-

მაო შემოსავალი, მათ შორის სარჩელით მოთხოვნილი 19 500 ლარი, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის ცნობით. მოსარჩელეს მოპასუხე კომპანიის ქმედებით არანაირი ზიანი არ მისდგომია. პირიქით, კომპანია დაზარალდა მოსარჩელის თვალთმაქცური და თაღლითური სქემებით.

7. კომპანიის დირექტორს არანაირი სოლიდარული ვალდებულება მოსარჩელის წინაშე არ აუღია და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ წარმოდგენილი ცნობა გაყალბებულია. ამ ეჭვს ამყარებს სარჩელის მეორე ფაქტობრივ გარემოებაში მოსარჩელის განმარტებაც, რომ ცნობა მას სჭირდებოდა საწარმოდან მიღებული შემოსავლებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად. სწორედ ამ მიზნით მოსარჩელემ ცნობა შექმნა თავად.

8. გაუგებარია, რომელი ქონებისა და შემოსავლის დაკარგვაზე საუბრობს მოსარჩელე, როდესაც მას საკუთრებაში არც ჰქონია სადავო ავტომობილი და რეალურად ეს ქონება ეკუთვნოდა კომპანიას.

9. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ არის შესაბამისი მტკიცებულებები, არ დასტურდება კონკრეტულად რა ქმედებებით მიადგა მორალური ზიანი მოსარჩელეს და რით გამოიხატა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

10. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საწარმოს დაეკისრა 19 500 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის სახით, დავალიანებული თანხის, 19 500 ლარის, წლიური 10.6%-ის გადახდა, რაც ყოველთვიურად 172.25 ლარია, 2019 წლის მაისიდან ვალდებულების (19500 ლარის) შესრულებამდე მოსარჩელის სასარგებლოდ; მეორე მოპასუხეს დაეკისრა 59 000 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის, დავალიანებული თანხის, 59 000 ლარის, წლიური 10.3%-ის გადახდა, რაც ყოველთვიურად 506.41 ლარია 2021 წლის იანვრიდან ვალდებულების (59000 ლარის) შესრულებამდე მოსარჩელის სასარგებლოდ; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეთა მიმართ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები დარჩა უცვლელად. გაუქმდა ამავე განჩინებით მოპასუხე დირექტორის მიმართ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება; საწარმოს დაეკისრა სარჩელზე გადახდილი ბაჟის 771 ლარისა და უზრუნველყოფის ბაჟის, 25 ლარის, გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. მეორე მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისთვის სარჩელზე გადახდილი 2 229 ლარისა და უზრუნველყოფის ბაჟის, 25 ლარის, გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

11. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის განჩინებით – სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

13. სააპელაციო პალატამ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2015 წლის 1 ივლისს სატრანსპორტო საშუალებაზე ..., მოსარჩელესა და სანარმოს შორის წერილობით გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. თავდაპირველად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 1 იანვრამდე, ხოლო მოგვიანებით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულება გაგრძელდა უფადოდ. ქირის ყოველთვიური საფასური განისაზღვრა 300 ლარით. აღნიშნული დასტურდება 2015 წლის 1-ელი ივლისის წერილობითი ხელშეკრულებითა და დირექტორის მიერ 2017 წლის 10 მარტს გაცემული ცნობით, რომლის მიხედვით, კომპანიას მოსარჩელის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება გადაცემული ჰქონდა სასყიდლიანი სარგებლობით და გადასახდელი ჰქონდა ქირა. ცნობა ხელმოწერილია დირექტორის მიერ და ხელმოწერის ნამდვილობა დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით. ამასთან, უდავო იყო, რომ საქართველოში შემოყვანის დღიდან, 2012 წლის დეკემბრიდან, ავტოტექნიკა გამოიყენებოდა კომპანიის გაზის ბიზნესის ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად, დადასტურებულია, რომ კომპანია ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული ავტოგაზგასამართი მისაბმელით.

14. მოპასუხე აღნიშნავდა, რომ მოსარჩელეს სანარმოსაგან მიღებული აქვს შემოსავალი, მათ შორის, სარჩელით მოთხოვნილი 19 500 ლარი, რასაც ადასტურებდა ცნობა შემოსავლების სამსახურიდან. პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში მართლაც წარმოდგენილია ცნობა შემოსავლების სამსახურიდან, თუმცა იგი ასახავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ სანარმოსაგან, 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, მიიღო დასაბეგრი შემოსავალი 19600 ლარი. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობა შეიცავდა შემოსავლების სამსახურში სანარმოს მიერ დეკლარირებულ ინფორმაციას და მისი შინაარსის გათვლისწინებით, არ დასტურდებოდა კონკრეტულად საიჯარო ქირის გადახდა.

15. სააპელაციო პალატის მითითებით, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე და მოპასუხე კომპანიის დირექტორი შეთანხმდნენ მოსარჩელის სასარგებლოდ ქირის ჯამური ოდენობა გადახდილი იქნებოდა ბანკიდან აღებული სესხის დაფარვიდან 2018 წლის ოქტომბრიდან ექვსი თვის

ვადის დაცვით. დადგენილი იყო მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი, შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ნაწილშიც სარჩელი საფუძვლიანი იყო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება – დასაბუთებული.

16. მეორე სასარჩელო მოთხოვნა ნასყიდობის საგნის საფასურის გადახდა, რომლის გადაუხდელობას ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2018 წლის 26 აპრილს ვ. ც-ძეს მინდობილობით მფლობელობაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება და მიანიჭა გარკვეული უფლებები, მათ შორის – ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის უფლება. ამ უკანასკნელმა კი, როგორც მინდობილმა პირმა, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება ..., მიჰყიდა მეორე მოპასუხეს, პალატის მითითებით, დადგენილი იყო მოსარჩელის საკუთრების უფლება მისი მეორე მოპასუხისათვის გასხვისების დროისათვის. დადგენილია, რომ გამყიდველმა შეასრულა თავისი ვალდებულება – ქონება გადაუფორმა შემძენს შსს მომსახურების სააგენტოში ერთობლივი განცხადების წარდგენის გზით. აქედან გამომდინარე, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ დაუსაბუთა ნივთის ღირებულების გადახდის შეთანხმების ფაქტი და არ იყო ნასყიდობის ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტები.

17. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუღებელი შემოსავალი არის ის თანხა, რასაც კრედიტორი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, განსახილველ შემთხვევაში კი, დადგენილია მოვალის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – კრედიტორს არ გადაუხადა ნასყიდობის საფასური. შესაბამისად, ამ ნაწილშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილება პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

18. კასატორის მტკიცებით, მოსარჩელეს არცერთი თეთრი არ გადაუხდია ტექნიკის შესაძენად საკუთარი სახსრებიდან და მისი საფასური გადაიხადა კომპანიის დამფუძნებელმა. რაკი კომპანიის მიმართ გარკვეული სამართლებრივი შეზღუდვები იყო დაწესებული, სატრანსპორტო საშუალება ვერ გადააფორმა. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე ქირავნობის ხელშეკრულება ფორმალურად დაიდო და ის მხარეთა ნამდვილ ნებას არ გამოხატავდა.

19. რაც შეეხება მოსარჩელისათვის გადახდილ 19 600 ლარს, მან ეს თანხა მიიღო იურიდიული მომსახურების გაწევისათვის, რამდენადაც სხვადასხვა ინსტაციაში წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს.

20. კომპანიის დირექტორის მიერ გაცემული ცნობა კი სადავოა, რამ-

დენადაც მას კომპანიის წესდებით ამის უფლებამოსილება არ ჰქონდა. გარდა ამისა, ცნობაც ფორმალური ხასიათის იყო და მხარეთა რეალურ ნებას არ ასახავდა. ასეც რომ არ იყოს, ცნობაში მითითებულია 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 10 მარტამდე დავალიანების შესახებ, ხოლო 2012 წლის დეკემბრიდან არსებულ დავალიანებას, გარდა მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა, სხვა მტკიცებულება არ ადასტურებს.

21. დაუსაბუთებელია მოსარჩელის მეორე მოპასუხის მიმართ მოთხოვნაც. საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დგინდება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. მინდობილობის გაცემა და მომსახურების სააგენტოში მისვლა არა ნასყიდობას, არამედ მოსარჩელის სახელზე ავტოსატრანსპორტო საშუალების ფორმალურად გაფორმებას ადასტურებს, რაც მოწმის ჩვენებითაც ნათლად დადასტურდა.

22. გაუგებარია, რატომ არ მიიჩნია სასამართლო მოწმის ჩვენება სათანადო მტკიცებულებად, როდესაც ის უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ამ პროცესებში. ამასთან, ის ერთადერთი მოწმეა და სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად სადავო გარემოებას ადასტურებს.

23. სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლო გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის მოპასუხეთათვის დაკისრების ნაწილში. დაუსაბუთებელი თავად სასარჩელო მოთხოვნაც. ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს მიყენებული ზიანის შინაარსი, მოსარჩელე კი, ზოგადად მიუთითებს მიუღებელ შემოსავალზე და ვერ ადასტურებს მისი მიღების სავარაუდოობას. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას იწვევს.

სამოტივაციო ნაწილი:

24. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის კასატორებისათვის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით, პირველი მოპასუხისათვის დავალიანებული თანხის 19 500 ლარის წლიური 10.6%-ის გადახდისა და მეორე მოპასუხისათვის დავალიანებული თანხის, 59 000 ლარის, წლიური 10.3%-ის გადახდის დაკისრების თაობაზე სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენე-

ბული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

26. პირველი მოპასუხის მიმართ საიჯარო ქირის დავალიანების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 581.1 მუხლს (იჯარის ხელშეკრულებით შეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც) ეფუძნება.

27. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ამ ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები შესრულებულია, კერძოდ, დადგენილია, რომ მხარეებმა თავდაპირველად 2012 წლის დეკემბრიდან ზეპირად, მოგვიანებით – 2015 წლის 1 ივლისს წერილობით სატრანსპორტო საშუალებაზე – ავტოგაზგასამართ მისაბმელ-ზე დადეს იჯარის ხელშეკრულება; მოიჯარეს დროებით სარგებლობაში გადაეცა სატრანსპორტო საშუალება; მხარეთა შეთანხმებით ამ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა 2018 წლის აპრილს; მოიჯარეს არ გადაუხდია საიჯარო ქირა, მოსარჩელე მოითხოვს ქირის გადახდას 2013 წლის იანვრიდან 2018 წლის აპრილამდე (65 თვე) – 19500 ლარს.

28. არ არის გასაზიარებელი პირველი მოპასუხის მტკიცება, რომ იჯარის ხელშეკრულება თვალთმაქცური (სსკ-ის 56-ე მუხლი) გარიგება იყო, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალება ფორმალურად იყო გაფორმებული მოსარჩელის სახელზე, რეალურად კი, სანარმოს ეკუთვნოდა. თვალთმაქცური გარიგების საფუძვლად მოპასუხე შესაგებლში მიუთითებდა, რომ მოსარჩელემ ავტოტექნიკა კომპანიის თანხმობის გარეშე გააფორმა თავის სახელზე, მოსარჩელემ კი, არ გადაუფორმა ავტომანქანა კომპანიას არც მას შემდეგ, რაც ტექნიკა საქართველოში ჩამოვიდა. მოსარჩელე მანიპულირებდა იმით, რომ დასაქმებული იყო საჯარო სექტორში და კომპანიას ჰპირდებოდა არარსებული პრობლემების თავისი კავშირებით მოგვარებას. სააპელაციო საჩივარში ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ის მიუთითა, რომ მოსარჩელეს მონაწილეობა

არ მიუღია ტექნიკის შეძენაში, ხოლო საკასაციო საჩივარში საწარმოს ქონების მოსარჩელის სახელზე გაფორმების მიზეზად უკვე საწარმოს მიმართ სამართლებრივი შეზღუდვის არსებობაზე მიუთითებს.

29. გარდა იმისა, რომ კასატორის (პირველი მოპასუხის) პოზიცია თავივე არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა შორის ნამდვილი იჯარის ხელშეკრულების არსებობას საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს. აღნიშნული დასტურდება 2015 წლის 1 ივლისის მხარეთა შორის დადებული იჯარის წერილობითი ხელშეკრულებითა და საწარმოს დირექტორის მიერ 2017 წლის 10 მარტს გაცემული ცნობით, რომლითაც ამ უკანასკნელმა მოსარჩელისათვის ქირის სრულად გადახდა სესხის დაფარვიდან (2018 წლის ოქტომბრიდან) ექვსი თვის ვადით იკისრა. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ ამ მტკიცებულებებით არ დასტურდება 2012 წლიდან 2015 წლის 1 ივლისამდე იჯარის ხელშეკრულების არსებობა, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციების სასამართლოთა მსჯელობას, რომ ამ პერიოდში მხარეთა შორის ზეპირი ხელშეკრულების არსებობას ადასტურებს საქართველოში შემოყვანის დღიდან – 2012 წლის დეკემბრიდან მოსარჩელის კუთვნილი ავტოტექნიკის კომპანიის გაზის ბიზნესის ფუნქციონირებისათვის გამოყენების უდავო ფაქტი, ანუ კომპანია ფლობდა და სარგებლობდა აღნიშნული ავტოგაზგასამართი მისაბმელით, თუმცა მოპასუხემ ვერ დაადასტურა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა სადავო ავტომობილით კომპანიის სარგებლობას. ამ გარემოების მითითებისა და მტკიცების ტვირთი სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა.

30. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელი და არათანმიმდევრულია კასატორის პრეტენზია სხვა მტკიცებულებებთან დაკავშირებითაც. საწარმოს დირექტორის მიერ 2017 წლის 10 მარტს გაცემულ ცნობასთან დაკავშირებით, საწარმო შესაგებელში მიუთითებდა მისი სიყალბის შესახებ, რაც გაქარწყლდა ექსპერტიზის დასკვნით, ხოლო საკასაციო სასამართლოში კი მხარემ აღნიშნა, რომ დირექტორს ამგვარი ცნობის გაცემის უფლება ნესდებით არ ჰქონდა, რაც დაუსაბუთებელია. რაც შეეხება საწარმოს მიერ მოსარჩელისათვის გადახდილ 19 600 ლარს, მოპასუხე შესაგებელში ამტკიცებდა, რომ იჯარის ხელშეკრულება ნამდვილადაც რომ მიგვეჩინა, საწარმოს მიერ ქირის გადახდის ვალდებულებას გამორიცხავდა ის ფაქტიც, რომ ამ უკანასკნელს მოსარჩელისათვის უკვე გადახდილი ჰქონდა 19 600 ლარი. საკასაციო საჩივარში კი მიუთითებს, რომ მოსარჩელემ ეს თანხა მიიღო იურიდიული მომსახურების განვებისათვის, რამდენადაც სხვადასხვა ინსტაციაში წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს. ამდენად, ამ კუთხი-

თაც მხარის პოზიცია არათანმიმდევრული და არადამაჯერებელია.

31. ამრიგად, რაკი დადგენილია მოსარჩელის მიერ თავისი კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოპასუხე კომპანიისთვის იჯარით გადაცემის ფაქტი, ხოლო მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა საიჯარო ქირის გადახდა, მოსარჩელეს წარმოევა გადაუხდელი ქირის მოთხოვნის უფლება. დადგენილია, რომ ქირის თვიური ოდენობა განსაზღვრული იყო 300 ლარით, ამასთან იჯარის ხელშეკრულება ზეპირად დაიდო 2012 წლის დეკემბერში, წერილობით – 2015 წლის 1 ივლისს და გრძელდებოდა ავტოტექნიკის გასხვისებამდე 2018 წლის 26 აპრილამდე, 65 თვის განმავლობაში, შესაბამისად, გადაუხდელი ქირა 19 500 ლარით უნდა განისაზღვროს.

32. მეორე მოპასუხის მიმართ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის საფასურის გადახდევინების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 477.2 მუხლს (მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) ეფუძნება. ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის მისაღებად შემდეგი წინაპირობები უნდა შესრულდეს: ა) ნასყიდობის ხელშეკრულების დადება; ბ) ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა.

33. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. მეორე მოპასუხეც სადავო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოსარჩელის კუთვნილებას ხდის სადავოდ და თვალთმაქცურ გარიგებაზე მიუთითებს. სასამართლომ უკვე იმსჯელა ამ მტკიცების უსაფუძვლობაზე და დაადგინა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მოსარჩელეს ეკუთვნოდა და მოპასუხე მხარემ ვერ წარადგინა ვერცერთი მტკიცებულება, რომელიც საპირისპიროს დაადასტურებდა. რაც შეეხება ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ შედეგის განმაპირობებელ მეორე გარემოებას – ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა მხარეთა შორის სადავო არ არის.

34. ამდენად, უდავოა, რომ 2018 წლის 26 აპრილს მოსარჩელემ ვ. ც-ძეს მინდობილობით მფლობელობაში გადასცა თავის საკუთრებაში არსებული, ავტოსატრანსპორტო საშუალება და მიანიჭა ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის უფლება. ამ უკანასკნელმა კი, როგორც მინდობილმა პირმა, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალება მიყიდა მეორე მოპასუხეს; გამყიდველმა შეასრულა თავისი ვალდებულება – ქონება გადაუფორმა შემძენს შსს მომსახურების სააგენტოში ერთობლივი განცხადების წარდგენის გზით; შემძენს გამსხვივებლისათვის ნასყიდობის საფასური არ გადაუხდია. ამდენად, მეორე მოპასუხის მიმართ ავტოსატრანსპორტო საშუალების ნასყიდობის საფასურის გადახდევინების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია და არ არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული

განჩინების გაუქმების საფუძველი.

35. კასატორთა შემდგომი პრეტენზია საიჯარო ქირისა და ნასყიდობის საფასურის დროული გადაუხდელობით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის – მიუღებელი შემოსავლის მათთვის დაკისრებას უკავშირდება. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა პრეტენზიას მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიუთითებს სსკ-ის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადანყვეტილებაში ასახული განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, იგულისხმება მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (*lucrum cessans*). მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (*pure economic loss*), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელიც არ იარსებებდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირი გულისხმობს მოვლენების, მოქმედებისა და შედეგის იმ ლოგიკურ ბმას, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს (იხ.: სუსგ №ას-459-438-2015, 07.10.2015წ.; №ას-754-2021, 02.12.2021წ.).

36. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადანყვეტისას მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს ზიანის ანაზღაურება, ისე რომ ამას არ

მოჰყვეს მეორე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად აუცილებელია მტკიცებულებების არსებობა აშკარა ქონებრივი დანაკლისის დასასაბუთებლად, უსაფუძვლო გამდიდრების გამორიცხვისთვის. ამდენად მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრულობის კრიტერიუმებით შემოფარგვლა უსაფუძვლო გამდიდრების და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა ინტერესთა წონასწორობის რღვევის პრევენციას ახდენს (შდრ. ნათია ჩიტაშვილი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თსუ, 2016, გვ. 151).

37. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია ფულისაგან, როგორც ბრუნვაუნარიანი ობიექტისგან, სარგებლის მიღების რეალური შესაძლებლობის თავისთავად არსებობა, თუმცა ეს იმთავითვე არ გულისხმობს მოსარჩელის მტკიცების ტვირთის არაგონივრულად შემცირებას, არამედ იგი პირდაპირპროპორციულად მნიშვნელოვანია მოსამართლის როლისათვის მიუღებელი შემოსავლის განმარტების, არსებობის დასაბუთებისა და ოდენობის განსაზღვრის პროცესში. მხოლოდ მხარეთა მტკიცების ტვირთის პირობებში გახდება შესაძლებელი, რომ მიუღებელი შემოსავალი არარეალურ და აბსტრაქტული შინაარსის მოთხოვნად არ იქცეს და მტკიცებულებები და გარემოებები კომპლექსურად შეფასდეს (შდრ. ჩიტაშვილი ნ. „საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“, თსუ, 2016, გვ. 154).

38. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე შემოსავლის მიღებაზე ზოგადად მიუთითებდა და არ წარუდგენია კონკრეტული მტკიცება მის სავარაუდოობასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატის განსჯით, მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პირობებში, სწორედ მოსარჩელის მტკიცების საგანია, რომ ამგვარი შემოსავლის მიღება მისი სამართლებრივი სტატუსის ან ჩვეულებრივი საქმიანობის საგნის გათვალისწინებით, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რაც ამგვარი ქმედების ნეგატიურ შედეგებს სავარაუდოდ აქცევდა მოვალისათვის სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად (იხ.: სუსგ №ას-964-2018, 01.04.2020წ.; №ას-884-2022, 27.04.2023წ.; №ას-1237-2023, 29.02.2024წ.). ამ ფაქტების მითითების გარეშე, მიუღებელი შემოსავლის მხოლოდ თანხის დაყოვნების მოტივით მოვალისათვის დაკისრება დაარღვევს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. მოცემული დავა ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების არადროული შესრულების გამო თანხის მოცდენით (სარგებლის მიუღებლობა) კრედიტორის მიერ განცდილ ზიანს არ ეხება, მოსარჩელემ ამ ნაწილში ვერ შეძლო თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, თანხის დეპოზიტზე განთავსების მტკიცებულების წარმოდგენით და-

ედასტურებიანა შემოსავლის დაკარგვის რეალურობა. მოსარჩელის საქ-
მიანობის სპეციფიკა და მიმართულება კი არ ქმნის სარჩელით მოთ-
ხოვნილი მიუღებელი შემოსავლის მიღების საფუძვლიან ვარაუდს (იხ.:
სუსგ №ას-459-438-2015, 07.07.2015წ.; №ას-771-720-2017, 03.11.2017წ.;
№ას-1178-1098-2017, 26.03.2019წ.; №ას-81-2020, 02.03.2020წ.; №ას-
964-2018, 01.04.2020წ.; №ას-884-2022, 27.04.2023წ.)

39. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიუღებელი შემო-
სავლის დაკისრების სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპი-
რობები, განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა. შესაბამისად, ამ
ნაწილში მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილება-
ზე.

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, სა-
კასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე,
თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გა-
დაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხე-
ლახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. წინამდებარე გა-
დაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკა-
საციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის იმავე სასამართლო-
სათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების კანონით გათვალისწი-
ნებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამა-
ტებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლება-
მოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალა-
ტას მიაჩნია, რომ მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა
დაკმაყოფილდეს და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოპასუხეთათ-
ვის მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე.

41. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის
მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გა-
მოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე
გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-
ჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხ-
ლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების გა-
ნაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკა-
საციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია
ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთ-
ვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს
გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის
მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს
უარი ეთქვა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა დაეკის-
როს კასატორთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზ-
ღაურება პირველი მოპასუხის სასარგებლოდ – 557.4 ლარი, მეორე მო-

პასუხის სასარგებლოდ – 865.2 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 411-ე მუხლებით

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ლ. თ-ისა“ და დ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ძალაში დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება შპს „ლ. თ-ისათვის“ დავალიანებული თანხის – 19 500 ლარის წლიური 10.6%-ის, ხოლო დ. შ-ძისათვის დავალიანებული თანხის – 59 000 ლარის წლიური 10.3%-ის დაკისრების თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. კ. შ-ძის სარჩელი შპს „ლ. თ-ისათვის“ მიუღებელი შემოსავლის, დავალიანებული თანხის, 19 500 ლარის, წლიური 10.6%-ის, 2019 წლის მაისიდან ვალდებულების (19 500 ლარის) შესრულებამდე დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. კ. შ-ძის სარჩელი დ. შ-ძისათვის მიუღებელი შემოსავლის, დავალიანებული თანხის, 59 000 ლარის, წლიური 10.3%-ის, 2021 წლის იანვრიდან ვალდებულების (59 000 ლარის) შესრულებამდე დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

5. კ. შ-ძეს დაეკისროს შპს „ლ. თ-ის“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 557.4 ლარის, ანაზღაურება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ;

6. კ. შ-ძეს დაეკისროს დ. შ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის, 865.2 ლარის, ანაზღაურება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ;

7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1097-2023

26 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრედ ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ძის (შემდეგში: მოსარჩელე, მენარდე, პირველი აპელანტი) გ. ც-ნის (შემდეგში: მოპასუხე, შემკვეთი, მეორე აპელანტი, კასატორი) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

1.1. მოსარჩელე ცნობილი იქნა უძრავი ქონების მდებარე, თბილისი, ... (ყოფილი ...) ქუჩა №6 (საკადასტრო კოდი: ...) მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის $\frac{1}{2}$ წილის მესაკუთრედ (ამ ნაწილში მოპასუხემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე ცნო სარჩელი);

1.2. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის სახით დაეკისრა 13 958 ლარისა და 22 128 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;

1.3. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 10 000 ლარის ანაზღაურება;

1.4. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა საექსპერტო მომსახურებაში გაწეული ხარჯის სახით – 1 500 ლარის ანაზღაურება;

1.5. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 10 000 ლარის ანაზღაურება;

1.6. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით – 1 659,45 ლარისა და სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება.

2. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრეს მხარეებმა.

2.1. მოსარჩელემ (პირველმა აპელანტმა/შემკვეთმა) მოითხოვა მისი სარჩელის უარყოფის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება; ასევე - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ადვოკატის ხარჯის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის – 10 000 ლარის ნაწილში და მოპასუხისათვის 20 000 ლარის სრულად დაკისრება;

2.2. მოპასუხემ (მეორე აპელანტმა/შემკვეთმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, გარდა ქონების წილის გადაცემის ნაწილში დაკმაყოფილებული სარჩელისა (რომელიც მოპასუხემ თვითონაც ცნო), დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების, ასევე სასამართლო და არასასამართლო ხარჯების (მათ შორის: იურიდიული მომსახურების, ექსპერტის მომსახურების, სახელმწიფო ბაჟის) ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მაისის განჩინებით მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

4. სააპელაციო სასამართლომ დადგინლად მიიჩნია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მითითებული უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. საჯარო რეესტრიდან 05.04.2021 წ. ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება, მდებარე: თბილისი, ... (ყოფილი ...) №6, საკადასტრო კოდი: ..., დაზუსტებული ფართობი 500,00 კვ.მ წარმოადგენს მოპასუხის საკუთრებას;

4.2. მოსარჩელესა, როგორც მენარდეს, და მოპასუხეს, როგორც შემკვეთს, შორის 2017 წლის 17 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად მენარდე იღებდა ვალდებულებას, შემკვეთის (მოპასუხის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...; ფართობი – 500 კვ.მ.; მისამართი: თბილისი, ... (ყოფ. ...) №6-ში) აშენებინა საცხოვრებელი სახლი თანდართული პროექტის შესაბამისად (პროექტის რეკვიზიტებია, ბრძანება №1 127983). მშენებლობის ვადა განისაზღვრა 18 თვით ხელშეკრულების ხელმოწერიდან;

4.3. ხელშეკრულების 3.1.2 ქვეპუნქტით მხარეებმა შეათანხმეს, რომ შემკვეთი ვალდებული იყო, მენარდის მიერ მშენებლობის დასრულებისა და აშენებული შენობის ექსპლუატაციაში მიღების/საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა, საკუთრებაში გადაეცა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე აშენებული შენობის 50% მენარდისათვის. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, მენარდე ვალდებული იყო სა-

მუშაოები შეესრულებინა დროულად, ჯეროვნად და პროექტის შესაბამისად (3.2.1. ქვეპუნქტი); სამუშაოების წარმოებისას დაეცვა შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნები (3.2.2 ქვეპუნქტი); წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.2 ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მენარდე იღებდა ყველა შესაძლო ჯარიმის, საურავის, სხვა გადასახდელისა და დამატებითი ხარჯების განევის ვალდებულებას. მხარეთა შორის უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების 3.2. პუნქტში დასახელებული „დამკვეთი“ ტექნიკური შეცდომის შედეგია და უნდა იყოს „შემსრულებელი“ (მენარდე); ამდენად, 3.2 პუნქტით განსაზღვრულია მენარდის ვალდებულებები (იხ. ხელშეკრულება);

4.4. წლის თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.02.2014 წლის №1127983 ბრძანების თანახმად, შეთანხმდა თბილისში, ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., შემკვეთის (მოპასუხის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 20 თებერვლიდან 2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.04.2017 წლის №3189656 ბრძანების თანახმად, შეთანხმდა თბილისში, ... (ყოფილი ...) №...-ში, საკადასტრო კოდი: ..., შემკვეთის (მოპასუხის) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (500,00 კვ.მ.) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (საერთო ფართობი 1010,3 კვ.მ.) არქიტექტურული პროექტი; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 06 აპრილიდან 2019 წლის 06 აპრილის ჩათვლით (უდავოა გარემოება, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ბრძანების ნომერი არასწორადაა დაფიქსირებული და მხარეები გულისხმობდნენ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3189656 ბრძანებას. ამ შემთხვევაში სასამართლოს დასკვნა საქმეში წარდგენილ ბრძანებებს; ასევე – მხარეთა ახსნა-განმარტებებს).

4.5. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 21.12.2018 წლის №000041 დადგენილებით მოპასუხე (შემკვეთი) დაჯარიმდა 10 000,00 ლარით თბილისში, ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) მშენებლობისათვის; ამავე დადგენილებით მოპასუხეს დაევალა ჯარიმის გადახდა შესაბამის ანგარიშზე (იხ. 21.12.2018 წლის №000041 დადგენილება).

4.6. მოსარჩელემ (მენარდემ), 21.12.2018 წლის №000041 დადგენილების საფუძველზე, 24.01.2020 წელს, ჯარიმის დანიშნულებით, გადაიხადა 10 000,00 ლარი.

4.7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 09.06.2020 წლის ბრძანებით მიღებული იქნა ექსპლუატაციაში თბილისში, ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ... მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური საცხოვრებ-

ლი სახლი – III კლასი). საფუძველს წარმოადგენდა 18.05.2020 წლის განცხადება.

5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა:

5.1. 21.12.2018 წლის №000041 დადგენილებით ობიექტის დაჯარიმება გამოწვეულია მოპასუხის, როგორც შემკვეთის, ქმედებით;

5.2. უდავოა გარემოება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს გადასცა 05.04.2017 წლის თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3189656 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი (მომზადებული არქიტექტორ ა. ქ-ის მიერ) და მისი შემადგენელი კონსტრუქციული პროექტი (რაც მომზადებული იყო არქიტექტორის მიერ შერჩეული სპეციალისტის მიერ);

5.3. უდავოა გარემოება, რომ მოპასუხე (შემკვეთი) 2018 წლის 10 მაისს არ გამოცხადებულა, ხოლო იმავე წლის 19 მაისს შეხვედრაზე გამოცხადებულმა შემკვეთის წარმომადგენელმა – გ. გ-ემ დააფიქსირა პოზიცია, რომ შემკვეთი მოითხოვდა 17.05.2017 წლის ხელშეკრულების შესაბამისად პროექტის დადგენილ ვადაში დასრულებას (19.05.2018 წლის „ცნობა“);

5.4. გარდა არქიტექტორისა, თავად მოსარჩელეც (მენარდეც) ცდილობდა შემკვეთთან შეხვედრას და პრობლემის გადაჭრას: საქმეში არსებული 14.05.2018 წლის წერილის თანახმად, მოსარჩელე (მენარდე) მოპასუხეს (შემკვეთს) ატყობინებს 2018 წლის 19 მაისის შეხვედრის თაობაზე და სთხოვს შეხვედრას განხორციელებული მშენებლობის მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის საკითხის განხილვის მიზნით;

5.5. მენარდემ (მოსარჩელემ) 2017 წლის 20 დეკემბერს მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას (ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს) მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის გადამოწმების მოთხოვნით, რაზეც 31.01.2018 წლის წერილით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მენარდეს აცნობა, რომ შემკვეთი იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობა, საჭირო იყო წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის (მინდობლობის) წარდგენა, სადაც აღნიშნული იქნებოდა მოსარჩელის (მენარდის) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა თბილისის მერიაში. აღნიშნული დასტურდება საქმეში მოთავსებული მოსარჩელის განცხადებითა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის პასუხით;

5.6. საქმეში არსებული 2018 წლის 07 თებერვლის წერილის (რომლის შინაარსის ნამდვილობა და ჩაბარების ფაქტი სადავო არ არის) თანახმად, მენარდემ (მოსარჩელემ) შემკვეთს (მოპასუხეს) აცნობა, რომ მშენებლობის პროცესში შესაძლო იყო არქიტექტურული ჩასწორებების სა-

ჭიროება წარმოშობილიყო, რომლის დადგენილ წესებთან შესაბამისობის დასადგენად საჭირო იყო მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება და არქიტექტორისა და ზედამხედველობის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა. საამისოდ კი საჭირო იყო შემკვეთის (მოპასუხის/მეორე აპელანტის) მიერ არქიტექტორისათვის შესაბამისი თანხმობის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მენარდე (მოსარჩელე/პირველი აპელანტი) იხსნიდა პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა წარმოშობილიყო სახლის ექსპლუატაციაში ჩაბარების პროცესში;

5.7. მენარდის 07.02.2018 წლის წერილის პასუხად, შემკვეთის (მოპასუხის) წარმომადგენლის „უფლებადამცველთა სახლის“ მიერ მენარდეს (მოსარჩელეს) ეცნობა, რომ გაუგებარი იყო, რა „სავარაუდო“ საჭირო ცვლილებებისათვის ითხოვდა იგი თანხმობას და „სავარაუდო“ ცვლილებების საჭიროება შესაძლოა არც წარმოშობილიყო.

6. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შესაბამისმა სამსახურმა ჯერ კიდევ 2018 წლის ოქტომბერში მისცა მითითებები შემკვეთს (მოპასუხეს/მეორე აპელანტს) დარღვევების გამოსასწორებლად და განუსაზღვრა 20 დღიანი ვადა. შემონმების აქტის პასუხად შემკვეთის/მოპასუხის მიერ რაიმე ქმედების განხორციელება არ დგინდება.

7. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხეს, როგორც შემკვეთს, ჰქონდა შესაძლებლობა, თავიდან აერიდებინა ობიექტის დაჯარიმება, თუკი იმოქმედებდა კეთილსინდისიერად და არქიტექტორს მისცემდა პროექტის კორექტირების უფლებას. მას ასევე შეეძლო, მიეღო მენარდის (მოსარჩელის) შეთავაზება და, როგორც შემკვეთს, თავიდანვე მიემართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის და მოეთხოვა მშენებლობის სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობა, რაც უზუნველყოფდა მშენებლობის პროცესის პროექტის შესაბამისად წარმართვას და თავიდან იქნებოდა აცილებული დაჯარიმება. მას ასევე შეეძლო მიეცა წარმომადგენლობის უფლებამოსილება მოსარჩელისათვის (მენარდისათვის) ან სხვა პირისათვის, რაც აარიდებდა პასუხისმგებლობას. მას ასევე შეეძლო დაჯარიმების შესახებ №000041 დადგენილების გასაჩივრება. ამ შესაძლებლობებიდან მეორე აპელანტს (მოპასუხეს) არც ერთი არ გამოუყენებია. შესაბამისად, მოპასუხემ ვერც პირველი და ვერც მეორე ინსტანციის სასამართლოებში ვერ მიუთითა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მის მიერ ქმედების განმასხორციელებელ რაიმე ქმედებაზე. ამის საწინააღმდეგოდ კი, საქმეში წარმოდგენილია მოპასუხის წერილი, რომლის თანახმად მას 2019 წლის 11 იანვარს ჩაბარა №000041 დადგენილე-

ბა მშენებლობის პროექტის დარღვევის გამო საჯარიმო სანქციის – 10 000 ლარის დაკისრების თაობაზე და მოსარჩელეს (მენარდეს) მოსთხოვა დადგენილების გასაჩივრება ან საჯარიმო თანხის გადახდა. მენარდემ (მოსარჩელემ) 10.02.2019 წლის წერილით შემკვეთს (მოპასუხეს) აცნობა, რომ ჯარიმის შესახებ დადგენილების გასაჩივრება შემკვეთის უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას ამის გაკეთება არ შეეძლო. მენარდემ 24.01.2020 წელს გადაიხადა ჯარიმა – 10 000 ლარი სწორედ 21.12.2008 წლის №000041 დადგენილების საფუძველზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 09.06.2020 წლის ბრძანებით მიღებული იქნა ექსპლუატაციაში თბილისში, ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ... მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი – III კლასი). ამის საფუძველს წარმოადგენდა განცხადება, რომლითაც მოპასუხემ (შემკვეთმა) მხოლოდ 18.05.2020 წელს მიმართა შესაბამის სამსახურს.

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316.1 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317.1 მუხლით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან, ხოლო 327-ე მუხლით ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (1). არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ (2). სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას. სსკ-ის 629.1 მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

9. მოსარჩელის (მენარდის) სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც საცხოვრებელი სახლის დაქირავებისა და სადავო უძრავი ქონებიდან ორი საცხოვრებელი ბინის გაქირავებას ეხება, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. მოცემულ შემთხვევაში უდავოდ არის დადგენილი, რომ მოსარჩელე არ არის საქართველოს მოქალაქე, მას არ გააჩნია სა-

ქართველოში საკუთრებაში საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი 03.11.2021 წლის წერილის თანახმად, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული პროგრამის მონაცემებით მოსარჩელის საკუთრების უფლება 2017 წლიდან იმ დრომდე უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ ყოფილა), ამიტომაც საქართველოში ჩამოსვლისას ქირაობდა საცხოვრებელს და იხდიდა შესაბამის ქირას, რის დასტურადაც საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:

9.1. 2020 წლის 12 იანვრის ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გამქირავეებლმა – ნ. კ-ემ დაამქირავებელს – მოსარჩელეს დროებით სარგებლობაში საცხოვრებლად გადასცა უძრავი ქონება, მდებარე ... ქირის ყოველთვიური ღირებულება შეადგენდა – 250 აშშ დოლარს და ხელშეკრულება დაიდო 11 თვით. დაამქირავებელი გამქირავებელს წინასწარ უხდიდა პირველ და ბოლო თვეების ქირას, ჯამურად – 500 აშშ დოლარს;

9.2. საქმეში წარმოდგენილია საგადახდო დავალებები, რომელთა თანახმად დგინდება, რომ: 13.01.2020 წელს მოსარჩელემ ნ. კ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 720,00 ლარი; 12.02.2020 წელს მოსარჩელემ ნ. კ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 105,00 ლარი; 09.03.2020 წელს მოსარჩელემ ნ. კ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა 850,00 ლარი; 04.05.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 800,00 ლარი; 10.06.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 800,00 ლარი; 14.07.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 820,00 ლარი; 14.08.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 840,00 ლარი; 14.09.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა 875,00 ლარი; 15.10.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 900,00 ლარი; 17.11.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 912,00 ლარი; 15.12.2020 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 875,00 ლარი; 20.01.2021 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 900,00 ლარი; 16.02.2021 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 900,00 ლარი; 16.03.2021 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 900,00 ლარი; 15.04.2021 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 935,00 ლარი. 13.05.2021 წელს მო-

სარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოს ბინის ქირის დანიშნულებით გადაიხადა – 946,00 ლარი. 15.06.2021 წელს მოსარჩელემ გ. შ-ის სასარგებლოდ გადაიხადა 880,00 ლარი ბინის ქირის საფასური. ჯამურად მოსარჩელის მიერ ქირის სახით გადახდილი თანხა შეადგენს – 13 958,00 ლარს (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა იმ ფარგლებში, და ოდენობით, რაც დადასტურებულად იქნა მიჩნეული საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, რაც სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ).

10. სადავო უძრავი ქონებიდან ორი საცხოვრებელი ბინის გაქირავების შესახებ მენარდის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში – ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის სახით) სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება, რომ მენარდის მიერ 2018 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით მიუღებელი შემოსავალი შეადგენს – 22 128,00 აშშ დოლარს.

10.1. საქმეზე დადგენილია, რომ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში მოსარჩელისა და მოპასუხის წილები მოიცავს თითოეული 4 ბინას. საქმეში წარდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29.06.2021 წლის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, თბილისში, ..., ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., მდებარე დასრულებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული გამოსაკვლევად წარდგენილი 111,48 კვ.მ-ის მქონე ბინის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება 2018-2020 (მაისი) წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს – 395 აშშ დოლარს, 2020 წლის ივნისიდან – 2021 წლის 08 ივნისამდე საორიენტაციოდ შეადგენს – 358 აშშ დოლარს; ამავე დასკვნის თანახმად, თბილისში, ..., ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., მდებარე დასრულებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მესამე სართულზე განთავსებული გამოსაკვლევად წარდგენილი 104,92 კვ.მ-ის მქონე ბინის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება 2018-2020 (მაისი) წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს – 371 აშშ დოლარს, 2020 წლის ივნისიდან – 2021 წლის 08 ივნისამდე საორიენტაციოდ შეადგენს – 337 აშშ დოლარს; შემკვეთის/მოპასუხის მიერ არ არის წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების საპირწონედ;

10.2. დადგენილია, რომ მშენებლობის ვადის დასრულების გადანევა მოხდა, ერთი მხრივ, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის პროექტთან შეუსაბამობაში მოუყვანლობის გამო, მეორე მხრივ კი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანების გამოსაცემად საჭირო სადაო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების

შესახებ განცხადების მოპასუხის მიერ მხოლოდ 2020 წლის 18 მაისს წარდგენის გამო. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ორივე მოქმედების განმახორციელებს სუბიექტს ცალსახად მოპასუხე (შემკვეთი/მეორე აპელანტი) წარმოადგენს, რომელმაც თავისი არაკონსტრუქციული და არაკეთილსინდისიერი ქცევით გამოიწვია ობიექტის დაჯარიმება, ჯარიმის გაუსაჩივრებლობა და გადაუხდელობა, შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების გვიან წარდგენა. ამ დასაბუთებით გაქირავების შეუძლებლობით გამოწვეული თარიღის ასათვლელად მიჩნეული იქნა 2018 წლის დეკემბერი, რაც გაანგარიშებულია 2021 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ ზემოხსენებულ პერიოდში მოსარჩელის/მენარდის მიერ მიუღებელი შემოსავალი უძრავი ქონების გაქირავებიდან საორიენტაციოდ 22 128,00 აშშ დოლარით უნდა განიზღვროს.

11. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის (მეორე აპელანტის) სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან დადგენილია მისი ბრალეულობა და არაკეთილსინდისიერი ქმედებები, ხოლო მოსარჩელის (პირველი აპელანტის) სააპელაციო საჩივარი მოპასუხისათვის 6000 ევროს დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, რადგან არ დგინდება მშენებლობის კოეფიციენტის მომატების მიზნით მოსარჩელის (მენარდის) მიერ 12000 ევროს გადახდის ფაქტობრივი გარემოება, რადგან საამისო მტკიცებულებები მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია. მხარეთა სააპელაციო საჩივრების უსაფუძვლობის გამო, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მენარდის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საჩივრის შესახებ.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით მხოლოდ მოპასუხემ (შემკვეთმა) გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შეცვლა მხოლოდ იმ ფარგლებში მოითხოვა, რაც მას სააპელაციო საჩივრით ჰქონდა შედავებული (იხ. 2.2 ქვეპუნქტი).

12.2. კასატორს მიაჩნია, რომ საქმეზე სწორად არ არის დადგენილი გარემოებები და ფაქტობრივი უზუსტობებია დაშვებული, რადგან სასამართლომ გაიზიარა გამქირავებლის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები და სხვადასხვა თანხის ჩარიცხვის მტკიცებულებები, რომელთაც არ აქვთ კავშირი მოცემულ დავასთან. არ დასტურდება, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო მოსარჩელის ქონებრივი და საცხოვრებელი პირობები და ეს საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება;

12.3. არ დასტურდება შემკვეთის ბრალეულობა და რაიმე ზიანის მიყენება მოსარჩელისათვის. ობიექტის დაჯარიმება გამოინვია მონინალმდეგე მხარის მიერ პროექტის დარღვევით განხორციელებულმა მშენებლობა და არა კასატორის ქმედებამ;

12.4. სააპელაციო სასამართლო იმეორებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსაბუთებელ მსჯელობას, თუმცა, სანინალმდეგო დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. მონმე ა. ქ-ის (არქიტექტორის) განმარტებამ დაადასტურა, რომ შემკვეთმა თანხმობა გაცა პროექტის კორექტირებაზე, თუმცა, თვითონ არქიტექტორს არ დაუკორექტირებია პროექტი;

12.5. სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, რომ მოდავე მხარეები უძრავი ქონების თანამესაკუთრეები არიან და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერ განკარგავენ ქონებას. მოსარჩელე შეგნებულად აჭიანურებს და რეაგირების გარეშე ტოვებს უძრავი ქონების გამიჯვნის საკითხს, რაც რეალურად ორივე მხარის ინტერესებში შედის. სასამართლოს არ შეუფასებია ასევე, რომ შეუძლებელია უძრავი ქონებით ტექნიკურად სრულყოფილად სარგებლობა და გამოყენება (ელენერგის, წყლის, გაზის გადასახდების გადახდა), თითოეულ უძრავ ქონებაზე განსაზღვრულია მხოლოდ ერთი მრიცხველის მონტაჟი, შესაბამისად, თუ არ მოხდებოდა ქონების გამიჯვნა, განაწილების გეგმის (განშლის) რეგისტრაცია საჯარო რეეტრში, ბინების ერთეულეზად ჩაშლა და საჯარო რეეტრის ინდივიდუალური ამონანერის დარეგისტრირება, ვერ მოხდებოდა უძრავი ქონებების (თითოეული ბინის) გამრიცხველიანება და მოდავე მხარეთა მიერ ქონებებით სარგებლობისას გამოყენებულ რესურსების ინდივიდუალურად აღრიცხვა;

12.6. კასატორი სადავოდ ხდის მოსარჩელის მიერ წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნას უძრავი ქონების ქირის განსაზღვრის თაობაზე, რადგან მასში არ არის მითითებული კონკრეტული რეკვიზიტების მიხედვით ქონება. ამ მხრივ ასევე შედავებულია სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება. სასამართლომ ვერ გამოიყენა მოცემულ შემთხვევასთან შეუსაბამო სამართლებრივი ნორმა სსკ-ის 411-ე მუხლი, ასევე, განჩინება არ არის დასაბუთებული სსკ-ის 653-ე-669-ე მუხლების (საზიარო უფლებები) საფუძველზე.

12.7. მოსარჩელემ საკასაციო შესაგებელი წარმოადგინა, რომელშიც მიუთითა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მოსარჩელე იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნებს და უთითებს, რომ მოპასუხეს შესაგებლით სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ ქირის გადახდის ფაქტი.

12.8. კასატორის მიერ ასევე დამატებით არის წარმოდგენილი წერილობითი პოზიცია მოსარჩელის საკასაციო შესაგებელთან დაკავშირე-

ბით (რეგ. №ა-5761-23), რომელიც ძირითადად იმავე არგუმენტებს მოიცავს, რაც საკასაციო საჩივარშია აღნიშნული.

12.9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391.5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის არგუმენტების დასაბუთებლობისა და საქმის მასალების შესწავლის გზით მივიდა დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ დასაბუთებული პრეტენზია აქვს წარმოდგენილი კასატორს მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ქირის ნაწილში, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მაისის განჩინება ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მხოლოდ ის ნაწილი, რომლითაც მოპასუხე გ. ც-ს მოსარჩელე მ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 22 128,00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (შესაბამისად სასამართლო ხარჯების ნაწილში) და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

13. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ.).

14. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარ-

ჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყო ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

15. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძველის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიურ აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

16. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატიური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ

წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომელითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებებს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

18. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით (იხ. წინამდებარე გადანყვეტილებების 4.1-4.7 და 5.1-5.7 ქვეპუნქტები და მე-6 პუნქტი), ასევე მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის გზით სააპელაციო სასამართლომ არსებითად კანონიერი და დასაბუთებული განჩინება მიიღო. მხარეთა შორის ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“. აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება. მენარდისათვის გადასახდელი საზღაური, როგორც

ნესი, განისაზღვრება ფულადი სახით, თუმცა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა რამეზეც (მაგალითად, მენარდისათვის რაიმე ნივთის ნატურით გადაცემა). შესაძლებელია კომბინირებული მეთოდიც (მაგალითად, საზღაურის ნაწილი გადახდილი იქნეს ფულადი სახით, ნაწილი – ნივთის სახით). ნარდობის ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა. ნარდობის ხელშეკრულება ანესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შედეგით შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი... ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრიტორი ლებულობს შესრულებას. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდებულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაში (მაგალითად, სამეზობლო თმენის ვალდებულებები; და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც ხორციელდება მოვალის ძალისხმევით. ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად გამოიყენება ტერმინი – ქმდება. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. რელატიური უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს შეასრუ-

ლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. (იხ. სუსგ №ას-344-2019, 12.02.2021წ.). აქედან გამომდინარე, როდესაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია მოსარჩელის მიერ, სავსებით ლეგიტიმურია მისი მოთხოვნა ზიანის თაობაზე მოპასუხის იმ ქმედებების გამო, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ.

19. საკასაციო სასამართლოს კასატორის (მოპასუხის) მხოლოდ ერთი პრეტენზია მიაჩნია დასაბუთებულად, თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ – უძრავი ქონების გაქირავების შეუძლებლობის ოდენობის ნაწილში და მიუთითებს მოპასუხის წერილობით შესაგებელზე, სადაც შედავებულია მოსარჩელის მოთხოვნა გაქირავების შეუძლებლობის გამო მიყენებულ ზიანზე და აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მტკიცება წინააღმდეგობრივია, რადგან ის ხან იმას ამტკიცებდა, რომ არ აქვს საცხოვრებელი სახლი და საცხოვრებლად უნდა ეს უძრავი ქონება, ხან კი იმას ამტკიცებს, რომ გაქირავების მიზანი აქვს. საკასაციო სასამართლო მისავე ერთ-ერთ განმარტებას მოიხმობს: „მოსარჩელის მოთხოვნა უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში მისი გასხვისებით, საბაზრო ღირებულების ოდენობით, მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ქონების გაქირავებასა და გასხვისებას შორის მკაფიო განსხვავებაა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მოვალისათვის არა მხოლოდ წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. განსახილველ შემთხვევაში ქონების გაქირავების შეუძლებლობით მიყენებული ზიანის სავარაუდოობა უფრო დამაჯერებელია და რეალური, ვიდრე ის გარემოება, რომ მოსარჩელე კუთვნილი უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში აუცილებლად გაასხვისებდა ქონებას (ან მის ნაწილს), შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელემ დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ დაამტკიცა საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობა“ (იხ. სუსგ №ას-689-2019, 13.12.2019წ.).

20. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ: „სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მი-

ექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (იხ. სუსგ-ები: №ას-945-895-2015, 14.03.2016წ; №ას-307-291-2011, 24.10.2011წ; №ას-899-845-2012, 22.11.2012წელი).

21. კასატორი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მოსარჩელის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის ზიანის სახით – 22 128,00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ნაწილში. საკასაციო სამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სამართლოს მიერ დადგენილია, რომ მენარდის მიერ 2018 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით მიუღებელი შემოსავალი შეადგენს – 22 128,00 აშშ დოლარს, რაც სრულად დაეკისრა მოპასუხეს.

22. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში მოსარჩელისა და მოპასუხის წილები მოიცავს თითოეული 4 ბინას. საქმეში წარდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29.06.2021 წლის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, თბილისში, ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., მდებარე დასრულებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე განთავსებული გამოსაკვლევად წარდგენილი 111,48 კვ.მ-ის მქონე ბინის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება 2018-2020 (მაისი) წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს – 395 აშშ დოლარს, 2020 წლის ივნისიდან – 2021 წლის 08 ივნისამდე საორიენტაციოდ შეადგენს – 358 აშშ დოლარს; ამავე დასკვნის თანახმად, თბილისში, ..., ... (ყოფილი ...) №6-ში, საკადასტრო კოდი: ..., მდებარე დასრულებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მესამე სართულზე განთავსებული გამოსაკვლევად წარდგენილი 104,92 კვ.მ-ის მქონე ბინის ყოველთვიური საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება 2018-2020 (მაისი) წლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს – 371 აშშ დოლარს, 2020 წლის ივნისიდან – 2021

ნლის 08 ივნისამდე საორიენტაციოდ შეადგენს – 337 აშშ დოლარს; შემკვეთის/მოპასუხის მიერ არ არის წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნების საპირწონედ.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მიუღებელი შემოსავლის სახით განცდილი ზიანის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ, 22 128,00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის 50%-ის ოდენობით უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს (კასატორს), მენარდის (მოსარჩელის) სასარგებლოდ, 11 064, 00 (თერთმეტი ათას სამოცდაოთხი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა უნდა დაეკისროს, რაც საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, სავსებით შეესატყვისება უძრავი ქონების გაქირავების იმ გონივრულ და სამართლიან ღირებულებას, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა მოპასუხეს რომ თავისი ქმედებებით ვალდებულების შესრულებისთვის ხელი არ შეეშალა. საკასაციო სასამართლოს მიერ მიუღებელი შემოსავლის ამგვარად განსაზღვრა იმითაა განპირობებული, რომ, მიუხედავად იმისა, პრეზუმირებულია უძრავი ქონების გაქირავება, ის გარემოება, რომ მენარდე (მოსარჩელე) 2018 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით ყველა შემთხვევაში (ყოველ თვე, ყველა პერიოდში) გააქირავებდა უძრავ ქონებას არ ივარაუდება, შესაბამისად მის მიერ მოთხოვნილი მიუღებელი შემოსავლის ოდენობა 50%-ით უნდა დაკმაყოფილდეს (შეად. სუსგ-ას №ას-154-2021, 1.04.2022წ.).

24. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საკასაციო მოთხოვნის არსებითი განხილვის შედეგად ვერ დადგინდა სხვა ისეთი გარემოებები, რაც დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების, როგორც დასაბუთებულის და კანონიერის, შეცვლას გამოიწვევს, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის სხვა პრეტენზიები უარყოფილია და ამის გამო უცვლელად რჩება სააპელაციო სასამართლოს განჩინების დანარჩენი ნაწილი, რადგან მათში ასახულ მსჯელობას და დასკვნებს სრულად იზიარებს საკასაციო სასამართლო.

25. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე სასამართლო ხარჯის – სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების შესახებ მითითებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტებში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 411-ე, 257.3, 264.3 მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. გ. ც-ნის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მაისის განჩინების ნაწილობრივ შეცვლით, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მხოლოდ ის ნაწილი, რომლითაც მოპასუხე გ. ც-ს მოსარჩელე მ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 22 128,00 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და მე-7 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და, მის სასარგებლოდ, მოპასუხე გ. ც-ს დაეკისროს ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის – 11 064, 00 (თერთმეტი ათას სამოცდაოთხი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 2 მაისის განჩინება, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე მ. ჯ-ძის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი.

5. გ. ც-ს მ. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 520.35 (470.35+50) ლარის ანაზღაურება;

6. მ. ჯ-ძეს გ. ც-ნის სასარგებლოდ დაეკისროს მეორე და მესამე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2703.67 (1201.63+1502.04) ლარის გადახდა.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება
საქართველოს სახალხო

№ას-1322-2021

07 ივლისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ბ-ოს“ (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ, 6207.62 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით კი მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა განპირობებული იყო ობიექტური გარემოებებით და ითხოვა პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სარჩელი შპს „ბ-ოს“ მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3103.81 ლარის ოდენობით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-

უქმება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნურობა დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა (შემდგომში – შემსყიდველი) და შპს „ბ-ოს“ (შემდგომში – მიმწოდებელი) შორის 2020 წლის 18 მაისს გაფორმდა (CON200000 124) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №229 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა 1088861.43 ლარის ღირებულების დაკონსერვებული ღორის ძეხვის შესყიდვა.

5.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად, მიმწოდებელს საქონელი უნდა მიეწოდებინა ეტაპობრივად, მითითებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დანართი №-1 შესაბამისად, კერძოდ, თვეში ერთხელ, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით. პირველი მოწოდება არა უადრეს მიმდინარე წლის 25 მაისისა. მოთხოვნის შესახებ მიმწოდებელს ეცნობებოდა მინიმუმ 10 კალენდარული დღით ადრე.

5.3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნურობა დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მომწოდებლისათვის პირველი მოთხოვნა გაგზავნილ იქნა 2020 წლის 19 მაისს, რომლითაც შპს „ბ-ოს“ უნდა მოეწოდებინა 5825 კგ დაკონსერვებული ღორის ძეხვი არაუგვიანეს 10 დღისა. მიმწოდებელმა დაარღვია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №229 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, მოთხოვნილი 5825 კგ დაკონსერვებული ღორის ძეხვის მოწოდება განახორციელა 2 ეტაპად: 2020 წლის 09 ივნისს და 2020 წლის 15 ივნისს.

5.4. შემსყიდველის მიერ შემდგომი მოთხოვნა გაგზავნილ იქნა 2020 წლის 17 ივნისს, რომლითაც მიმწოდებელს უნდა მოეწოდებინა 8737.5 კგ დაკონსერვებული ღორის ძეხვი არაუგვიანეს 10 დღისა. მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №229 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება განახორციელა კვლავ ეტაპობრივად: 29 ივნისს, 3 ივლისსა და 6 ივლისს.

5.5. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 10.2. პუნქტის თანახმად, „წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადე-

ბის დარღვევის შემთხვევაში, თუ ვადის გადაცილება ეხება საქონლის ვადაგადაცილებით მიწოდებას (მათ შორის ხარვეზის ან/და ნაკლის გამოსწორების ვადა) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, მაგრამ თითოეული ლოკაციისთვის არანაკლებ დღეში 50 (ორმოცდაათი) ლარისა“. ამავე ხელშეკრულების 10.3. პუნქტის თანახმად, „წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.2%-ის ოდენობით“. შპს „ბ-ომ“ დაარღვია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის მოთხოვნა ორივე მიწოდებისას, რის გამოც ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის თანახმად (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობა), დაეკისრა პირგასამტეხლო პირველ შემთხვევაში 3460.01 ლარი – ვადაგადაცილებულ 17 დღეზე და მეორე შემთხვევაში 2747.61 ლარი – ვადაგადაცილებულ 9 დღეზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 19 ივნისის №1358285 წერილით შპს „ბ-ოს“ ეცნობა, რომ მას ეკისრებოდა პირგასამტეხლო 3460.01 ლარი, ხოლო 2020 წლის 09 ივლისის №1552267 წერილით ეცნობა 2747.61 ლარის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

5.6. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პალატამ განმარტა რომ, მიუხედავად მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო იყო შეუსაბამოდ მაღალი.

5.7. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან, მიმწოდებელმა ვადის გადაცილების მიუხედავად მაინც შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ამასთან, ზიანი კონკრეტული მატერიალური სახით არ იყო დადგენილი, გონივრული იყო პირგასამტეხლოს გამოანგარიშება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თითოეული ნაწილის მიწოდების ვადის გადაცილებებისათვის და ამ ნაწილის ღირებულების 0.1%-ით განსაზღვრა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო (3103.81 ლარი) იყო გონივრული.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად შეამცირა მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად შეთანხმებული პირგასამტეხლო 0.1%-მდე, რაც ეწინააღმდეგება პირგასამტეხლოს მიზანს.

6.2. გადაწყვეტილების მიღება განხორციელდა საქმის გარემოებების დეტალური შესწავლისა და ანალიზის გარეშე, ვინაიდან, მოპასუხის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრება, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული.

6.3. სასამართლომ დარღვევის ხასიათი შეაფასა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მოპასუხისთვის მომსახურების გასანევად განსაზღვრული იყო დროის მცირე პერიოდი – 10 დღე. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულების ობიექტი იყო საკვები პროდუქტი, რომელსაც გააჩნია ვარგისიანობის ვადა, ასევე მხარისთვის წინასწარ იყო ცნობილი თუ რა ვადაში მოუწევდა მას შემსყიდველისთვის პროდუქციის მიწოდება. შესაბამისად, ხელშეკრულების მითითებული პირობის დარღვევის ობიექტურ გარემოებად მიჩნევა დაუსაბუთებელია.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 23 დეკემბრის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2022 წლის 30 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ

გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. მოსარჩელის მოთხოვნაა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის გამო (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ იქნა მიწოდებული ხელშეკრულების საგანი), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრება. ეს სამართლებრივი შედეგი მიიღება 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. კერძოდ, ეს წინაპირობები შემდეგია: ა) მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება; ბ) პირგასამტეხლოზე წერილობითი შეთანხმება; გ) ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

11. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა დაუსაბუთებლად შეამცირეს.

12. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეთა შორის 2020 წლის 18 მაისს დაიდო №229 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა 1088861.43 ლარის ღირებულების დაკონსერვებული ღორის ძხვების შესყიდვა. სადავო არაა მხარეთა შეთანხმებით დადებული ხელშეკრულების პირობები, უფლებები და ვალდებულებები. უდავოა ასევე მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ 2020 წლის 19 ივნისის № 1358285 წერილითა და 2020 წლის 09 ივლისის № 1552267 წერილით მითითებული ვადადარღვეული დღეების რაოდენობა. სადავოა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს იძულებითი ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (იხ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018 წელი).

14. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მისი განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება“ (იხ. სუსგ №ას-816-767-2015, 19.11.2015წ.).

15. სსკ-ის 420-ე მუხლის (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. მართალია, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინცი-

პი, თუმცა, აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელოს და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას.

17. საკასაციო პალატა პირველ რიგში შეაფასებს თუ რამდენად კვალიფიციური შედავება განახორციელა მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ და აღნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ კვალიფიციური შედავების არსებობის შემთხვევაშია უფლებამოსილი შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. ამდენად, პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევას სასამართლო მოვალის კვალიფიციური შესაგებლის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს და მის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს რამდენად შეუსაბამო და არაგონივრულია პირგასამტეხლოს ოდენობა სახელშეკრულებო ინტერესის ხელყოფის მასშტაბთან.

18. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ძირითად აქცენტს აკეთებს ობიექტური გარემოებების გამო ვალდებულების ვადაში შეუსრულებ-

ლობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე, რომელიც მენარმე სუბიექტია, მხოლოდ ობიექტურ გარემოებებზე მიუთითებს, ხოლო კონკრეტული მიზეზები და ამ მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რამაც ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვია, მას არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მოპასუხე ასეთი შედავეების პირობებში ვერ ადასტურებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს შემცირების აუცილებლობას.

19. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება და გარკვეულ ნიშნულამდე დაყვანა არ წარმოადგენს საერთო სტანდარტს. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგადაც, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, როგორცაა: სახელშეკრულებო ურთიერთობათა მხარეები, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დამრღვევის ბრალეულობის ხარისხი, დარღვევის სიმძიმე და მოცულობა, კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხე და კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაკისრებულ პირგასამტეხლოს შეაფასებს როგორც შეუსაბამოდ მაღალს, მან უნდა განსაზღვროს პირგასამტეხლოს ისეთი ოდენობა, რომელიც იქნება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. რაც შეეხება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოს განსაზღვრას, აღნიშნულიც ასევე უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთმითითებული გარემოებების ურთიერთმეჯერების შედეგად.

20. პალატას მიაჩნია, რომ როდესაც ხელშეკრულების მხარე არის მენარმე სუბიექტი, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად აღემატება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის ხარისხს, რომელიც შესაძლებელია იყოს ხელშეკრულების სუსტი მხარე, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის. პალატა აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დარღვევის პროპორციული პირგასამტეხლოს განსაზღვრა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პირგასამტეხლომ არ დაკარგოს თავისი ძირითადი ფუნქცია – ვალდებულების ჯეროვანი შესრუ-

ლების უზრუნველყოფის პრევენცია და განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების შესაძლებლობა.

21. განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე დათანხმდა პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას და როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაჰირებულ მენარმე სუბიექტს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 18 მაისის ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს საქონელი უნდა მიეწოდებინა ეტაპობრივად, მითითებული ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, დანართი №-1 შესაბამისად, კერძოდ, თვეში ერთხელ, შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით. მოთხოვნის შესახებ მიმწოდებელს ეცნობებოდა მინიმუმ 10 კალენდარული დღით ადრე. შპს „ბ-ომ“ დაარღვია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის მოთხოვნა ორივე მიწოდებისას, რის გამოც ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის თანახმად (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობა), დაეკისრა პირგასამტეხლო პირველ შემთხვევაში 3460.01 ლარი – ვადაგადაცილებულ 17 დღეზე და მეორე შემთხვევაში 2747.61 ლარი – ვადაგადაცილებულ 9 დღეზე. ნიშანდობლივია, რომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევის გამო პირგასამტეხლოს ოდენობა დაანგარიშებულია არა ხელშეკრულების საერთო საორიენტაციო ღირებულების (1088861.43 ლარი), არამედ მხარის მიერ არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების გათვალისწინებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, არაერთ განჩინებასა და გადაწყვეტილებაში განმარტებულია შემდეგი: ვალდებულების ნაწილის შესრულების ვადის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დაანგარიშება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან პირგასამტეხლოს ასეთი ოდენობით დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულებების

ბის ღირებულებებიდან (იხ. სუსგ: №ას-971-2019, 28.10.2019; №ას-581-2019, 31.07.2019; №ას-164-160-2016, 28.07.2016). ასევე გასათვალისწინებელია კრედიტორის მოლოდინი ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ, ვინაიდან, შემსყიდველი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საკვები პროდუქტის მიწოდება. შესაბამისად, მიმწოდებელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეთხოვებოდა ვალდებულების შესრულება. ამდენად მოპასუხეს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, რაც შექმნიდა დარიცხული პირგასამტეხლოს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ შემცირების საფუძველს.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა ქვემდგომი სასამართლოების მიერ არამართებულად შემცირდა, ხელშეკრულების მხარეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენით შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა არის ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული ოდენობა, რომელიც არ გამოიწვევს კრედიტორის გამდიდრებას.

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეთა მიერ 2020 წლის 18 მაისის ხელშეკრულების შესაბამისად, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების გათვალისწინებით, პირველი ვადაგადაცილებისათვის (17 დღე) ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 3460.01 ლარს. მეორე ვადაგადაცილებისათვის (09 დღე) ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 2747.61 ლარს. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა და-

ეკისროს 6207.62 ლარის გადახდა.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანაცვები, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიცხადდა მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

25. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რაკი მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 744.9 (186.22+248.30+310.38) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 19 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ბ-ოს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფე-

როში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 6207.62 ლარის ოდენობით;

5. შპს „ბ-ოს“ (...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 550 (100+150+300) ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადანყვეტილება საქართველოს სახელის

№ას-1505-2022

12 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისში, ... მდებარე უძრავი ქონება ს/კ-ით №..., დაზუსტებული ფართი 800 კვ.მ, შენობის საერთო ფართი 1 649, 53 კვ.მ (შემდგენი ტექსტში მოხსენიებული, როგორც უძრავი ნივთი ან საიჯარო უძრავი ქონება), შპს „ე. ო-ის“ (შემდგენი ტექსტში მოხსენიებული, როგორც შპს, კომპანია ან მეიჯარე) საკუთრებაა.

1.1. კომპანიის პარტნიორები არიან რ. თ-ია, თ. ჩ-ა, გ. ტ-ია – 15-15%; თ. რ-ძე – 35% და ლ. ა-ნი -20%.

2. შპს-მ ინტერნეტსივრცეში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გაქირავების თაობაზე განცხადება/რეკლამა განათავსა, საიჯარო ქირად – 9 000 აშშ დოლარი მიეთითა.

3. კომპანიასა და შპს „თ-ნს“ (შემდგენი ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოპასუხე მონინალმდგე მხარეთა სარჩელზე, აპელანტი, კასატორი ან მოიჯარე) შორის 2019 წლის 30 სექტემბერს იჯარის ხელშეკრულება (შემდგენი ტექსტში მოხსენიებული, როგორც

იჯარის ხელშეკრულება) დაიდო. შეთანხმების მიხედვით, მოიჯარეს იჯარით, დროებით სარგებლობაში გადაეცა საიჯარო უძრავი ქონება, ყოველთვიური ქირა – 9 000 (დღგ-ს გარეშე) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი უნდა გადახდულიყო მეიჯარისთვის ყოველი საანგარიშო თვის 15 რიცხვამდე.

3.1. იჯარის საგანი კომერციული დანიშნულების ნივთია და მხოლოდ ამ მიზნით უნდა გამოყენებულიყო (იხ. შეთანხმების 8.1. პუნქტი).

3.2. შეთანხმების 12.1 პუნქტით, იჯარის საგნის მფლობელობა/სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის ფინანსური ვალდებულებები წარმოიშვებოდა, რომლებიც საიჯარო ქირის გადახდის, ზიანის მიყენების შემთხვევაში, მისი ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ფულად გადასახდელებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს განსაზღვრავდა.

3.3. ხელშეკრულება დადებულად მიიჩნეოდა მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან, ხოლო საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება წარმოიშვებოდა 2019 წლის 1 დეკემბრიდან და 2024 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედებდა (იხ. 15.1 პუნქტი).

3.4. 2019 წლის 30 სექტემბერს, ფიზიკურ პირებს – რ. თ-იას, თ. რ-ძეს, ლ. ა-ნს, თ. ჩ-ას, გ. ტ-იას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მესაკუთრეები), და მოიჯარეს შორის წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაზე და მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების თაობაზე შეთანხმება დაიდო.

3.4.1. შეთანხმების პრეამბულის თანახმად, მისი შედგენა შემდეგმა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა:

მესაკუთრეებს ყველას ერთად და ცალ-ცალკე სურთ, გაასხვიონ მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილები (ჯამში ასი პროცენტი) (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ნასყიდობის საგანი), ხოლო შემძენს სურს, შეიძინოს;

შემძენის ინტერესი ნასყიდობის საგნის შეძენაზე უკავშირდება კომპანიის საკუთრებაში ფლობის ფაქტს და შემძენს სურს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე შენობა-ნაგებობის ოფისად გამოყენება და მასზე (წილებზე) საკუთრების უფლების მოპოვება;

წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოიჯარესა და მეიჯარეს შორის გაფორმებულია უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება; ამ შეთანხმებით მესაკუთრეები ნყვეტენ სხვა პოტენციური შემძენის ძიებას და უპირატესობას ანიჭებენ შემძენს;

იმ შემთხვევაში, თუ წილს შემძენი არ შეიძენს, ეს ზიანის მომტანი იქნება მესაკუთრეებისათვის, რადგან ისინი ვერ შეძლებენ დროის გარკვეულ მონაკვეთში თანხის მიღებას, რაც მნიშვნელოვანია მათი გეგმებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე;

ამასთან, თუ მესაკუთრეები ვერ შეძლებენ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, აღნიშნულით ზიანი ადგება შემძენს, რადგან მას განხორციელებული ექნება სარემონტო სამუშაოები უძრავ ქონებაზე, რომელიც საკუთრებაში გააჩნია მეიჯარეს და განეული ექნება შესაბამისი ხარჯი, ასევე გადახდილი იქნება საიჯარო ქირა უძრავი ქონებით სარგებლობისათვის, რომლით სარგებლობასაც სარემონტო სამშენებლო სამუშაოებიდან გამომდინარე სრულფასოვნად ვერ განახორციელებს;

მხარეებმა გამოხატეს მზაობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებში იმოქმედონ საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ურთიერთპატივისცემისა და კეთილსინდისიერების პრინციპებით, რადგან მათთვის ცნობილია, რომ რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით მეორე მხარეს მიადგება ზიანი.

3.4.2. მესაკუთრეები ყველა ერთად და ცალ-ცალკე იღებენ ვალდებულებას არაუგვიანეს 2020 წლის 5 ივნისისა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სრულად მიჰყიდონ შემძენს თავიანთ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილები.

შემძენი იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, კერძოდ, არაუგვიანეს 2020 წლის 5 ივნისამდე, იყიდოს მესაკუთრეებისაგან თავიანთ საკუთრებაში არსებული შპს-ს წილები სრულად, რის საფუძველზეც შემძენი გახდება კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრე.

3.4.3. ნასყიდობის საგნის ჯამური ფასი, კერძოდ, კომპანიის 100% წილის ღირებულება – 1 260 000 აშშ დოლარია (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების გარეშე, თუ წინამდებარე ოპერაცია იბეგრება ასეთი გადასახადით), საიდანაც რ. თ-იას საკუთრებაში არსებული კომპანიის 15% წილის ღირებულება – 189 000 აშშ დოლარია; თ. რ-ძის 35% წილის – 441 000 აშშ დოლარი; ლ. ა-ნის 20% წილის – 252 000 აშშ დოლარი; თ. ჩ-ას 15% წილის – 189 000 აშშ დოლარი და გ. ტ-იას 15% წილის – 189 000 აშშ დოლარს შეადგენს.

3.4.4. ხელშეკრულების 3.2.1 პუნქტის თანახმად, შემძენი ნასყიდობის საფასურს სრულად იხდის მესაკუთრეებსა და შემძენს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.

ამავე ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტით, ნასყიდობის საგნის საფასურში, მესაკუთრეთა წილების პროპორციულად გაიქვითება ასევე: ა) ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ქირის სახით გადახდილი თანხის 74.45% და ბ) ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.4

რაცია და არ შემცირდეს მისი ღირებულება.

3.4.8. შენობა-ნაგებობა მოიჯარისთვის გადაცემის დროისთვის უნდა იყოს შემდეგი სახით: შიდა კედლები – გაჯიტი გალესილი (აღნიშნული არ ეხება შიდა ტიხრებს, რომელსაც თავისი შეხედულებით ააშენებს შემძენი); იატაკი – ბეტონის მონოლითური; ლიფტი – დამონტაჟებული და ექსპლუატაციაში მიღებული, ბრენდი „ოტისი“, აყვანილი საგარანტიო მომსახურებაზე; კანალიზაცია, დენი, გაზი და წყალი შეყვანილი შენობა-ნაგებობაში (იხ. 6.5 პუნქტი).

3.4.9. ხელშეკრულების 7.6 პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ შემძენი წინამდებარე შეთანხმების 1.1 და 4.1 მუხლით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლებს სრულად იყიდოს მესაკუთრეებისაგან ნასყიდობის საგანი, მესაკუთრეები ვალდებული არიან განუსაზღვრონ მას დამატებით ერთ წლიანი ვადა ნასყიდობის საგნის შეძენისთვის. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მოიჯარესთან იჯარის ხელშეკრულება, ხოლო მესაკუთრეები უფლებამოსილი იქნებიან, შეწყვიტონ შემძენთან წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც შემძენი ან მოიჯარე სრულად კარგავს უძრავი ქონების რემონტის ხარჯების უკან მოთხოვნის უფლებას (მიუხედავად იმისა, ვის მიერ იქნება განხორციელებული სარემონტო სამუშაოები), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უძრავ ქონებაზე განხორციელებული და დადასტურებული რემონტის ხარჯები ნაკლებია 240 000 აშშ დოლარისა, შემძენი და მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მესაკუთრეებს ან მეიჯარეს აღნიშნული სხვაობა ფულადი სახით.

3.4.10. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემძენს მესაკუთრეებისაგან გადაეცა სხვადასხვა დოკუმენტაცია, მათ შორის – ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი და პასპორტი.

3.5. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 15 აპრილის ბრძანებით, უძრავი ნივთი მიღებულია ექსპლუატაციაში.

3.6. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელეს/კასატორს ფაქტობრივ მფლობელობაში გადაეცა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ს/კ-ით ..., რის შემდეგაც მან უძრავ ქონებაში სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

მოიჯარემ მეიჯარეს საიჯარო ქირა, ჯამურად – 187 369 ლარი გადაუხადა, ბოლო გადახდა განხორციელდა 2020 წლის 16 მარტს.

3.7. 2020 წლის 22 მარტის წერილით, მოიჯარემ მეიჯარეს საიჯარო საგნის ნაკლის შესახებ აცნობა, რაც ნალექის დროს შენობის კედლებიდან წვიმის წყლის შემოდინებას/შემოჭონვას გულისხმობდა.

3.7.1. საპასუხო წერილით კასატორს ეცნობა, რომ ნაკლის დადასტურების შემთხვევაში, გამოთქვამდნენ მზაობას კასატორთან შეთან-

ხმებით, ნაკლის საკუთარი ხარჯით აღმოფხვრის თაობაზე. მითითებული კომუნიკაციის ფარგლებში, 2020 წლის 2 აპრილს კასატორმა დამატებით მიუთითა შენობის სადრენაჟე/საკანალიზაციო ჭებიდან წყლის ამოღინებაზე, ისევე როგორც შენობაში დამონტაჟებული ლიფტის არასტანდარტულ ზომაზე.

3.7.2. ამდენად, მოსარჩელე კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნივთობრივ ნაკლად განიხილავდა:

1) ნალექის დროს წვიმის წყლის შემოღინებას (შემოჟონვას) შენობის კედლებიდან;

2) შენობის სადრენაჟე/საკანალიზაციო ქსელის პრობლემას, რაც გამოიხატებოდა გარე საკანალიზაციო ჭებიდან წყლის ამოსვლაში

3) შენობაში არსებული ლიფტის არასტანდარტულ სიმაღლეს.

შპს „თ-ნის“ განმარტებით, ლიფტის სიმაღლე არ აღემატებოდა 2 მეტრს, რაც საშუალო სიმაღლის მომხმარებელს მისით სარგებლობისას პრობლემას შეუქმნიდა, ვინაიდან შენობა სამომავლოდ უნდა ყოფილიყო კომერციული მოხმარების და გათვლილი იყო მასში სხვადასხვა ბრენდირებული მალაზიის განთავსება.

3.7.3. საპასუხო წერილით კასატორს ეცნობა, რომ კომპანია გამოსასწორებელ დადასტურებულ ნაკლად, მხოლოდ შენობის კედლებიდან წვიმის წყლის შემოჟონვას მიიჩნევდა.

3.8. 2020 წლის 30 მაისს მოსარჩელემ/მოიჯარემ შეწყვიტა როგორც იჯარის, ასევე, წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ შეთანხმება. მიზეზად მისთვის გადაცემული კომპანიის საკუთრებაში არსებული საიჯარო ქონების ნაკლი მიუთითა, ისევე, როგორც პანდემიის გათვალისწინებით, ხელშეკრულებების დადების შემდგომ შეცვლილი გარემოებები.

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით შემქმნმა მოითხოვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში გადაცემულის (საიჯარო ქირა, სარემონტო ხარჯი, დიზაინერის მომსახურებაზე განეული ხარჯი და აუდიტორული დასკვნის მომზადებაზე განეული ხარჯი) უკან დაბრუნება.

სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, კომპანიას შენობა-ნაგებობა ჩაბარდა 2020 წლის 12 ივნისს. ის ფაქტი, რომ მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდა მოსარჩელის ინიციატივით, სადავოს არ წარმოადგენს. საქმის მასალებში წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტიც, რომლითაც დასტურდება, რომ კომპანიას შენობა-ნაგებობა ჩაბარდა 2020 წლის 12 ივნისს.

4. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით შპს „თ-ნმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ე.ო-ის“, რ.თ-იას, თ.რ-ძის, ლ.ა-ნის, თ.ჩ-

ასა და გ. ტ-იას წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

5. თავის მხრივ, მესაკუთრეებმა სარჩელი აღძრეს მოიჯარის/შემძენის წინააღმდეგ თანხის დაკისრების თაობაზე.

6. აღნიშნული საქმეები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 აპრილის განჩინებით, ერთ წარმოებად გაერთიანდა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, შპს „თ-ნის“ სარჩელი შპს „ე.ო-ის“, რ. თ-იას, თ. რ-ძის, ლ. ა-ნის, თ. ჩ-ას, გ. ტ-იას მიმართ უარყოფილ იქნა;

რ. თ-იას, თ. რ-ძის, ლ. ა-ნის, თ. ჩ-ასა და გ. ტ-იას სარჩელი შპს „თ-ნის“ მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „თ-ნის“ რ. თ-იას, თ. რ-ძის, ლ. ა-ნის, თ. ჩ-ასა და გ. ტ-იას სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 24 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად სსკ-ის 316-ე-317-ე, 327-ე, 352-ე, 355-ე, 361-ე, 394-ე, 398-ე, 533-ე, 535-ე, 581-ე, 405-ე, 408-ე, 417-ე-418-ე, 420-ე, 477-ე, 487-ე-488-ე, 490-ე მუხლები გამოიყენა.

8. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოიჯარემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოწინააღმდეგე მხარეების სარჩელის უარყოფა, ხოლო მესაკუთრეებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მათი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მოიჯარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

მესაკუთრეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, შპს „თ-ნის“ მიმართ რ. თ-იას, თ. რ-ძის, ლ. ა-ნის, თ. ჩ-ას, გ. ტ-იას სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით – 24 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

შპს „თ-ნის“ რ. თ-იას, თ. რ-ძის, ლ. ა-ნის, თ. ჩ-ას, გ. ტ-იას სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 210 325 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება;

სხვა ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

10. გადაწყვეტილება შპს „თ-ნმა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება და გაერთიანებული

სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

10.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო-ებმა ნაწილობრივ სწორად დაადგინეს ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების საგანი ნაკლიანი იყო, თუმცა არასწორად დადგინდა მისი მოცულობა, გავლენა ნასყიდობის საგანსა და მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ნაკლის გამოსასწორებლად გასანევი დანახარჯისა და პერიოდის ოდენობა და ნაკლის მიმართ მხარეთა სუბიექტური და ობიექტური დამოკიდებულება.

კასატორის მითითებით, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზებზე მსჯელობისას ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ ძირითადად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მხოლოდ ხელშეკრულების საგნის ნაკლთან მიმართებით, მაშინ როდესაც ნაკლთან ერთად ხელშეკრულებიდან გასვლის არსებით მიზეზად პანდემია და მასთან ბრძოლის მიზნით მიღებული შეზღუდვები/აკრძალვები დასახელდა.

გარდა ზემოლნიშნულისა, კასატორის მტკიცებით, არასწორადაა განსაზღვრული პირგასამტეხლოს სამართლიანი ოდენობაც.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 29 მარტის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ მართებულია.

13. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს/კასატორს სურდა, კერძოდ, გადახდილი საიჯარო ქირისა და უძრავ ქონებაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 581-ე (იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოის შედეგად შემო-

სავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც; იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული), 533-ე (გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი. 535-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის), 477-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მინაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება, შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე), 487-ე (გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი ნივთი), 488.1 (ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის), 488.2 (ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთი ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე), 352.1 (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება)), 405.1 (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებით ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება) და 405.2 (არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დანესება ან გაფრთხილება, თუ: ა. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთ-

ბის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; გ. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა) მუხლებს ეფუძნებოდა.

გაერთიანებული სარჩელის მოსარჩევეების/მესაკუთრეების მოთხოვნა კი, 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებიდან გამომდინარეობდა. სსკ-ის 420-ე (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მუხლით კი, გათვალისწინებულია შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობა.

14. სსკ-ის 352-ე მუხლი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 346-ე პარაგრაფის ანალოგი, რომელიც ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) წინაპირობებს, რაც მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის როგორც კანონისმიერ, ისე – სახელშეკრულებო დათქმის საფუძველს და განიმარტება, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევა (იხ. იან კროპჰოლერი, გსკ-ის კომენტარი, 2014 წ. გამოცემა).

დოქტრინაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული სსკ-ის 352-ე მუხლში მითითებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა (გასვლის) და ხელშეკრულების მოშლის ტერმინოლოგიური უზუსტობის შესახებ (იხ. www.gccc.ge – 352-ე მუხლის კომენტარი) და დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმას, რასაც გადაცემულისა და მიღებულის ორმხრივი რესტიტუცია მოსდევს, ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება.

საგულისხმოა ისიც, რომ ზოგადად ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან და გარდაიქმნებიან რესტიტუციის კრედიტორად და რესტიტუციის მოვალედ.

15. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად ნივთის ნაკლზე აპელირებდა, კერძოდ, ნვიმის დროს ნვიმის წყლის შემოდინებაზე (შემოჟონვა) შენობის კედლებიდან; შენობის სადრენაჟე/საკანალიზაციო ქსელის პრობლემაზე, რაც გამოიხატებოდა გარე საკანალიზაციო ქებიდან წყლის ამოსვლაში და შენობაში არ-

სებული ლიფტის არასტანდარტულ სიმაღლეზე.

მისი მითითებით, ლიფტის სიმაღლე არ აღემატებოდა 2 მეტრს, რაც საშუალო სიმაღლის მომხმარებელს სარგებლობისას პრობლემას შეუქმნიდა, ვინაიდან შენობა სამომავლოდ უნდა ყოფილიყო კომერციული და გათვლილი იყო მასში სხვადასხვა ბრენდირებული მაღაზიის განთავსება, ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად პანდემიასა და მასთან ბრძოლის მიზნით მიღებულ შეზღუდვებზე/აკრძალვებზე აპელირებდა.

16. შპს „ე. ო-ი“ დადასტურებულ ნაკლად მხოლოდ შენობის კედლებიდან წვიმის წყლის შემოჭონვას აღიარებდა.

17. ამდენად, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანია თუ რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის/კასატორის მოთხოვნა ნივთის ნაკლის გამო, ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე და რაში გამოიხატებოდა შენობა-ნაგებობების ნაკლი.

17.1. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

17.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია, მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული გადანაწილება მონინალმდევე მხარეებს შორის.

17.3. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმისწარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ სარჩელის (განცხადების) შეტანის

შესახებ გადაწყვეტილებას. მხარეებს უფლება აქვთ, საქმისწარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია, უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

17.4. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდევე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

17.5. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაკულტატური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალი არიან, მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებს ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, ახსნა-განმარტებებიც დასაბუთებული და უშუალოდ დავასთან დაკავშირებული უნდა იყოს.

17.6. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმა.

მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და, პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის წარმომშობი ყველა გარემოება, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, „სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბ., 2003, გვ. 64).

18. საქმეში დაცული წერილობითი მტკიცებულებების, კერძოდ, მხარეთა შორის არსებული მიმონერისა (წვიმის წყლის შემოდინების ფაქტს მონინალმდეგე მხარეც არ უარყოფს) და მათ შორის სახელმეკრულე-ბო ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ შპს „ე. ო-ის“ მიერ ნაკლის გამოსწორების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააკველაციო სასამართლოს დასკვნას, ნაკლის – ძლიერი ნალექის პირობებში შენობის კედლებიდან წვიმის წყლის შემოდინების/შემოჟონვის ფაქტის რეალობის შესახებ.

19. მითითებულ ნაკლთან მიმართებით მონინალმდეგე მხარე აღნიშნავდა, რომ იგი მარტივად გამოსწორებადი იყო და ხელმეკრულები-

დან გასვლის საფუძველს არ წარმოშობდა.

20. ამავდროულად, შენობის სადრენაჟე/საკანალიზაციო ქსელისა და შენობაში განთავსებული ლიფტის არასტანდარტულ სიმაღლესთან მიმართებით კასატორის პრეტენზიას საკასაციო სასამართლო უარყოფს და მიიჩნევს, რომ იგი უძრავი ქონების ნაკლად ვერ განიხილება, კერძოდ:

20.1. დადგენილია, რომ 2019 წლის 30 სექტემბერს შეთანხმების დადებასთან ერთად კასატორს გადაეცა ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი და პასპორტი, რომელიც შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას ლიფტის პარამეტრების, მათ შორის – სიმაღლის თაობაზე, საქმეში წარდგენილია ასევე ლიფტის შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის გადაცემაზე კასატორი არ დავობს, შესაბამისად, მისთვის ლიფტის პარამეტრები შეთანხმებისთანავე იყო ცნობილი, მიუხედავად იმისა შენობაში ლიფტი ფიზიკურად იყო თუ არა დამონტაჟებული.

21. რაც შეეხება შენობის გარე საკანალიზაციო ქვების გაუმართაობასთან მიმართებით კასატორის მითითებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ნაკლად ვერ მიიჩნევა, რადგან გარდა მხარის ზეპირსიტყვიერი განმარტებისა რაიმე სახის მტკიცებულებებით დადასტურებული არაა.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ საქმეში წარდგენილია, შპს „ჯ.უ.ე.ფ-ის“ გარე ქსელებზე დაერთების და ექსპლუატაციაში მიღებისა და აბონირების აქტი, ისევე, როგორც ობიექტის წყალარინების ქსელზე დაერთების სქემატური ნახაზი, ცნობა, რომლითაც შპს „ჯ.უ.ე.ფ-ი“ უთითებს, რომ ... ქუჩა №23-ში, ს/კ-ით №..., წყალარინების D=100 მმ-იანი ქსელი დაერთებულია გვირილების ქუჩაზე გამავალ კომპანიის ბალანსზე რიცხულ წყალარინების D=150 მმ-იან ქსელზე.

ობიექტის წყალარინების ქსელი მუშაობს გამართულად, დაცული აქვს ქანობი, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვითაა მოწყობილი, შესაბამისად, გარე საკანალიზაციო ქსელის პრობლემაზე კასატორის მითითებაც დაუსაბუთებელია.

22. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას მასზედ, რომ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე, შპს „თ-თვის“ თავდაპირველად იჯარით გადაცემულ შპს „ე.ო-ის“ უძრავ ქონებას გააჩნდა ნაკლი, რაც შენობა-ნაგებობის ჰიდროიზოლაციის პრობლემაში, კერძოდ, ძლიერი ნალექის პირობებში შემოჟონილი წყლით კედლების დასველებაში გამოხატება.

23. საკასაციო პალატა აღიარებული სამართლებრივი დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ

ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული ფუნდამენტური უფლებაა და მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხორციელებისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა.

ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სსკ 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები) (იხ: დამატებით: ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, მუხლი 352-ე, თბილისი, 2001 წელი, 233; მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006 წელი, 41; შდრ: სუსგ №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021).

23.1. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული უფლებაა, ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამოორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე.

ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში იგულისხმება ვალდებულების დარღვევა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დანესება (გაფრთხილება) და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შეტყობინება.

23.2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია:

ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს);

ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი);

გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად ვადის ხელშეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა;

დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში

დატოვება;

ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი;

ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე);

ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი, ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება (იხ. დამატებით: მ. თოდუა/პ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 56; პ. ბილინგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ.39; შდრ: სუსგ №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017.პ.34).

23.3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა თავისთავად და უპირობოდ არ ანიჭებს მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, არამედ ვალდებულების დარღვევა ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს.

23.4. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გამოვლენილი ნაკლი/შენიშვნის ჰიდროიზოლაციის პრობლემა, კასატორისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერ წინაპირობებს არ წარმოქმნიდა;

გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, თანახმა იყო ნაკლის გამოსასწორებლად ნებისმიერ გონივრულ ალტერნატივაზე, იქნებოდა ეს უშუალოდ ნაკლის გამოსწორება თუ ფასის შემცირება; ამასთან თავისი ხასიათიდან გამომდინარე იგი ვერ განიხილება ისეთ მნიშვნელოვან ნაკლად, რაც მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებებს სრულად დაუკარგავდა ინტერესს.

24. კასატორი ნივთის ნაკლთან ერთად ხელშეკრულებიდან გასვლის არსებით მიზეზად პანდემიასა და მასთან ბრძოლის მიზნით მიღებულ შეზღუდვებზე/აკრძალვებზე უთითებდა.

24.1. კასატორის ამ მსჯელობას საკასაციო სასამართლო უარყოფს და მის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 398-ე მუხლის შინაარსზე, რომლის მიხედვით. თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მა-

შინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. 2. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა. 3. მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

24.2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპი – „*pacta sunt servanda*“ მსოფლიოს ყველა მართლწესრიგისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე პრინციპია, რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულობას სახელშეკრულებო წონასწორობის უზრუნველყოფის, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლებრივი განსაზღვრულობისათვის.

24.3. კანონიერად მიღწეული შეთანხმება იკავებს კანონის ადგილს მათი შემოქმედი მხარეებისთვის. ხელშეკრულების დაურღვევლობის პრინციპიდან სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა დაცვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად *pacta sunt servanda*-ს უზენაესი წესის აღსრულება.

კონკრეტული სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება სახელშეკრულებო სამართლის ამ უზოგადეს მიზანთან წინააღმდეგობაში არ უნდა აღმოჩნდეს, რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა შორის უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების კერძოსამართლებრივ ღირებულებას.

ინდივიდუალური სახელშეკრულებო ინტერესსა და კერძოსამართლის დაცვითი, სამართლებრივი წესრიგის უზრუნველმყოფ ფუნქციას შორის დილემის, წინააღმდეგობის არსებობისას, სასამართლო აღიჭურვება სახელშეკრულებო ურთიერთობაში ლეგიტიმური ჩარევის ძალმოსილებით.

24.4. სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების აღმოცენება თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვის თანმდევი რისკია, რომელთა პირობებშიც ხელშეკრულების უზენაესობის პრინციპის შეუზღუდავი გამოყენება სახელშეკრულებო წონასწორობის, სამართლიანობის, გონივრულობის, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთა რღვევას განაპირობებს, შესაბამისად, *pacta sunt servanda*-ს

პრინციპთან ერთად თანაარსებობს *clausula rebus sic standibus*-ის დოქტრინა, რომელიც სახელშეკრულებო პირობების მხოლოდ უცვლელ გარემოებათა პირობებში მხოტავი ძალმოსილების შენარჩუნებას ითვალისწინებს.

24.5. იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებულია, რომ შეცვლილი გარემოებები ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში *vis major*) და შესრულების გართულების (*Hardship*) ორ ფუნდამენტურ, საბაზისო კონცეფციას აფუძნებს თანამდევი სამართლებრივი შედეგებით.

კერძოდ, შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამოორიცხავს შესრულების შესაძლებლობას და რომლის პირობებშიც უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა.

ფორსმაჟორი კი განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით ფუძნდება, რომელიც თანამდევ შედეგად შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას მოიაზრებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ადაპტაციის შეუძლებლობისას, დაზარალებული მხარისათვის უცვლელად ხელმისაწვდომი რჩება ხელშეკრულებიდან გასვლის/ შეწყვეტის (გრძელვადიან ურთიერთობაში) მოთხოვნები.

კრედიტორის სურვილი, გადახედოს ხელშეკრულების პირობებს, გასათვალისწინებელია, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა (*ex nunc* შედეგით)/გასვლა (*ex ante* მნიშვნელობით) რჩება დაზარალებული მხარის დაცვის შეუცვლელ მექანიზმად.

24.6. 2020 წლის მარტიდან ქვეყანაში გავრცელებული პანდემია და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები ეკონომიკურ სფეროში გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნევა და მტკიცებას არ საჭიროებს.

ამასთან, პანდემია ავტომატურად ხელშეკრულების შეწყვეტის მართლზომიერ საფუძველად ვერ მიიჩნევა, შესაბამისად, კასატორს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა უნდა დაემტკიცებინა.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შპს „თ-ნმა“ სადავო პერიოდში არაერთი იჯარის ხელშეკრულება დადო, შესაბამისად, კასატორს აღნიშნული დანაწესი აძლედა საშუალებას, გარემოებების ცვლილებების გათვალისწინებით, მოეხდინა მისი მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, რის საპასუხოდაც მოსარჩელემ ხელშეკრულებიდან გასვლა მიიჩნია ერთადერთ ალტერნატივად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინარე ნასყიდო-

ბის ხელშეკრულების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებისადმი მისადაგების საკითხი არსებითად შეეხებოდა სწორედ ნასყიდობის საგნის ფასდაკლებას.

საქმეში წარმოდგენილი მიმონერები ადასტურებს, რომ მოპასუხემ გამოთქვა მზაობა შეემცირებინა ნასყიდობის საფასური 100 000 აშშ დოლარით, მაშინ როდესაც შპს „თ-ნის“ სურვილი მდგომარეობდა შენობის 800 000 აშშ დოლარად შექენაში. წინამდებარე საქმის ფარგლებში დაუსაბუთებელია პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ შეთავაზებული ფასი წარმოადგენდა სწორედ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეცვლილ გარემოებათა მისადაგების მიზნით გადადგმულ გონიერ ნაბიჯს და არა მხოლოდ მოსარჩელის სურვილს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შექენა ნასყიდობის საგანი, შესაბამისად, კასატორის ეს პრეტენზია დაუსაბუთებელია.

25. იმ პირობებში, როცა სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენდა იჯარის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ამასთან, არც სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დასახელებული ხარჯის განწევა და მისი მიზნობრიობა დასტურდება, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას საიჯარო ქირის სახით გადახდილი – 187 369 ლარის, დიზაინერული მომსახურებისთვის განწეული ხარჯის – 41 542.2 ლარისა და აუდიტორის მომსახურების ხარჯის – 41 30 ლარის ანაზღაურების უსაფუძვლობასთან მიმართებითაც.

26. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე, რომლის შესაბამისად შპს „თ-ნის“ მხრიდან 84087 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოების ჩატარება დასაბუთებულად ჩაითვალა.

თავად 84087 ლარი გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლოს რაოდენობის განსაზღვრისას და გამოაკლდა შპს „თ-ნის“ მიმართ დასაკისრებელი თანხის (240 000 აშშ დოლარი) მოცულობას.

თვალნათელია, რომ საკასაციო საჩივრის ავტორს შპს „თ-ნი“ წარმოადგენს და კასატორის პრეტენზია სარემონტო სამუშაოებისთვის განწეული ხარჯის – 84 087 ლარის ანაზღაურების კანონშესაბამისობის რეევიზირებას არ ითვალისწინებს; ამდენად, საკასაციო სასამართლო არაა უფლებამოსილი შეამოწმოს გასაჩივრებული გადანყვეტილების ის ნაწილი, რომელიც დასახელებული თანხის დაკისრების კანონიერებას შეეხება.

27. კასატორის პრეტენზია ისიცაა, რომ არასწორად დადგინდა პირგასამტეხლოს სამართლიანი ოდენობა.

27.1. კასატორის ამ პრეტენზიას საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს და განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამარ-

თლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. „ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...“ „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე.

პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის:

ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები;

ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს;

გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს;

დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“ (შდრ. სუსგ-ები №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016).

27.2. სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება.

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოიხმოს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლიანობის თაობაზე დამკვიდრებული სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს თაობაზე არაერთ საქმეზე განმარტა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედაგების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

27.3. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვ-

ლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება (მდრ. სუსგ.-ებები. №ას-1292-2019, 24.12.2020წ.; №ას-386-2019, 02.04.2021წ. №ას-1199-1127-2015, 13.04.2016წ.).

27.4. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (სუსგ №ას-1511-2018, 26.03.2019წ.).

27.5. პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნონე და გონივრული, რაც გულისხმობს სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირებას (სუსგ. №ას-186-2021, 25.03.2021წ.).

27.6. განსახილველ შემთხვევაში, ნაკისრი ვალდებულების ხასიათის, ვალდებულების დარღვევის არსის, შეთანხმების შესრულებისადმი მესაკუთრეების ინტერესის, ასევე ხელშეკრულების დადებიდან სხვა პოტენციური მყიდველის/მოიჯარის მოძიების შეწყვეტის პირობებში მყიდველის მიერ ნივთის შეძენაზე უარის თქმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემძენისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლო – 120 000 აშშ დოლარით უნდა განისაზღვროს;

საბოლოოდ, კასატორს მესაკუთრეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს – 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომელსაც უნდა გამოაკლდეს შპს „თ-ნის“ მიერ განეული ხარჯი – 84087 ლარი;

28. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვე-

ტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

28.1. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რ. თ.-იას, თ. რ.-ძეს, ლ. ა.-ნს, თ. ჩ.-ას, გ. ტ.-იას შპს „თ-ნს“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული თანხის – 2888,8 ლარის ანაზღაურება;

28.2. შპს „თ-ნს“ რ. თ.-იას, თ. რ.-ძეს, ლ. ა.-ნს, თ. ჩ.-ას, გ. ტ.-იას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის ნაწილის – 3000 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „თ-ნის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „თ-ნს“ რ. თ.-იას, თ. რ.-ძის, ლ. ა.-ნის, თ. ჩ.-ას, გ. ტ.-იას სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომელსაც გამოაკლდეს შპს „თ-ნის“ მიერ განეული ხარჯი – 84087 ლარი;

4. რ. თ.-იას, თ. რ.-ძეს, ლ. ა.-ნს, თ. ჩ.-ას, გ. ტ.-იას შპს „თ-ნს“ სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახ-

დილი სახელმწიფო ბაჟის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციული თანხის – 2888,8 ლარის ანაზღაურება;

5. შპს „თ-ნს“ რ. თ-იას, თ. რ-ძეს, ლ. ა-ნს, თ. ჩ-ას, გ. ტ-იას სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე წარმომადგენლის დახმარებისთვის განეული ხარჯის ნაწილის – 3000 ლარის ანაზღაურება.

6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადანყვეტილება საქართველოს სახელის

№ას-1210-2023

18 იანვარი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შემდგომ – მოსარჩელე, შემსყიდველი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „შ-ს“ (შემდგომ – მოპასუხე, მიმწოდებელი) მიმართ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2022 წლის 10 თებერვლის №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს – 11 013.03 ლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2022 წლის 10 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, შემსყიდველისთვის მიეწოდებინა შს სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებისათვის ქამრები ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2022 წლის 11 აპრილი-

სა. როგორც შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2022 წლის 2 ივნისის №... და 2022 წლის 15 ივნისის №... სამსახურებრივი ბარათებიდან ირ-კვევა, კომპანიამ დაარღვია ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, კერძოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ნაცვლად 2022 წლის 11 აპრილისა, სრულად მიანოდა 2022 წლის 13 ივნისს, 63 კალენდარული დღის დაგვიანებით.

3. ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, კომპანიას ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების – 116 540 ლარის 0.15%-ის ოდენობით ($116\,540 * 0.15\% * 63$), რაც 11 013.03 ლარს შეადგენს.

მოპასუხის პოზიცია:

4. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო, ასევე მიუთითა, რომ დარიცხული პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი და სასამართლოს მიერ უნდა შემცირდეს გონივრულ ოდენობამდე. მოპასუხემ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 3671.1 ლარის ფარგლებში და ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი და მოითხოვა მისი შემცირება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2022 წლის 10 თებერვლის №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს – 6682.2 ლარის გადახდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა, ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს სახით 4330.83 ლარის დაკისრების ნაწილში.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააკუელაციო პალატის მითითებით, განსახილველი სარჩელით, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, რის გამოც მის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 11 013.03 ლარს. მოპასუხე სადავოდ არ ხდის მის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების ფაქტს, თუმცა მიუთითებს, რომ დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არის შეუსაბამოდ მაღალი და უნდა შემცირდეს.

9. სააკუელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა, საქმის შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

10. 2022 წლის 10 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, შემსყიდველისთვის – სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებისათვის მიწოდებინა ქაშები ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2022 წლის 11 აპრილისა. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.3. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების – 0.15%-ის ოდენობით. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ნაცვლად 2022 წლის 11 აპრილისა, მოსარჩელეს მიაწოდა 2022 წლის 13 ივნისს, ანუ 63 კალენდარული დღის დაგვიანებით.

11. მოპასუხემ მოსარჩელეს საქონელი მიაწოდა ორ ეტაპად: 65 790 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 13 ივნისს, ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 30 მაისს.

12. სააკუელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 3671.1 ლარის ფარგლებში.

13. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა არაჯეროვნად, კერძოდ, მოპასუხემ მოსარჩელეს 65 790 ლარის ღირებულების საქონელი მიაწოდა 63 დღის დაგვიანებით (2022 წლის 13 ივნისი), ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 50 დღის დაგვიანებით (2022 წლის 30 მაისი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათ-

ვის, მოსარჩელეს წარმოეშვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის საფუძველი.

14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს უფლებებთან ერთად ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომელთა შეუსრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ეს დანაწესი განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგომ – სსსკ) მე-4 მუხლში, რომლის მიხედვითაც, მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის დავის სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება.

15. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი – პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების არაკანონიერებასთან დაკავშირებით და დაკისრებული პირგასამტეხლოს გაზრდა სარჩელით მოთხოვნილ ოდენობამდე (ხელშეკრულების ღირებულების 116 540 ლარის 0,15%, სულ – 11 013.03 ლარი) დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

16. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგ – სსკ) 417-ე მუხლით, 418-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით.

17. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შეუსრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრე-

ვენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო (სუსგ 25.05.2010 წ. საქმე №ას-1220-1480-09).

18. პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა და კავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

19. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

20. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ 6.05.2015 წ. საქმე №ას-1158-1104-2014, 10.02.2016 წ. საქმე №ას-1265-1187-2015).

21. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სა-

ხელშეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

22. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.

23. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულება სრულად და ჯეროვნად ვერ შეასრულა, რისთვისაც მოსარჩელემ მოპასუხეს დაარიცხა პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების – 116 540 ლარის 0.15%-ის ოდენობით, რაც პალატის შეფასებით წარმოადგენს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობას და გასაჩივრებული გადანყვეტილებით სწორად იქნა შემცირებული. ამასთან, პალატამ მიიჩნია, რომ, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე (ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, გამოიხატა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევაში და არა მაგ. შესყიდვის ობიექტის მიწოდებლობაში), პირგასამტეხლოს დაანგარიშება სწორად განისაზღვრა არა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან, არამედ ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, რაც ვადაგადაცილებულ დღეებზე შეადგენს 6 682.2 ლარს (63 დღის დაგვიანებისათვის – 4 144.7 ლარი (65 790 ლარის 0.1%), ხოლო 50 დღის დაგვიანებისათვის – 2 537.5 ლარი (50 750 ლარის 0.1%)).

24. სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

25. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

26. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე – კრედიტორის ეკონომიური ინტერესი.

27. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, შეფასდეს, თუ რაში გამოიხატა მიმწოდებლის (მოპასუხე) მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება. პალატამ აღნიშნა, რომ მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება,

განსახილველ შემთხვევაში, გამოიხატა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევაში, და არა უშუალოდ განეული მომსახურების უხარისხობაში. შესაბამისად, ერთი მხრივ, დარღვევის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობა კონკრეტულ შემთხვევაში დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, ექვემდებარებოდა შემცირებას და გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა გასაჩივრებული გადანყვეტილებით სწორად განისაზღვრა ვადაგადაცილებული საქონლის ღირებულების – 0,1%-ის ოდენობით, სულ – 6 682.2 ლარით.

28. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. ვალდებულების დარღვევამდე პირგასამტეხლო ემსახურება ვალდებულების შესრულების სტიმულირებას, ვინაიდან მოვალემ იცის, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მას მოუწევს გარკვეული საზღაურის გადახდა. პირგასამტეხლო ატარებს პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას, შესაბამისად, პირგასამტეხლო, რომელიც გადააჭარბებს ამ ოდენობას, იძენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს. მნიშვნელოვანია, რომ პირგასამტეხლო მოვალეს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, ვალდებულების დარღვევით კრედიტორმა ზიანი განიცადა თუ არა. მართალია, კრედიტორს ენიჭება პირგასამტეხლოს უპირობოდ მოთხოვნის უფლება, მაგრამ მისი ოდენობის განსაზღვრისას, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამონვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული.

29. სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მოხმობილი ნორმების (115-ე, 420-ე მუხლები) და მსჯელობის გათვალისწინებით, ასევე დარღვევის ხასიათისა და ხარისხის მხედველობაში მიღებით, მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი (დაკისრებული პირგასამტეხლოს გაზრდა, სარჩელით მოთხოვნილ ოდენობამდე) დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

30. საბოლოოდ, სამოქალაქო საქმეთა პალატამ დაასკვნა, რომ აპელანტმა ვერ უზრუნველყო გასაჩივრებული გადანყვეტილების საპირისპიროდ შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული დასაბუთებული პრეტენზიის წარმოდგენა. ის დასაბუთება, რაც აპელანტმა შეთავაზა სასამართლოს, არ იძლევა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამო-

ქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებისათვის საკმარის საფუძველს.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

32. კასატორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო დაეყრდნო მოპასუხის პოზიციას პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის თაობაზე, ისე, რომ მოპასუხეს არ მიუთითებია არცერთი ფაქტიობრივი გარემოება, თუ რატომ იყო არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალი დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელიც გამომდინარეობდა მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს.

33. კასატორმა მიუთითა, რომ მისი მოთხოვნა შეეხება დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობას, რომელიც აშკარად შეუსაბამოა და არ არის დარღვევის პროპორციული. მისი პრეტენზია ეფუძნება იმ მოტივაციას, რომ პირგასამტეხლოს ინსტიტუტი თანდათან უფრო მეტად კარგავს არსს. ცხადია, სსკ-ის 420-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი ოდენობა, თუმცა აღნიშნული უნდა განხორციელდეს გონივრულობის ფარგლებში და კონკრეტული საქმის ფაქტიობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად. ყურადსაღებია ვალდებულების დროულად შესრულების საჯარო ინტერესი და ის მთავარი მიზანი, რომლის მიხედვითაც პირგასამტეხლოს უნდა გააჩნდეს შემაკავებელი ეფექტი. პირგასამტეხლოს თანხის ამდენად შემცირება, აზრს უკარგავს ამ ინსტიტუტის არსებობას, მის ქმედითობას და ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისა თუ შეუსრულებლობის ნახალისების საშუალებად, მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესის დაკნინებადაც კი შეიძლება იქნეს განხილული. პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებით ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს ექმნება იმის მოლოდინი, რომ ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების პირობებშიც კი, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის ფარგლები ძალიან მცირე იქნება, რაც შემსყიდველს ვალდებულების დროულად შესრულების უზრუნველყოფის ბერკეტს ართმევს. ასევე, არ იმუშავებს მისი შემაკავებელი ეფექტი.

34. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა, თუ რას ეფუძნებოდა მისი მოთხოვნა სასამართლოს შეემცირებინა პირგასამტეხლო, სასამართლომ დაუსაბუთებლად

შეამცირა პირგასამტეხლო იმგვარად, რომ არ უმსჯელია, თუ რა კონკრეტული ფაქტები მიიღო მხედველობაში, როდესაც შეთანხმებული პირგასამტეხლო შეამცირა.

35. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისად, დადებულ ხელშეკრულებებში პირგასამტეხლოს ითვალისწინებს არა სადამსჯელო ფუნქციით, არამედ ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის დანიშნულებით, ამდენად, მითითებული უზრუნველყოფის ვალდებულების ჯეროვან შესრულებას.

36. კასატორმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე (სუსგ №ას-174-2020, 17.06.2020წ., №ას-889-2022, 23.03.2023წ.) და მიიჩნია, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს 11 013,3 ლარის – 6682,2 ლარამდე შემცირება ნიშნავს პირგასამტეხლოს მსუსხავი ეფექტის უგულებელყოფასა და მხარის ინტერესის ანულირებას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ლეგიტიმური მიზანი ხელშეკრულების დროული შესრულების თვალსაზრისით, რადგან მოსარჩელე სამინისტროს სპეციფიკიდან გამომდინარე, თითოეული ხელშეკრულება ემსახურება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობის ჯეროვან შესრულებას.

37. კასატორმა მიუთითა, რომ პირგასამტეხლოს გაანგარიშება მხარეთა შეთანხმების საგანია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქმე ეხება სატენდერო ხელშეკრულებას. დარღვევის შედეგი წინასწარ განჭვრეტადია და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც პირგასამტეხლო მხარისათვის „შეუსაბამოდ მაღალი“ გახდეს, არის ის, რომ მან შეუსაბამოდ დაარღვიოს ვალდებულებები, კერძოდ, დარღვიოს ვალდებულება იმდენად, რომ პირგასამტეხლოს თანხა გახდეს არაპროგნოზირებადი..

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 04 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

39. საკასაციო სასამართლომ, სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, იმსჯელა რა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე, 2023 წლის 04 დეკემბრის განჩინებით მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ცნობილ უნდა იქნეს დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც

შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

40. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

41. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ – სსსკ-ი) 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონებებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება კანონდარღვევას, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევით.

42. სსსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შებოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემთხვევების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ

კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

44. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება.

45. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1

მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სამართლოს ვალდებულებაა.

47. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების არაფეროვანი შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება, სსკ-ის 477-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) და სსკ-ის 417-ე (პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაფეროვნად შესრულებისათვის), მუხლებიდან გამომდინარეობს.

48. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

49. სსკ-ის 477-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულება კონსესუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით მხარეთა შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებით (მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე), ისე სანივთო (გარიგებით საკუთრების უფლების განკარგვა და გადაცემა ხდება) გარიგების ელემენტებს და იგი, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული.

50. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელმეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი:

52. 2022 წლის 10 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება, შემსყიდველისთვის – სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებისათვის მიწოდებინა ქაშები ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2022 წლის 11 აპრილისა. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.3. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების – 0.15%-ის ოდენობით.

53. მოპასუხემ მოსარჩელეს საქონელი მიანოდა ორ ეტაპად: 65 790 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 13 ივნისს, ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 30 მაისს.

54. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 3671.1 ლარის ფარგლებში.

55. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულა არაჯეროვნად, კერძოდ, მოპასუხემ მოსარჩელეს 65 790 ლარის ღირებულების საქონელი მიანოდა 63 დღის დაგვიანებით (2022 წლის 13 ივნისი), ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 50 დღის დაგვიანებით (2022 წლის 30 მაისი).

56. კასატორის პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებული

ლია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (მდრ. სუსგ-ები: №ას-1245-2022, 09 მარტი, 2023 წელი; №ას-1274-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016 წელი).

57. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. (იხ: ირაკლი რობაქიძე, ნიგნში სახელმეკრულებო სამართალი /ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია/ გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ. 590).

58. პირგასამტეხლო ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (მდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018 წელი; №ას-1158-1104-2014, 06 მაისი, 2015 წელი; №ას-1265-1187-2015, 10 თებერვალი, 2016 წელი).

59. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღა-

ურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (შდრ: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

60. როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელშეკრულებო ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ: ნათია ჩიტაშვილი. პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021 წელი).

61. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო, უპირველესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრულებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი და ამავედროულად დასაცავი ღირებულებაა სახელშეკრულებო წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტეხლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავედროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (შდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022 წელი; №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019 წელი).

62. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საკანონმდებლო მონესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურობდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეუ-

ლი დებულებები გააზრებული უნდა იქნეს სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენტიაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მონესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს.

64. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ პირგასამტეხლოზე უფლება აქცესორული უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე. პირგასამტეხლო ძირითადი უფლების სამსახურშია. ამიტომაც დაუშვებელია პირგასამტეხლოს მოთხოვნის განხორციელება ძირითადი უფლების გარეშე. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ ფაქტსაც, რომ მისი დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევა. პირგასამტეხლო უსაგნო იქნება, როცა მოვალის ბრალის გარეშე ვალდებულება ვერ შესრულდება ან ხელშეკრულება გაუქმდება. პირგასამტეხლოთი ვალდებულების უზრუნველყოფა სულაც არ ცვლის პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს. ამიტომაცაა, რომ თუკი ძირითადი ვალდებულების შესრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მაშინ მას არც პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრება (იხ. ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 417, თბილისი, 2001, გვ. 489-490; ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბ., 2020 წელი, გვ. 89; სუსგ №ას-1006-2021, 31 მაისი, 2022 წელი, პ. 17).

65. პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის სა-

კითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნასაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26, 2019 წელი). პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას (იხ. გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010 წ. გვ. 232). მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულობის გამორიცხვა (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93; შდრ: სუსგ-ები: №ას-157-2023, 07 მარტი, 2023 წელი; №ას-213-2023, 11 აპრილი, 2023 წელი).

66. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ 2022 წლის 10 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, კერძოდ, მოსარჩელეს 65 790 ლარის ღირებულების საქონელი მიანოდა 63 დღის დაგვიანებით (2022 წლის 13 ივნისი), ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 50 დღის დაგვიანებით (2022 წლის 30 მაისი). ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.3. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების – 0.15%-ის ოდენობით.

67. შესაბამისად გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის, მოსარჩელეს წარმოეშვა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება.

68. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოსამზადებელ სხდომაზე სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 3671.1 ლარის ფარგლებში.

69. მოპასუხის მიერ სარჩელის ნაწილობრივ ცნობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

70. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრინციპი – დისპოზიციურობა, რომლის თანახმადაც, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

71. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში. სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას ამ ნაწილში გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (იხ. სუსგ-ები: №ას-1382-2022, 01 მარტი, 2023, პ.68; №ას-1028-2021, 01 ივლისი, 2022). თუ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე ცნობს სარჩელს, მოსამართლე გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამრიგად, დასახელებული სამართლებრივი ნორმა მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვრონ დავის საბოლოო შედეგ (იხ., სუსგ №ას-1293-2022 18 იანვარი, 2023 წელი, პპ:44-46).

72. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 83-ე მუხლებით რეგლამენტირებულია მხარეთა უმნიშვნელოვანესი საპროცესო უფლებები. აღნიშნული ნორმები განამტკიცებს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომლებშიც ვლინდება მხარის ნება, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი საპროცესო უფლებები. იგი ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულებაა და წარმოადგენს მხარის საპროცესო უფლებათა იმგვარი რეალიზაციის საშუალებას, როდესაც საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება უმთავრესად მხარის ნებაზეა ორიენტირებული. ნორმა იძლევა უფლებათა შემდეგ კლასიფიკაციას: პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ დაირღვა მისი უფლება, თავად წყვეტს ამ უფლების სასამართლო წესით დაცვას საპროცესო კანონმდებლობით შემოთავაზებული წესების მიხედვით; თავად განსაზღვრავს დავის საგანს და იმას, თუ რა ფაქტებსა და გარემოებებზე დაამყაროს მოთხოვნა; მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე. ჩამოთვლილთაგან უმეტესი ნაწილი მიმარ-

თულია მოსარჩელის უფლებებისაკენ, თუმცა პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა დაასრულოს მორიგებით, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა უფლების განმკარგავი აქტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ მის სამართლებრივ შედეგთან ერთიანობაში, სარჩელის ცნობა შეუქცევადია და მას გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოჰყვება შედეგად იმდენად, რამდენადაც სარჩელის ცნობას საფუძვლად ედება პრეზუმფცია, რომ მოპასუხე აღიარებს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და არ აპირებს ამ მოთხოვნისაგან თავდაცვის საპროცესო საშუალების გამოყენებას (იხ. სუსგ №ას-64-58-2015, 8 აპრილი, 2015 წელი). სარჩელის ცნობის შემთხვევაში, საპროცესო თვალსაზრისით ფაქტობრივი გარემოებების კვლევა და მატერიალური სამართლის ნორმასთან მათი სუბსუმირების ვალდებულება აღარ არსებობს (იხ. სუსგ №ას-1710-2019 24 ივლისი, 2020 წელი, პ. 1.3.1.).

73. კასატორის პრეტენზიასთან მიმართებით, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი, რადგან მოპასუხეს არ მიუთითებია არცერთი ფაქტობრივი გარემოება, თუ რატომ იყო არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალი დაკისრებული პირგასამტეხლო, რომელიც გამომდინარეობდა მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხემ სარწმუნოდ ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა, თუ რას ეფუძნებოდა მისი მოთხოვნა სასამართლოს შეემცირებინა პირგასამტეხლო, სასამართლომ დაუსაბუთებლად შეამცირა პირგასამტეხლო იმგვარად, რომ არ უმსჯელია, თუ რა კონკრეტული ფაქტები მიიღო მხედველობაში, როდესაც შეთანხმებული პირგასამტეხლო შეამცირა – საკასაციო პალატა აღნიშნავს შემდეგს:

74. ვინაიდან მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, შესაძლებელია ისინი იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დაანება მოვალეს. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას ანუ სასამართლოს ამოცანაა მხარეები დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად, რადგან პირგასამტეხლოს უმთავ-

რესი მიზანი კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენაა და არა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოვალის ხარჯზე (მდრ: სუსგ №ას-390-2023, 18 მაისი, 2023 წელი).

75. ამდენად, კანონმდებელმა დააწესა მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე იმ შემთხვევაში, როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ და სამართლიან ფარგლებს სცდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება (იხ. სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი; №ას-708-662-2017, 11.01.2017 წელი).

76. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება (იხ. ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წელი, გვ. 800). კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს ამკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვევის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს (მდრ. ირაკლი რობაქიძე, წიგნში სახელშეკრულებო სამართალი /ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია/ გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ. 604-605.).

77. სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კა-

ტეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. (შდრ: სუსგ-ები: №ას-1511-2018, 26 მარტი, 2019წელი; №ას-535-2021, 29 ოქტომბერი, 2021 წელი).

78. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დააწვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება.

79. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Frießecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანა-
ნესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამო-
სილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხ-
ლით გათვალისწინებული მოწესრიგება, არ გამოიყენება კანონით გათ-
ვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.

81. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო პირგასამტეხ-
ლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის
საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქ-
ნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზა-
დების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში
(შდრ: სუსგ №ას-576-2022, 7 ივლისი, 2022 წელი). ცალკეულ შემთხვე-
ვებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მა-
გალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლი-
ლებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირე-
ბა). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან
ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა,
ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე
შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ
№ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020 წელი).

82. პირგასამტეხლო, როგორც უპირველესად კრედიტორის სახელ-
შეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი მექანიზმი, ძალმოსილი შე-
იძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ამავდროულად უზრუნველყოფს
მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას. სახელშეკრულებო თანას-
წორობის დაცვის პროცესში ბალანსი, თანაზომიერება დასაცავია, ერ-
თი მხრივ, პირგასამტეხლოს ოდენობას, როგორც სახელშეკრულებო
თავისუფლების (შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების) გამახატუ-
ლებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების
ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის (იხ. ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხ-
ლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნ-
ველმყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ.7.).
პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის რომ კრე-
დიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ
დააწვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირ-
გასამტეხლო არ იქცევს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო
მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის
თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სა-
ხელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაც-
ვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (შდრ: სუსგ
№ას-186-2021, 25.03.2021 წელი.; სუსგ №ას-535-2021, 29.10.2021 წელი).

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო, უპირვე-

ლესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრულებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი და ამავედროულად დასაცავი ღირებულებაა სახელშეკრულებო წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტეხლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავედროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (მდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022 წელი; №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019 წელი.).

84. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

85. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ კვალიფიციური შედავების გარეშე შეუძლებელია დადგინდეს, რამდენად არაგონივრული და შეუსაბამოა პირგასამტეხლოს ოდენობა, სახელშეკრულებო ინტერესის ხელყოფის მასშტაბთან (მდრ: სუსგ №ას-1499-2022, 24 იანვარი, 2023 წელი; №ას-1576-2022, 16 მარტი, 2023 წელი).

86. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია. შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია

შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მარტივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

87. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მითითებას, რომლებიც გამორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

88. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედავებას. კვალიფიციური შედავება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ. 19.) კვალიფიციურ შედავებას არსებით შედავებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედავება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედავება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

89. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის

სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედაგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედაგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედაგებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები (შდრ: სუსგ №ას-279-2023, 18 მაისი, 2023 წელი).

90. ამდენად, როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელშეკრულებო ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ. დამატებით: ნათია ჩიტაშვილი. პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17; ასევე შდრ: სუსგ №ას-827-2021, 03 დეკემბერი, 2021 წელი.). ამდენად, რადგან მოვალეს ენიჭება პირგასამტეხლოს ოდენობის კვალიფიციური შეცილების უფლება, ხოლო სასამართლოს მისი შემცირების უფლებამოსილება – მნიშვნელოვანია კრედიტორის ვალდებულების დარღვევის ნაწილში წარმოდგენილი შეფასება დარღვევის მნიშვნელობასთან, ხანგრძლივობასთან და დარღვეულ სახელშეკრულებო ინტერესთან მიმართებით, რაც კრედიტორს მისცემს კვალიფიციურ შესაძლებლობას, შეამციროს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების პერსპექტივა. სასამართლოს ხელშეკრულების განმარტების პროცესში სახელმძღვანელოდ ექნება არა მხოლოდ მოვალის კვალიფიციური შეცილება პირგასამტეხლოს ოდენობის არაგონივრულობის შესახებ, არამედ კრედიტორის პერსპექტივიდან წარმოჩენილი მისივე სახელშეკრულებო ინტერესის რღვევის ხარისხი (იხ. ნათია ჩიტაშვილი.

პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი ფუნქცია, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17).

91. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვება (შდრ: სუსგ-ები: №ას-186-2021, 25 მარტი, 2021 წელი; №ას-310-2022, 16 დეკემბერი, 2022 წელი). „როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის. ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დარღვევის პროპორციული პირგასამტეხლოს განსაზღვრა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პირგასამტეხლომ არ დაკარგოს თავისი ძირითადი ფუნქცია – ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის პრევენცია და განციდელი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების შესაძლებლობა“ (შდრ: სუსგ №ას-189-2022, 16 სექტემბერი, 2022 წელი). „აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა პირგასამტეხლო არაპროპორციულად შეამცირეს, კერძოდ, მოპასუხის სტატუსის, სამენარმეო საქმიანობის გამოცდილებისა და დარღვევის რაოდენობის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს თანაზომიერ, საპირწონე და გონივრულ ოდენობად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2% თითოეული დარღვევისთვის“ (შდრ: სუსგ №ას-310-2022, 16 დეკემბერი, 2022 წელი, პ. 18).

92. პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენომადე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ-ები: №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020 წელი; №ას-1245-2022, 09 მარტი, 2023 წელი).

93. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, როდესაც ხელშეკრულების მხარე არის მენარმე სუბიექტი, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად აღემატება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის ხარისხს, რომელიც შესაძლებელია იყოს ხელშეკრულების სუსტი მხარე, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუს-

რულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის. „განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე დათანხმდა პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას და როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაჰირებულ მენარმე სუბიექტს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება.“ (მდრ: სუსგ №ას-189-2022, 16 სექტემბერი, 2022 წელი, პ.20-21).

94. „მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება, თუკი ამის თაობაზე კვალიფიციურ შესაგებელს არ წარადგენს“ (მდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018 წელი). სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაჰირებულ მენარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. ხელშეკრულებაში იურიდიული პირის კონტრაჰირებისას, სასამართლომ პირგასამტეხლო უნდა შეამციროს, მხოლოდ არგუმენტირებული შედავების არსებობის პირობებში“ (მდრ. სუსგ №ას-1417-2018, 16 ნოემბერი, 2020 წელი).

95. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის სათანადო შედავებისა და მისივე მტკიცების ტვირთის არაჯეროვნად რეალიზების პირობებში, არ არსებობდა სასამართლოს მიერ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენების შესაძლებლობა (მდრ. სუსგ №ას-328-2023, 20 ივნისი, 2023 წელი). მოპასუხეს მისი მტკიცების ფარგლებში შესაგებელში სადავო არ გაუხდია პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესი, ასევე არ მიუთითებია, თუ რატომ არის პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი და რა ფაქტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა შემცირდეს ის (მდრ. სუსგ №ას-354-2021, 25 ივნისი, 2021 წელი).

96. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო

სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განჩინების ნაწილობრივი გაუქმებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

97. 2022 წლის 10 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.3. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების – 0.15%-ის ოდენობით. საქმეზე უდავო დადგინდა გარემოებას წარმოადგენს, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს საქონელი მიანოდა ორ ეტაპად: 65 790 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 13 ივნისს, ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 2022 წლის 30 მაისს. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა არაჯეროვნად, კერძოდ, მოსარჩელეს 65 790 ლარის ღირებულების საქონელი მიანოდა 63 დღის დაგვიანებით (2022 წლის 13 ივნისი), ხოლო 50 750 ლარის ღირებულების საქონელი – 50 დღის დაგვიანებით (2022 წლის 30 მაისი).

98. პირგასამტეხლო 63 ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა დაანგარიშდეს 65790 ლარიდან 0.15% და განისაზღვროს 6217.15 ლარით, ხოლო პირგასამტეხლო 50 ვადაგადაცილებულ დღეზე უნდა დაანგარიშდეს 50750 ლარიდან 0.15% და განისაზღვროს 3806.25 ლარით. ამდენად, 2022 წლის 10 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საერთო ჯამში მოპასუხის მიერ გადასახდელ პირგასამტეხლოს ოდენობად უნდა განისაზღვროს 10023.4 ლარი.

საკასაციო პალატის მიერ საპროცესო ხარჯების განაწილება:

99. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განე-

ული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკამყოფილებულია. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

100. ვინაიდან მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ცნო ნაწილობრივ – 3671.1 ლარის ფარგლებში, სსსკ-ის 49-2 მუხლის თანახმად, იგი თავისუფლდება ამ ნაწილში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი დაკამყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო კასატორი (მოსარჩელე) გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სამივე ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით ($10023.4 - 3671.1 = 6353.3$ ლარი) 762.4 ლარის (6353.3 ლარის $3\% + 4\% + 5\% = 12\%$) გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით, 49-2 მუხლით, 55-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკამყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 31 მაისის განჩინების ნაწილობრივ გაუქმებით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარჩელი შპს „შ“-ს მიმართ ნაწილობრივ დაკამყოფილდეს;
4. შპს „შ“-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს 10023.4 ლარის პირგასამტეხლოს გადახდა;
5. შპს „შ“-ს (7...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 762.4 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა ვალის კატივებით

ბანკინება საქართველოს სახალხო

№ას-1007-2020

25 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: **ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ. გ-ევმა (შემდგომ – კრედიტორი, მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. თ-ასა (შემდგომ – მსესხებელი, პირველი მოპასუხე, აპელანტი) და რ. თ-ას (შემდეგ – მესაკუთრე, მეორე მოპასუხე, აპელანტი) მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები

2. მოსარჩელის განმარტებით, მასა და პირველ მოპასუხეს შორის 2014 წლის 29 აპრილს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მსესხებელმა ისესხა 21000 აშშ დოლარი 3%-იანი სარგებლის დარიცხვით. ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონება. მსესხებელმა სრულად გადაიხადა პროცენტი, თუმცა ძირითადი თანხა არ დაუფარავს, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნით 2016 წლის 15 ივნისს ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლით აღსარულვებელ ვალდებულებად განისაზღვრა: სესხის ძირითადი თანხა 21000 აშშ დოლარით, პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის 0,2%-ით გადანყევტილების აღსრულებამდე და სანოტარო საზღაური – 120 ლარით. დადგინდა იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

3. 2017 წლის 25 ივლისს პირველი მოპასუხის სახელით მოსარჩელის ანგარიშზე 36000 ლარი ჩარიცხა მსესხებლის შვილმა ი. ჟ-ამ, ხოლო 26 ივლისს შეთანხმდა მოსარჩელესთან ამ თანხის შემდეგნაირ განაწილებაზე: 1285,87 ლარი იყო აღსრულების ბიუროს ხარჯი, 9067,01 ლარი – 6

თვის სარგებელი, ხოლო დანარჩენი 25647,12 ლარით მცირდებოდა ძირითადი ვალი.

4. 2017 წლის 26 ივლისის მოსარჩელემ მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს და მოითხოვა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა. მოთხოვნა მოსარჩელემ გაუცნობიერებლად დააყენა ქართული ენის უცოდინრობისა და სააღსრულებო წარმოებაში გამოუცდელობის გამო. სინამდვილეში მას წარმოების შეჩერება სურდა. დარჩენილი თანხა მსესხებელს აღარ დაუბრუნებია, სააღსრულებო ბიურომ კი წარმოება აღარ განაახლა.

5. გადახდის დროისთვის მოვალის მიერ ჩარიცხული თანხიდან 25647,12 ლარი იყო 10 692 აშშ დოლარის ეკვივალენტი, რომლითაც შემცირდა ძირითადი თანხა და გადასახდელი დარჩა 10 300 აშშ დოლარი. გარდა ამისა, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 2017 წლის 26 ივლისიდან 2019 წლის 6 იანვრამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემცირებული პირგასამტეხლო 0,1%, რაც 11 130 აშშ დოლარია.

მოპასუხის შესაგებელი

6. მოპასუხეებმა წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სააღსრულებო წარმოება შეწყდა მხარეთა შეთანხმებით, რაც განპირობებული იყო თანხის გადახდით. მოსარჩელე დაჰპირდა მოვალეს, რომ თანხის ჩარიცხვისთანავე გამოიტანდა სააღსრულებო ბიუროდან განცხადებას და მოხსნიდა იპოთეკას. დაპირების მიუხედავად, იპოთეკა მას არ გაუუქმებია. გარდა ამისა, არ შეესაბამება სინამდვილეს მოსარჩელის განმარტება, რომ მან ქართული ენა არ იცის, მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს ქართული ენა, მითუმეტეს სიტყვებს: „შეწყვეტასა“ და „შეჩერებას“ შორის სხვაობაა. გარდა ამისა, სააღსრულებო ბიუროში წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელეს უნერია, რომ მოვალის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით – სარჩელი მოპასუხეების მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მსესხებელს დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 6009 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 3131 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ; მოსარჩელეს უარი ეთქვა სესხის ძირითადი თანხის – 4291 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს 7999 აშშ დოლარის მსესხებლისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე; დავალიანების (6009 აშშ დოლარისა და 3131 აშშ დოლარის) დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა მეორე მოპასუხის სახელზე რეგისტრირებული იპოთეკის საგანი, მდებარე თბილისში, ... მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდი №...

8. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით – სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2019 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

10. სააპელაციო პალატის მითითებით, უდავო ფაქტობრივი გარემოება იყო, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის არსებობდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც დამონმებული იყო ნოტარიუსის მიერ და რომელიც, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ითვალისწინებდა ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცლის მიღების შესაძლებლობას. უდავო იყო ისიც, რომ დაირღვა სესხის ხელშეკრულება; კრედიტორმა ნოტარიუსისგან მოიპოვა სააღსრულებო ფურცელი; სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება; თავად კრედიტორმა აირჩია აღსრულება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და მონინალმდევე მხარეს სადავო არ გაუხდია აღსრულების ფურცელი. საქმის მასალებით უდავოდ დასტურდებოდა, რომ სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას, იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე, 2017 წლის 26 ივლისს, კრედიტორმა სააღსრულებო ბიუროში წარადგინა განცხადება შემდეგი შინაარსით: „გთხოვთ, შეწყვიტოთ სააღსრულებო წარმოება. მოვალესთან და აღსრულებასთან პრეტენზია არ გამაჩნია“. აღნიშნული განცხადების საფუძველზე წარმოება შეწყდა.

11. სააპელაციო პალატამ მიუთითა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე და განმარტა, რომ სააღსრულებო წარმოება არის სამოქალაქო უფლებების დაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი, უფლებათა რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი. თუ სააღსრულებო წარმოება შეწყდა კრედიტორის მოთხოვნით, ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია განხორციელდა და დასრულდა. აღსრულების შეწყვეტას აქვს მისი კანონით დადგენილი საფუძველები. აღსრულების შეწყვეტა ნიშნავს, რომ კონკრეტული სამართლებრივი საფუძველებით წარმოშობილი ვალდებულების გადახდევინების მიზნით გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე დასრულდა აღსრულება. ასეთი აქტის მიღებით წარმოშობა ვალდებულების შესრულების პრეიუდიციული ძალის მქონე აქტი. პრეიუდიცია შეიძლება შეიცვალოს თუ ადმინისტრაციული აქტი გაუქ-

მდება. სხვა შემთხვევაში იგულისხმება, რომ ვალდებულება შესრულებულია. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, თუნდაც უკანონო, ინვევს სამართლებრივ შედეგებს, თუ ის არ გასაჩივრებულა და არ გაუქმებულა. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არ გასაჩივრებულა და არ გაუქმებულა. ამდენად, არ დგინდებოდა მისი უკანონობა, რის გამოც პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა ვალდებულება მოსარჩელის მიმართ არ არსებობდა, შეწყვეტილი იყო.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

12. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ საკასაციო წესით გასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

13. კასატორის მტკიცებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ რაკი მხარემ თავად შეწყვიტა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შედეგად დაწყებული სააღსრულებო წარმოება, მხარეს უნდა შეეზღუდოს სასამართლოსათვის მიმართვისა და დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობა. არ არსებობს საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლით დაწყებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში პირს უკრძალავს უფლების სასამართლო წესით დაცვას.

14. პალატის მითითებით, მოსარჩელეს უნდა გაესაჩივრებინა აღსრულების შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი. აქტი არ გასაჩივრებულა, რადგან მოსარჩელე მხოლოდ მაშინ მიხვდა თავისი ქმედების უსწორობას, როდესაც გასაჩივრების ვადა გასული იყო. ამასთან, იგი იმედოვნებდა, რომ მოპასუხე კეთილსინდისიერად შეასრულებდა შეთანხმებას და დაფარავდა ვალს. ვალის პატიებაზე საუბარი უსაფუძვლოა, რადგან კრედიტორის სასარგებლოდ დატვირთული რჩებოდა უძრავი ქონება. კრედიტორი კი იმედოვნებდა, რომ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში მას ექნებოდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის გზით მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. კრედიტორი რომ ვალის პატიებას არ ისახავდა მიზნად, ადასტურებს მისი ქმედებები. ალოგიკურია ეს ქმედება იძულებითი აღსრულების ეტაპზე.

სამოტივაციო ნაწილი:

15. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

16. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ –

სსსკ-ის) 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

17. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნაა სესხის თანხისა და პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრება, ასევე, იპოთეკის საგნის რეალიზაცია დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით. ამ მოთხოვნების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ-ის) 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარონულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროდანდ შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას), 286.1 (უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა)) და 301.1 (თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) მუხლები.

18. მოპასუხეთა შესაგებლის მიხედვით, ვალდებულება წარმოიშვა, თუმცა შეწყვეტილია, რადგან მხარეები შეთანხმდნენ თანხის ნაწილის გადახდის შედეგად მოსარჩელე შეწყვეტდა იძულებით წარმოებას და უძრავ ქონებას იპოთეკას მოხსნიდა. მსესხებელმა თანხა გადაიხადა,

რის შემდეგაც მოსარჩელემ შეწყვიტა იძულებითი სააღსრულებო წარმოება და წერილობით დააფიქსირა, რომ მოვალის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა. ამდენად, მოპასუხე ვალდებულების შემწყვეტი შესაგებლთ ვალის პატიებაზე მიუთითებს.

19. პალატა იზიარებს მოპასუხეთა შესაგებელს ვალის პატიების თაობაზე და მიუთითებს სსკ-ის 448-ე მუხლზე (ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით ინვეეს ვალდებულების შეწყვეტას), რომლის თანახმადაც ვალის პატიება შეთანხმებაა, შესაბამისად, კრედიტორმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს ვალის პატიების თაობაზე ნება და მეორე მხარე დაეთანხმოს მას. ამასთან, ვალის პატიება ფორმათავისუფალი ხელშეკრულებაა, შესაბამისად, შესაძლებელია კონკლუდენტური მოქმედებითაც დაიდოს. მთავარია, რომ ვალი ეპატიოს არაორაზროვანი ქმედებით, კერძოდ, ვალის პატიების შესახებ შეთავაზება კრედიტორის მხრიდან ამკარად ერთაზროვნად აღქმადი იყოს (შდრ. სუსგ №ას-851-809-2013, 10 თებერვალი, 2014 წელი; ასევე – იხ. გიორგი სვანაძე, „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ნიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 448-ე).

20. დადგენილია, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარე სააღსრულებო წარმოება შეწყდა კასატორის (კრედიტორის) განცხადებისა საფუძველზე, რაც ფორმულირებულია შემდეგი სახით: „გთხოვთ, შეწყვიტოთ სააღსრულებო წარმოება. მოვალესთან და აღსრულებასთან პრეტენზია არ გამაჩნია“.

21. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ კრედიტორმა მოითხოვა მიმდინარე სააღსრულებო საქმის წარმოების შეწყვეტა, ნათლად და არაორაზროვნად წერილობით დააფიქსირა, რომ მოვალის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა. ამასთან, ეს ცალსახა ნების გამოვლენა დადასტურებული იყო თანამდევნი გარემოებით – იძულებითი სააღსრულებო წარმოების შეწყვეტით. ობიექტური დამკვირვებელი ამ მოცემულობიდან დაასკვნიდა, რომ მას ვალი ეპატია. ამასთან, მართალია, მოვალე სხვადასხვა საფუძველითა და მოტივებით (მაგალითად, თუკი ვალის პატიება მის ღირსებას ლახავს) შესაძლოა, არ იყოს თანახმა, მიიღოს ვალის პატიების შესახებ კრედიტორის წინადადება, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მოვალე არ იყო წინააღმდეგი ვალის პატიების, მან ნება მიიღო ნების გადამტანის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით და კონკლუდენტურად დაეთანხმა ვალის პატიებას.

22. რაც შეეხება კასატორის მტკიცებას, რომ რეალურად წარმოების შეწყვეტის ნაცვლად წარმოების შეჩერება სურდა და შეცდომით დაწერა ქართული ენის კარგად არცოდნის გამო, პალატა არადამაჯე-

რებლად მიიჩნევს. კრედიტორმა პირდაპირ მიუთითა, რომ მოვალის მიმართ პრეტენზია არ ჰქონდა. ასეც რომ არ იყოს, შეცდომა, განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივ სურათს ვერ ცვლის, რამდენადაც ეს იმგვარი შეცდომაა, რომელსაც კანონმდებელი საპატიოდ არ მიიჩნევს. აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სადაც სააღსრულებო წარმოება სახელმწიფო ენაზე – ქართულად მიმდინარეობს, მხარემ თავად დაწერა განცხადება, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან სააღსრულებო ბიუროში განცხადების დანერისას განაცხადა პრეტენზია ქართული ენის არცოდნასთან დაკავშირებით, საკუთარი ნების გამოვლენისას არსად მიუთითებია ქართული ენის არასათანადოდ ფლობისა თუ თარჯიმნის დახმარების შესახებ, შესაბამისად, იგი სახელმწიფო ენის არცოდნას ვერ დაეყრდნობა და შეცდომა საპატიოდ ვერ მიიჩნევა.

23. დაუსაბუთებელია კასატორის მტკიცება, რომ განსახილველ შემთხვევაში ვალის პატიება გამორიცხულია, რადგან ალოგიკურია კრედიტორმა იძულებითი აღსრულების ეტაპზე აპატიოს ვალი მოვალეს. პალატა მიუთითებს, რომ მხარეთა შორის ვალის პატიების თაობაზე შეთანხმების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს, რომელმაც ეს გარემოება სსსკ-ის 102-ე-103-ე მუხლებით დადგენილი სტანდარტით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით უნდა დაადასტუროს. განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი მტკიცებულება – კრედიტორის წერილი ვალის პატიების თაობაზე წარდგენილია. ამასთან, თუ კრედიტორი სადავოს გახდის ვალის პატიებას იმ მოტივით, რომ მას რაიმე შეეშალა ან ტექნიკური მიზეზის გამო მისი რეალური ნების გამოვლენის საპირისპირო შედეგი მიიღო, მაშინ მტკიცების ტვირთი უკვე გადადის უშუალოდ კრედიტორზე და მან უნდა ამტკიცოს, რომ ვალის პატიებაზე შეთანხმება არ არსებობს (შდრ. გიორგი სვანაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია, (რედ), 2019, მუხლი 448). ამგვარი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. მხოლოდ ზეპირი განმარტება, რომ მას არ სურდა ვალის პატიება, ვალდებულების შეწყვეტას ვერ გამორიცხავს და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება.

24. ვალის პატიების გზით შეწყვეტილი ვალდებულება, როგორც სამართლებრივი შედეგი, შეუქცევადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის წარუმატებლობას ვალის პატიების გზით ვალდებულების შეწყვეტა განაპირობებს.

25. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარ-

ღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 410-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. გ-ევის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის გადანყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სოლიდარული მოვალეობი

კრედიტორის უფლება მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისგან

ბანკინება საქართველოს სახალხო

№ას-52-2022

3 თებერვალი 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი
(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნაძე,
თ. ძიმისტარაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ს.ს. „კ. ბ-მა“ სარჩელით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გ. თ-ძის მიმართ, №191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე არსებული დავალიანების – 14812.19 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით, საიდანაც 10499 ლარი არის სესხის ძირითადი თანხა, 2279.18 ლარი – პროცენტი (1477.86 ლარი სარჩელის შეტანის დღისთვის დარიცხული პროცენტი, ხოლო 801.32 ლარი გადახდის გრაფიკის ბოლომდე დასარიცხი პროცენტი), 2004.31 ლარი არის პირგასამტეხლო, ხოლო 29.7 ლარი – სიცოცხლის დაზღვევის თანხა.

სარჩელის საფუძველები:

2.1. 2019 წლის 08 მაისს ს.ს. „კ. ბ-ს“, როგორც კრედიტის გამცემს, მოპასუხე გ. თ-ძეს და ა. ს-ძეს, როგორც კრედიტის მიმღებებს შორის, დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება №191284135665YJS, რომლის საფუძველზეც მათ სესხის სახით მიიღეს 15500 ლარი, 32 თვის ვადით. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 15.00%-ის ოდენობით. მსესხებლებს გადაეცათ სესხი/კრედიტის გადახდის გრაფიკი. საკრედიტო ხელშეკრულების მე-3 მუხლით განისაზღვრა, რომ კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაში გადასახდელი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, კლიენტს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო დარჩენილი სრული ძირითადი თანხის 0.27%-ის

ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მაქსიმუმ 275 დღის განმავლობაში, ყოველ ვადაგადაცილებაზე) და დამატებით ერთჯერადი პირგასამტეხლო 20(ოცი) ლარის ოდენობით. ამავე მუხლითა და დამატებითი შეთანხმებით განისაზღვრა სიცოცხლის დაზღვევის პირობები და მსესხებლების ვალდებულება, გადაიხადონ სადაზღვევო პრემიის გადასახდელეები ხელშეკრულებითა და გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული წესით.

2.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლით განისაზღვრა საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ, 4.11. პუნქტის შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედება, თუ კლიენტი დაარღვევს საკრედიტო ხელშეკრულების რაიმე პირობას. ბანკის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, სრულად გადაიხადოს დარჩენილი ძირითადი თანხა და გრაფიკით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი და სიცოცხლის დაზღვევის სადაზღვევო პრემიის გადასახდელეები, ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდისთვის.

2.3. ამავე საკრედიტო ხელშეკრულების 4.15. პუნქტით განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი (რაც მოცემულ საქმეში უდავოა), თითოეული ასეთი კლიენტი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდურ მოვალეს, შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) კლიენტს. ამასთანავე, ბანკი უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე კლიენტის ანგარიშზე საკუთარი შეხედულებისამებრ.

2.4. ა. ს-ძე გარდაიცვალა 2020 წლის 29 მარტს. იმის გამო, რომ მზღვეველის მიერ არ ხდება აღნიშნული შემთხვევის ანაზღაურება და, ამასთან, მოპასუხე უარს აცხადებს არსებული დავალიანების ნებაყოფლობით გადახდაზე, სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იქნა მეორე მოვალის, გ. თ-ძის მიმართ. მოპასუხე არ ახორციელებს აღებული კრედიტის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელეების გადახდას, შესაბამისად მოვალის მიერ დარღვეული იქნა კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები. სოლიდარული მოვალე არაერთხელ იქნა გაფრთხილებული როგორც ზეპირი, ასევე სატელეფონო შეტყობინებებით და გაფრთხილების წერილების ჩაბარებით, თუმცა უშედეგოდ.

2.5. 2021 წლის 18 იანვრის მდგომარეობით, №191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გ. თ-ძის (პ/ნ ...) სახელზე არსებული დავალიანება შეადგენს 14812.19 ლარს, საიდანაც 10499 ლარი

არის სესხის ძირითადი თანხა, 2279.18 ლარი – პროცენტი (1477.86 ლარი სარჩელის შეტანის დღისთვის დარიცხული პროცენტი, ხოლო 801.32 ლარი გადახდის გრაფიკის ბოლომდე დასარიცხი პროცენტი), 2004.31 ლარი – პირგასამტეხლო, ხოლო 29.7 ლარი – სიცოცხლის დაზღვევის თანხა.

მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ბანკს ჰქონდა უფლება ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება, მაგრამ არა იმ საფუძველით, როგორც ეს გააკეთა, არამედ თანამსესხებლის გარდაცვალების გამო. სადაზღვევო პრემიაზე შეთანხმების, ასევე ყოველთვიურად პრემიის გადახდის ერთადერთი დანიშნულება იყო ის, რომ თუ მოხდებოდა ერთ-ერთი მსესხებლის გარდაცვალება, მომხდარიყო ხელშეკრულების შეწყვეტა და სესხის სადაზღვევო კომპანიის მიერ დაფარვა, ხოლო მეორე თანამსესხებელს აღარ დაკისრებოდა თანხების გადახდა.

3.2. ძირითადი მსესხებელი ა.ს-ძე გარდაიცვალა 2020 წლის 29 მარტს, ავტოავარიის შედეგად. მოპასუხე მხარემ კრედიტორს წარუდგინა მის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი – გარდაცვალების მოწმობა, ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ზუსტადაა ასახული სიკვდილის მიზეზი, რაც შეეხება მათ მიერ დამატებით მოთხოვნილ დასკვნას საგამოძიებო ორგანოდან, მისი წარდგენის შესაძლებლობა აღემატებოდა თანამსესხებლის ძალებს, ვინაიდან გამოძიება დღემდე მიმდინარეობს, ოჯახი ეჭვობს ა. ს-ძის გარდაცვალებაში მესამე პირების ბრალეულობას, თუმცა გ. თ-ძე ამ დრომდე არ არის საქმეზე ცნობილი დაზარალებულად, და, შესაბამისად, არ აქვს წვდომა საგამოძიებო მასალებზე.

3.3. ს.ს. „კ. ბ-ი“ არც კი დაელოდა გამოძიების დასრულებას, თუმცა გამოძიების ნებისმიერი სახით დასრულების შემთხვევაშიც, არ არსებობდა სესხის ჩამოწერასა და სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი. მოსარჩელეს ოფიციალურად არც კი განუმარტავს სესხის ჩამოწერაზე უარის თქმის საფუძველები, ისე ითხოვს ა. ს-ძის მარჩენალდაკარგული მეუღლისაგან სრული თანხების პირდაპირ ანაზღაურებას. ვინაიდან არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან სიცოცხლის დაზღვევის საფუძველზე სესხის სავალდებულო გადაფარვის წინაპირობა, კრედიტორმა ანაზღაურება უნდა მოსთხოვოს არა მოპასუხეს, არამედ მზღვეველს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია დავისთვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1. 2019 წლის 8 მაისს ს.ს. „კ. ბ-ს“, გ. თ-ძესა და ა. ს-ძეს შორის №191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულება დაიდო, რომლის საფუძველზეც მათ სესხის სახით 15500 ლარი, 32 თვის ვადით მიიღეს. ხელშეკრულებაში მითითებულ სხვა ვალდებულებებთან ერთად, შეთანხმებით ასევე განისაზღვრა ა.ს-ძის სიცოცხლის დაზღვევის პირობები და მსესხებლების ვალდებულება – გადაიხადონ სადაზღვევო პრემიის გადასახდელები ხელშეკრულებითა და გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული წესით. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადები, მათ შორის, სადაზღვევო პრემია, გ. თ-ძემ და ა. ს-ძემ გადაიხადეს სოლიდარულად.

7.2. ა.ს-ძე 2020 წლის 29 მარტს ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა.

მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მოპასუხემ გარდაცვალების ფაქტის შესახებ მას თავის დროზე, დადგენილ ვადებში აცნობა და შესაბამისი დოკუმენტებიც წარადგინა.

7.3. სესხის აღებისას გ. თ-ძე და ა. ს-ძე მეუღლეები და ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. გ. თ-ძე გარდაცვლილი ა. ს-ძის პირველი რიგის მემკვიდრეა. ამასთან, სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე, მას გარდაცვლილი ა. ს-ძის დანაშთი ქონება მიღებული აქვს.

7.4. დაზღვევის შესახებ (ლია პოლისის) №CL/CR-001/16 ხელშეკრულება დადებულია მოსარჩელესა და ს.ს. „ს.კ.ა-ს“ შორის, რომლითაც დაზღვეულია მოპასუხის მსესხებელი, იზღვევა დამზღვევის (მოსარჩელის) სესხების პორტფელი, კერძოდ კი, დამზღვევის (მოსარჩელის) ფინანსური ინტერესი დაზღვეულის მიმართ.

საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პირობების №CL3CR-001/16 ლია პოლისის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიმარტა შემდეგი:

დამზღვევი – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ.“;

მზღვეველი – ს.ს. „ს.კ.ა-ი“;

დაზღვეული – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ“-ს მსესხებელი ფი-

ბიკური პირი; მოსარგებლე – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ.“;

სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით გამონვეული გარდაცვალება, რომელიც არ იფარება წინამდებარე დაზღვევის პირობებით და არ ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;

უბედური შემთხვევა – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამონვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალის ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას.

ამასთან, სადაზღვევო პოლისის 2.1 პუნქტის შესაბამისად, დაფარულ რისკს წარმოადგენდა დაზღვეულის გარდაცვალება ნებისმიერი მიზეზით გარდა პოლისით განსაზღვრული გამონაკლისებისა, ხოლო პოლისის 3.1 პუნქტით განისაზღვრა მზღვეველისათვის წარსადგენი გარდაცვალების (სადაზღვევო შემთხვევის) დამადასტურებელი დოკუმენტების ნუსხა.

თვით მსესხებლები ამ ხელშეკრულების მხარეები არ არიან. ამასთან, აღნიშნული ღია პოლისის პირობები ოფიციალურად წარდგენილი და გაცნობილი მოპასუხისათვისა და გარდაცვლილი ა.ს-ძისთვის არ ყოფილა.

8. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სააპელაციო პალატამ მისცა შემდეგი სამართლებრივი შეფასება:

8.1. დავის საგანს ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს. დავა წარმოშობილია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან. ს.ს. „კ. ბ-ს“, ა.ს-ძესა და გ.თ-ძეს შორის 2019 წლის 8 მაისს გაფორმებული №191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულების 4.15 პუნქტის თანახმად, მხარეები ადასტურებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი: თითოეული ასეთი კლიენტი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს; ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) კლიენტს; ბანკი უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე კლიენტის ანგარიშზე, საკუთარი შეხედულებისამებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი კლიენტის ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი), თუ უშუალოდ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული. ამდენად, დასახელებული ხელშეკრულების 4.15. პუნქტის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და ადგილი ჰქონდა ამავე კოდექსის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას, შესაბამისად, გ.თ-ძე სადავო საკრედიტო ურთიერთობაში სოლიდარულ მოვალეს წარმოადგენდა.

8.2. პალატამ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლზე

მითითებით, განმარტა, რომ სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ, ან რომლის უფლებაც მარტო მას აქვს, ან იგი საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ დავაში, გ. თ-ძე სოლიდარულ მოვალეს წარმოადგენს, იგი უფლებამოსილი იყო, კრედიტორისათვის მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი წარედგინა.

8.3. სადაზღვევო ურთიერთობებში მოსარჩელე იყო დამზღვევეც და მოსარგებლაც. სწორედ მასსა და მზღვეველს შორის შეთანხმებით მოხდა დაზღვევის პირობების, მათ შორის, მზღვეველისათვის დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს წარსადგენი დოკუმენტების შეთანხმება, რისი სამართლებრივი შედეგიც ავტომატურად ვრცელდებოდა დაზღვეულზე/მსესხებელზე/მემკვიდრეებზე.

8.4. საკრედიტო ურთიერთობებში საბანკო დაწესებულება თავისი ფინანსური თუ ინტელექტუალური რესურსით უპირისპირდება „სუსტ“ მხარეს (მომხმარებელს), განსახილველ შემთხვევაში – მსესხებელ ფიზიკურ პირს, რა დროსაც ბანკი შებოჭილია მოქმედების უფრო მაღალი სტანდარტით, რაც მისი ქცევის კეთილსინდისიერებით იზომება. საბანკო კრედიტის, თუ მის უზრუნველსაყოფად გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების, სპეციფიკა ავალდებულებს საკრედიტო დაწესებულებას, როგორც ძლიერ მხარეს, უზრუნველყოს „სუსტი“ მხარის დამატებით გარანტიები, რომელიც გამორიცხავს ამ ურთიერთობებში არაკეთილსინდისიერი ქცევის ყოველგვარ ეჭვს.

8.5. განსახილველ შემთხვევაში, კრედიტორმა მხოლოდ ფორმალურად განკარგა დაზღვევის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებლობანი, რაც არ შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილითა და 115-ე მუხლებით დადგენილ ქცევის კეთილსინდისიერების სტანდარტს. მოსარჩელე განმარტავს, რომ სადაზღვევო კომპანიამ ზეპირი უარი განაცხადა ანაზღაურებაზე, იმის გამო, რომ გამოვლინდა ანაზღაურების საგამონაკლისო შემთხვევა, თუმცა საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე რელევანტური მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ბანკს ნამდვილად ჰქონდა მცდელობა მსესხებლის გარდაცვალების გამო სადაზღვევო ანაზღაურება მოეთხოვა სადაზღვევო კომპანიისაგან.

8.6. ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალებოდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და სადაზღვევო კომპანიის უარის შემდგომ ეცადა უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენება. ისეთ პირობებში, როცა სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეს და სადაზღვევო პოლისით მოსარგებლეს (ბენეფიციარს) წარმოადგენდა მხოლოდ მო-

სარჩელე ბანკი (დამზღვევი) და მსესხებელს/მის მემკვიდრეს/სოლიდარულ მოვალეს არ გააჩნდა წვდომა დაზღვევის ხელშეკრულებაზე და მისთვის უცნობი იყო ანაზღაურების გამომრიცხველი პირობები, ბანკის პასიურმა დამოკიდებულებამ ფაქტობრივად არაქმედითი გახადა სადაზღვევო ხელშეკრულება და საკრედიტო ვალდებულების ტვირთი გადაიტანა გარდაცვლილი მსესხებლის სოლიდარულ მოვალეზე/მემკვიდრეზე, ისე რომ არ გამოირიცხა აღნიშნული ვალდებულების სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურების შესაძლებლობა სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში.

8.7. მოსარჩელეს შეეძლო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ესარგებლა დაზღვევის ხელშეკრულების პირობებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 844-ე მუხლებით. სწორედ ამ რესურსის უშედეგოდ ამოწურვის შემდგომ იქნებოდა გამართლებული კრედიტორის მოთხოვნა სოლიდარული მოვალის/მემკვიდრის მიმართ. მოსარჩელის იმ განმარტების გაზიარების შემთხვევაშიც, რომ მას ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების კომპანიისაგან მოთხოვნის მცდელობა, რაზედაც ზეპირი სახით მიიღო უარი, საყურადღებოა, რომ უარის მიღების შემდგომ ბანკს სხვა სამართლებრივი საშუალება საკუთარი მოთხოვნის განსახორციელებლად არ გამოუყენებია (არ აღუძრავს სარჩელი სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნით). მოსარჩელის მხრიდან დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლებლობების ასეთი ფორმალური განკარგვა კი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობაში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერების სტანდარტს.

8.8. ზემოაღნიშნულ არგუმენტებზე დაფუძნებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე გ. თ-ძე, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე სუბსიდიურია, უფლებამოსილია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება სადაზღვევო კომპანიის მიმართ იძულებით აღსრულებას.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს.ს. „კ. ბ-მა“ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

9.1. არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ გ. თ-ძის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე სუბსიდიურია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სოლიდარული მოვალის სს კ 466-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება კრედიტორისთვის ყველა სახის შესაგებლის წარდგენის შესახებ არ გამოირიცხავს საკითხის განსხვავებულად რეგულირების შესაძლებლობას, შესაბამისად, დასაშვებია სოლიდარული მოვალის მხრიდან შესაგებლის წარდგენის უფლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. გარდაცვლილ ა. ს-ძის მიერ ხელმოწერილია დაზღვევის ბროშურა, რაზე-

დაც არ უთითებს სააპელაციო სასამართლო. აღნიშნული ბროშურა ასახავს ღია პოლისის პირობებს მოკლედ და მიუთითებს, რომ მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის წევრები (მემკვიდრეები) და თავდებები (შესაბამისად, სოლიდარული მოვალეები) ვალდებული არიან განაგრძონ ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა მზღვეველის მიერ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებამდე, ხოლო სადაზღვევო თანხის ანაზღაურების შემდეგ მათ გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებოდათ. აღნიშნული ჩანაწერით შეიზღუდა სოლიდარული მოვალის უფლება, მიეთითებინა მოთხოვნის გამომრიცხავ შესაგებელზე.

9.2. მიუხედავად იმისა, რომ მხარე უთითებს ღია პოლისის არგაცნობაზე, იგი ვერ გამორიცხავს ა. ს-ძის მიერ აღნიშნულ ბროშურაზე ხელმოწერასა და ბროშურის საშუალებით მისთვის ცნობილ გარემოებებს, ამასთან ამავე პოლისით მსესხებელს განემარტა, რომ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლო ღია პოლისის დანართით, რომელიც ადგენს, რომ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაზღვეულის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას დამდგარი ავტოსაგზაო შემთხვევა წარმოადგენს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს. ა. ს-ძე გარდაიცვალა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ (ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდაცვლილის სისხლში აღმოჩნდა 2.33% პრომილე ეთილის სპირტი) ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას, შესაბამისად, ისედაც თვალსაჩინოა, რომ სადაზღვევო კომპანიასთან ბანკის დავას პერსპექტივა არ ექნება, ვინაიდან არსებობს ანაზღაურების გამომრიცხველი პირდაპირი საფუძველი, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითების (ჯერ სადაზღვევო კომპანიის მიმართ მოთხოვნის სასამართლო წესით წარდგენის შესახებ) შესაბამისად მოქმედების შემთხვევაში, უპერსპექტივო სარჩელის წარმოების ვადების გათვალისწინებით, გავა სოლიდარული მოვალის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, რაც გაუმართლებლად დააზიანებს კრედიტორის ინტერესებს.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2022 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეინწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულ-

ლია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

13. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზია მიემართება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნას იმის შესახებ, რომ კრედიტორის წინაშე თანამსესხებლის ვალდებულება სუბსიდიურია და, შესაბამისად, ამ უკანასკნელს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმ დრომდე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება სადაზღვევო კომპანიის მიმართ იძულებით აღსრულებას.

14. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე, 873-ე, 417-ე მუხლები.

15. უწინარესად, სასამართლო ურთიერთშეუსაბამოდ მიიჩნევს გასაჩივრებულ განჩინებაში წარმართულ მსჯელობას, რომლის თანახმადაც, სასამართლო, თავდაპირველად, ასკვნის, რომ გ. თ-ძე კრედიტორი ბანკის სოლიდარულ მოვალეს წარმოადგენს, მეორე მხრივ, კი, დასკვნის სახით მიუთითებს, რომ ამავე მოვალის პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე სუბსიდიურია და კრედიტორმა ჯერ უნდა ამოწუროს სადაზღვევო კომპანიისგან მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებები, რათა მოთხოვნა წარუდგინოს გ. თ-ძეს; ვალდებულების სოლიდარულობა და სუბსიდიურობა არამართო ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია, არამედ განსხვავებული სამართლებრივი შედეგების წარმომშობიც; შეუძლებელია, კრედიტორის წინაშე ერთი და იმავე ვალდებულების შესრულებაზე ერთი პირის პასუხისმგებლობა ერთდროულად იყოს სოლიდარულიც და სუბსიდიურიც. ამავდროულად, განსხვავებით გასაჩივრებული განჩინების გამომტანი სასამართლოსგან, პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხად მიაჩნია, ამდენად, წინამდებარე განჩინებით მოსარჩელის წინაშე მოპასუხის პასუხისმგებლობის ფორმას დაადგენს საკასაციო პალატა.

16. კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს სოლიდარული მოვალის ცნებას – თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

დასახელებული ცნებიდან გამომდინარე, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობა მოითხოვს შემდეგ წინაპირობათა კუმულატიურ თანაარსებობას: 1. რამდენიმე მოვალის არსებობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე; 2. თითოეული მოვალე ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე უნდა იყოს შესრულებაზე ვალდებული; 3. თითოეული მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი; 4. კრედიტორს უნდა გააჩნდეს მთლიანი შესრულების მხოლოდ ერთჯერადად მიღების უფლება.

17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის გაუყოფლობით.

ხელშეკრულება სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა; ამ გარიგების მხარეებად გვევლინებიან სოლიდარული მოვალეები და კრედიტორი. სოლიდარული ვალდებულების დასაფუძნებლად აუცილებელი არ არის, კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეებს შორის ხელშეკრულება ერთიანი სახით დაიდოს; მთავარია, კრედიტორთან გაფორმებული სხვადასხვა შეთანხმება ნათლად იძლეოდეს თითოეული მოვალის სურვილის დადგენის შესაძლებლობას – კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგოს პასუხი.

18. საქმეზე უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ 2019 წლის 08 მაისს ს.ს. „კ. ბ-თან“ კლიენტის სტატუსით სასყიდლიან საკრედიტო ხელშეკრულებაში ერთდროულად შევიდნენ ა. ს-ძე და გ. თ-ძე; ბანკმა კლიენტებზე გასცა საბანკო კრედიტი 15 500 ლარის ოდენობით; მისი დაბრუნების მოვალეობა ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ერთობლივად იკისრეს კლიენტებმა. ამავე ხელშეკრულების 4. 15. პუნქტით მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი კლიენტი:

4. 15. 1. თითოეული ასეთი კლიენტი წარმოადგენს ბანკის მიმართ სოლიდარულ მოვალეს;

4. 15. 2. ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) კლიენტს;

4. 15. 3. ბანკი უფლებამოსილია საბანკო კრედიტის თანხა ჩარიცხოს ერთი ან რამდენიმე კლიენტის ანგარიშზე, საკუთარი შეხედულებისა-

მებრ (ასევე, თუ საბანკო კრედიტის თანხის ჩარიცხვა ხდება 1-ზე მეტი კლიენტის ანგარიშზე, ჩასარიცხი თანხის პროპორციასაც ცალმხრივად განსაზღვრავს ბანკი), თუ უშუალოდ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული).

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, აგრეთვე კრედიტის დაფარვის გრაფიკი ხელმოწერილია ორივე კლიენტის მიერ.

ხელშეკრულების ციტირებული ნორმა ცხადყოფს, რომ ერთი კრედიტორის წინაშე ერთი საკრედიტო ვალდებულების სრულად შესრულების მოვალეობა იკისრა ორმა პირმა, შესაბამისად, ხელშეკრულების ძალით დაფუძნდა ა. ს-დისა და გ. თ-დის სოლიდარული პასუხისმგებლობა ს.ს. „კ. ბ-ის“ მიმართ, 2019 წლის 08 მაისის № 191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად, ამდენად, სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა მიაჩნია განხორციელებულად.

19. ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, „ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ა. ს-ქე ადასტურებს სურვილს, დააზღვიოს მისი სიცოცხლე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში (მაგრამ არაუმეტეს იმ პერიოდამდე, როდესაც მას შეუსრულდება 72 წელი) და გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის გადასახდელები ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და წესით... ყოველგვარი ექვსის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ადასტურებენ, რომ პუნქტით განსაზღვრული დაზღვევის პირობები ვრცელდება მხოლოდ ამავე პუნქტში მითითებულ კლიენტზე“.

20. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე ა. ს-ქე გარდაიცვალა 2020 წლის 29 მარტს, ავტოავარიის შედეგად. დასახელებულ თარიღში ს.ს. „კ. ბ-ის“ წინაშე სოლიდარული მოვალეების მიერ საკრედიტო ვალდებულება შესრულებული იყო მხოლოდ ნაწილობრივ. ა. ს-დის გარდაცვალების შემდეგ ვალდებულება სადავო საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში აღარ შესრულებულა, რის გამოც კრედიტის გამცემმა შეწყვიტა საკრედიტო ხელშეკრულება და ითხოვს სესხის ნარჩენი ძირის, დარიცხული და დასარიცხი პროცენტის, პირგასამტეხლოსა და სიცოცხლის დაზღვევის საკომისიოს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის დაკისრებას.

მოპასუხე წარდგენილი შესაგებლით თავს იცავს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბანკსა და სადაზღვევო კომპანიას შორის არსებული დაზღვევის ხელშეკრულებით მსესხებელ ა. ს-დის სიცოცხლე იყო დაზღვეული, კერძოდ, მისი გარდაცვალების, როგორც სადაზღვევო რისკის, რეალიზების შემთხვევაში, ბანკის წინაშე ნარჩენ საკრედიტო ვალდებულებას დაფარავდა სადაზღვევო კომპანია.

21. დადგენილია, რომ ს.ს. „კ. ბ-ს“ 2019 წლის 08 მაისის №191284135665YJS საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დასაკმაყოფილებად, მოცემულ ეტაპზე, ჰყავს ორი მოვალე – გ. თ-ძე და სადაზღვევო ორგანიზაცია.

22. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დაზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილია სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.

23. რაც შეეხება მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, იგი გამომდინარეობს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

24. საკასაციო პალატის განსჯის საგანია, რა ურთიეთმომართებაა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით წარმოშობილ, თუმცა ერთი ინტერესის დაკმაყოფილებისკენ მიმართულ ამ ორ მოთხოვნის უფლებას შორის, მიჩნეულია თუ არა რომელიმე მათგანის პირველ რიგში განხორციელება პრიორიტეტულად კანონმდებლის ნორმატიული ნებით, შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს საკითხს, აბრკოლებს თუ არა წარმოდგენილი შესაგებლის პოზიცია მოთხოვნის უფლების რეალიზების შესაძლებლობას.

25. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისთვის კანონი მოითხოვს, რომ თითოეული მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულების სრულად შესრულებაზე იყოს პასუხისმგებელი. ნორმის ეს დანაწესი არ ნიშნავს აუცილებლად თითოეული მოვალის ვალდებულებას იდენტური ვალდებულების შესრულებაზე. სოლიდარული უფლებამოსილების მსგავსად სოლიდარული ვალდებულება ც კრედიტორსა და ცალკეულ სოლიდარულ მოვალეს შორის დამოუკიდებელ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობათა არსებობას გულისხმობს (ვალდებულებათა სიმრავლის თეორია). კრედიტორთან მიმართებაში ეს ცალკეული ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობენ. მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა ყველაზე კარგად წარმოშობის საფუძველში ვლინდება, რომელიც არ

არის აუცილებელი, საერთო იყოს. ცალკეული ვალდებულებებისამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა წარმოშობის სხვადასხვა საფუძველს ეფუძნებოდეს. აღნიშნული ურთიერთობებიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული. ჩვეულებრივ, მისი დაკმაყოფილება მოვალეთა მიერ შინაარსობრივად მსგავსი შესრულების განხორციელებით ხდება... თუ მოვალეთა ცალკეული ვალდებულებები ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იგივე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან ურთიერთდაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან, წარმოშობილია სოლიდარული ვალდებულება (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 463-ე მუხლის კომენტარი, გვ. 964, https://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf).

ამრიგად, სოლიდარული ვალდებულების წარმოსაშობად აუცილებელი არ არის მოთხოვნის საფუძველთა იდენტიფიკაცია, არამედ, გადამწყვეტია კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებას „ემსახურებოდეს“ ერთზე მეტი პირის ვალდებულება.

26. საკრედიტო სიცოცხლის დაზღვევის პირობების №CL3CR-001/16 ღია პოლისის პირველი პუნქტის შესაბამისად, სადაზღვევო ურთიერთობაში როგორც დამზღვევი, ისე მოსარგებლე, ს.ს. „კ. ბ-ია“; სადაზღვევო ურთიერთობის მხარეც, ს.ს. „დ. კ. ა-თან“ ერთად, თავად ბანკია და არა დაზღვეული. დასახელებული გარემოებების ერთობლივი ანალიზით კი საკასაციო პალატა ასკვნის, რომ სადაზღვევო ურთიერთობაში შესვლის ინტერესი კრედიტორისათვის სწორედ მისი საკრედიტო მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფას წარმოადგენდა.

27. ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით, მიუხედავად მოთხოვნის საფუძველთა სხვადასხვაობისა, როგორც მზღვეველის, ისე ცოცხლად დარჩენილი კრედიტის მიმღების ვალდებულება ბანკის წინაშე სოლიდარულია, ამრიგად, კრედიტორს ჰყავს პასუხისმგებლობის თანაბარ საფეხურზე მდგომი ორი მოვალე, რომლებიც ერთმანეთის გვერდით, პარალელურად, თანაბრად აგებენ პასუხს.

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

დასახელებული ნორმა სოლიდარული ვალდებულების უმთავრეს სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს. იგი უფლებამოსილს ხდის კრედიტორს, თავისუფლად აირჩიოს მოვალე და საკუთარი შეხედულებებისამებრ მოსთხოვოს ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრუ-

ლება. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან კრედიტორი უფლებამოსილია თითოეული სოლიდარული მოვალის მიმართ მთლიანი შესრულების მოთხოვნაზე. თუ სოლიდარული ვალდებულება ეფუძნება სხვადასხვა სამართლებრივ საფუძველს, შესაბამისად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტიც, შესაძლოა, იყოს განსხვავებული.

29. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობისთანავე კრედიტორი თავისუფალია მოვალის არჩევაში. აღნიშნული ეხება როგორც მოვალის პიროვნებას, ასევე შესასრულებელი ვალდებულების მოცულობას. კრედიტორი საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს თავდაპირველად რომელ მოვალეს მოსთხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება. მას შეუძლია, ერთ, რამდენიმე ან ყველა მოვალეს ერთდროულად მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება, როგორც საპროცესო თანამონაწილეობის (ერთზე მეტი მოპასუხის ერთ სარჩელში დასახელების) ინსტრუმენტის გამოყენების, ისე თითოეული მოპასუხის მიმართ ინდივიდუალური სარჩელის წარდგენის გზით. კრედიტორს ეს უფლება ყველა შემთხვევაში აქვს იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეუძლია მოვალეს წარდგენილი მოთხოვნის რეალურად შესრულება.

30. კრედიტორი არ არის ვალდებული ყველა სოლიდარულ მოვალეს მიმართოს. მას შეუძლია ერთი სოლიდარული მოვალე ამოირჩიოს და მისგან ეცადოს მთლიანი დაკმაყოფილების მიღებას. კრედიტორის არჩევანის უფლება შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებებით: მაგ. მოვალის გადახდისუნარიანობით, მისი მხრიდან კრედიტორის მიმართ მოთხოვნის არარსებობით, რაც გამოორიცხავს ვალდებულების შეწყვეტას ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით და ა. შ. არჩევანის თავისუფლება იზღუდება მხოლოდ იქ, როდესაც კრედიტორის მხრიდან ადგილი აქვს უფლების ბოროტად გამოყენებას (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 465-ე მუხლის კომენტარი, გვ.976, https://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf).

31. მოვალეს არ შეუძლია უარი განუცხადოს კრედიტორს ვალდებულების შესრულებაზე და მიუთითოს სხვა გადახდისუნარიან სოლიდარულ მოვალეზე. მას ასევე არ შეუძლია ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ კრედიტორი მისთვის მოთხოვნის წარდგენამდე ჯერ სხვა მოვალეთაგან არ ეცადა მოთხოვნის დაკმაყოფილებას (იხ. სუსგ. №ას-1172-2022, 23 იანვარი 2023 წელი).

32. კრედიტორი არ არის აბსოლუტურად თავისუფალი მოვალის არჩევაში. მისი თავისუფლების საზღვარს სამოქალაქო სამართლის ფუნქციონირების კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს (სსკ მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი). კრედიტორის არჩევანის თავისუფლება იზღუდება იქ, როდესაც მის მიერ მოვალის არჩევა მხოლოდ იმ მიზნით ხდე-

ბა, რათა ზიანი მიადგეს ამ უკანასკნელს (სსკ 115-ე მუხლი). უფლების ბოროტად გამოყენების მაგალითი გვექნება სახეზე მაშინ, როდესაც კრედიტორი ბოროტი განზრახვით იმ სოლიდარულ მოვალეს ირჩევს და იმ მოვალეს სურს უკუმოთხოვნის და, შესაბამისად, სხვა მოვალეთა გადახდისუუნარობის რისკი დააკისროს, რომელიც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე განთავისუფლებულია ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას უნდა შეაფასოს აქვს თუ არა კრედიტორის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში კრედიტორის სურვილია, ზიანი მიაყენოს იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც მან მოთხოვნა წარუდგინა (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 465-ე მუხლის კომენტარი, გვ. 977, https://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ge-civil_code_comm_III_book.pdf).

33. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინება აგებულია იმ დასაბუთებაზე, რომ მზღვეველისთვის მოთხოვნის წარუდგენლად, მის წინააღმდეგ დავის წარმოების გარეშე, პირდაპირ სოლიდარული მოვალისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპებს. დასახელებულ პოზიციას საკასაციო პალატა არ იზიარებს და ყურადღებას მიაპყრობს მხარეთა შორის უდავო ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც დადგენილია საქმეში დაცული ს.ს.ი.პ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით: ა. ს-დის გვამიდან აღებული სისხლის ნიმუშის ქიმიური გამოკვლევით მასში აღმოჩნდა 2.33% ეთილის სპირტი.

ეთილის სპირტი კი წარმოადგენს ორგანულ ნივთიერებას, სპირტების ჯგუფს, არის აქროლადი, ცეცხლსაშიში, თხევადი ფსიქოაქტიური ნივთიერება. მას შეიცავს ყველა ალკოჰოლური სასმელი. არის სპირტული დუღილის მთავარი პროდუქტი, რომელიც მიმდინარეობს მიკროორგანიზმების საშუალებით.

საქმის მასალებში დაცულია სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული ბროშურა, ხელმოწერილი ა. ს-დის მიერ, რომელშიც მოიცავს დასაზღვევო ანაზღაურების საგამონაკლისო შემთხვევათა ფართო სპექტრს, მათ შორის, ნივთიერებათა ზემოქმედებით დამდგარი სასიკვდილო შედეგისათვის.

34. კრედიტორმა, რომელსაც ერთზე მეტი სოლიდარული მოვალე ჰყავს, დასახელებულ გარემოებათა გამო, სადაზღვევო ორგანიზაციისგან მოთხოვნის და კმაყოფილების პერსპექტივის შეფასების შედეგად, უპიარატესობა მიანიჭა მოთხოვნის იმ სოლიდარული მოვალისათვის ნაყენებას, რომელთან მიმართებითაც, მისი განსჯით, არსებობდა

მოთხოვნის დაკმაყოფილების უფრო მაღალი ალბათობა. აღნიშნული კი, შეუძლებელია, დაკვალიფიცირდეს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელყოფად და მოპასუხედ დასახელებული სოლიდარული მოვალისთვის ზიანის მიყენების განზრახვად, შესაბამისად, ცოცხლად დარჩენილი კრედიტის ამღების მიმართ სარჩელის წარდგენა უნდა შეფასდეს არა უფლების ბოროტად გამოყენების, არამედ, პირიქით, უფლების მართლზომიერად განკარგვის შემთხვევად.

35. საგულისხმოა ისიც, რომ საკასაციო სამართალწარმოების მიმდინარეობისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წინაშე მესამე პირად დაშვების შუამდგომლობა წარადგინა მზღვეველმა ს.ს. „ს.კ.ა-მა“. შუამდგომლობაზე დართული განჩინებით დასტურდება, რომ კრედიტორს საკრედიტო ვალდებულების დაფარვის მოთხოვნა წარდგენილი აქვს მეორე სოლიდარული მოვალისთვისაც, ხსენებულ დავაზე კი შეჩერებულია საქმის წარმოება წინამდებარე საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. აღნიშნული გარემოება ნათელჰყოფს, რომ კრედიტორი მიზნად ისახავს არა ცოცხლად დარჩენილი მოვალისთვის ფინანსური ზიანის მიყენებას, არამედ საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რისთვისაც განკარგავს მის ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ საშუალებას.

36. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს არ გააჩნია უფლებამოსილება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ბანკს არ უცდია სადაზღვევო კომპანიის მიმართ იძულებითი აღსრულება. ამასთან, თუკი ბანკი არ განაგრძობს დავას მზღვეველთან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის არამართლზომიერების შესახებ, თანამსესხებელს, როგორც სოლიდარულ მოვალეს, თავად გააჩნია ამგვარი დავის ინიცირების უფლებამოსილება (იხ. სუსგ. №ას-629-2023, 26 იანვარი, 2024 წელი).

37.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამარ-

თლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

37.2. განსახილველ შემთხვევაში, როგორც სააპელაციო სასამართლომ, ისე პირველი ინსტანციის სასამართლომ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი სრულად დააფუძნეს მოპასუხის პასუხისმგებლობის სუბსიდიურ ხასიათზე მითითებას, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს. ამავდროულად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რადგან მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ არის კრედიტორის მოთხოვნის ოდენობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებებები.

37.3. ამდენად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს კრედიტორის მოთხოვნის მოცულობა მოპასუხე მოვალის მიმართ და ამის შემდეგ გადაწყვიტოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული ბედი.

38. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ს.ს. „კ.ბ-ი“-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge